ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 7 თებერვალი, 2011 №31 (5412) ფასი: 30 თეთრი

## საქართველო ავღანეთში დამატებით ჯარებს შეიყვანს



გვ.4

# საქართველოში ყალბი გენერლები აღმოაჩინეს

გვ.5



## ინფლაცია ამ ხელისუფლებას შეიწირავს

გვ.3



## სადაზღვევო კომპანიები არაკეთილსინდისიერად იქცევიან

გვ.2

ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ნახევარზე მეტი კომპანიებმა ჯიბეში ჩაიდეს



გვ.7

## საქართველოში ხალხი შიმშილობს



## 1992 წელს საქართველო-აშშ-ის ისტორიაში ახალი ერა დადგა

გვ.6



გვ.4

## აფხაზეთში თვითმმართველობის არჩევნებისთვის ემზადებიან

## დაღუპული მაღაროელების ოჯახები ხელისუფლებამ მიატოვა



## სააკაშვილს უნდა, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს

გვ.7



რატომ აბრალებენ მაღაროში მომხდარ აფეთქებას მუშებს

გვ.5

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

8 პატრიარქი დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა

11 მეორე წრის ლოგიკური დასაწყისი

8 კულტურული მემკვიდრეობის პრიორიტეტები ცნობილია

10 ხარვეზებით განადგურებული უკრაინა

# სადაზღვევო კომპანიები არაკეთილსინდისიერად იქცევიან

ნანა მიშელაშვილი

**მოსახლეობა თებერვალში 20-ლარიან ენერგოვაუჩერებს მიიღებს. საპარლამენტო ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ვაუჩერების დარიგება კარგია, თუმცა, მისი ოდენობა მცირეა და უფრო პიარკამპანიას ემსახურება.**

**ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, სახელმწიფომ დაითვალა და ამ ღონისძიებისთვის დაახლოებით 20 მლნ ლარია საჭირო, რომელიც სარეზერვო ფონდებიდან გამოიყოფა.**

**რას ფიქრობს ერჯერადად ენერგოვაუჩერების დარიგებაზე, როდის შეიქმნება ქვეყანაში საშუალო ფენა და მოსახლეობის რამდენი პროცენტია სიღარიბის ზღვარს მიღმა?**

**„ახალი თაობა“ ედპ-ის წევრს, დეპუტატ გურამ ჩახვაძეს ესაუბრა.**

*— კონტროლის პალატამ საინტერესო დასკვნა დადო. რას აპირებთ ამ დასკვნასთან დაკავშირებით?*

— კონტროლის პალატის შემოწმებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და დაადასტურა, რომ სოციალური სფეროს კომერციალიზაცია სიკეთის მომტანი არ არის.

*— კონკრეტულად რაზე მიუთითებთ?*

— ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების აუდიტმა აჩვენა, რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი 284 მილიონი ლარიდან სადაზღვევო კომპანიებმა მოსახლეობაზე მხოლოდ 114 მილიონი ლარი დახარჯა, დანარჩენი 170 მილიონი მათ საკუთარ შემოსავლებს შემატეს. შემოწმებამ ასევე აჩვენა, რომ სამედიცინო მომსახურებით დაზღვეული მოქალაქეების მხოლოდ 21%-მა ისარგებლა.

*— ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი?*

— ეკონომიკურად არაეფექტური, სოციალურად უსამართლო და უკონტროლო სისტემის დანერგვაში ძირითადი პასუხისმგებლობა მთავრობას ეკისრება. მაშინ, როცა სამედიცინო მომსახურების გარეშე ასი ათასობით მოქალაქეა დარჩენილი, ისედაც მწირე სახელმწიფო სახსრების ასეთი ფორმით ხარჯვა, დაუშვებელია. სამედიცინო სფერო საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო სისტემას უნდა დაეფუძნოს, სადაც სამედიცინო მომსახურებით საზოგადოების უკლებლივ ყველა წევრი იქნება დაზღვეული და უზრუნველყოფილი. პარალელურად, კერძო სადაზღვევო სისტემაც იფუნქციონირებს, მაგრამ არა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

*— რას აპირებთ დეპუტატები მას შემდეგ, რაც კონტროლის პალატამ დასკვნა დადო?*

— კონტროლის პალატამ თავისი მოვალეობა შეასრულა, ჯერი ახლა პარლამენტზეა. ამიტომ ედპ მოითხოვს, პარლამენტმა რეაგირების გარეშე არ დატოვოს აღნიშნული საკითხი და სერიოზულად იმსჯელოს მთლიანად სისტემაში შექმნილ მდგომარეობაზე.

*— ექსპერტების ვარაუდით, გაზაფხულზე საქართველოში ფასები გაიზრდება. არის თუ არა ფასების ზრდა მოსალოდნელი?*

— საერთოდ, გაზაფხული ყველანაირად რთული პერიოდია. უნდა დავაკვირდეთ, მსოფლიო ფასების დინამიკა როგორი იქნება. ჯერ კიდევ 2007 წელს, მსოფლიო სასურსათო ორგანიზაცია „ფაო“ აფრთხილებდა სახელმწიფოებს, რომ სურსათზე გლობალური კრიზისი დაიწყებოდა, რაც ფასების მომატებას გამოიწვევდა. კონტრზომად ის მოუწოდებდა სახელმწიფოებს, რომ მაქსიმალური მხარდაჭერა მოეხდინათ წვრილი ფერმერული მეურნეობების. მთავრობამ ეს არ გააკეთა.

*— გამოდის, რომ ჯერ კიდევ 3 წლის წინ არსებობდა პროგნოზი და მთავრობამ სათანადო ზომები არ მიიღო?*

— მთავრობას სისტემური მიდგომა უნდა გამოეჩინა სოფლის მეურნეობის დარგისადმი, მაშინ მთლად ასეთი სურათი არ გვექნებოდა. ჩვენთან ყოველწლიურად მცირდება სოფლის მეურნეობის წარმოება.

*— ეს რის ბრალია?*

— ეს იმის ბრალია, რომ ნაკლებად ეფექტური ტექნოლოგიებია, საჭიროა თანამედროვე ტექნოლოგიები. არა მარტო ერთი ჯიშის სიმინდის შემოტანაა საჭიროა, არამედ, მთლიანად ტექნიკით უზრუნველყოფა. მეორე, ჩვენთან ძალიან ბევრი წვრილი ფერმერული მეურნეობებია, რომელთაც უჭირთ. ყველა ქვეყანაში პოლიტიკა მიმართულია იქით, რომ მაქსიმალურად წაახალისონ წვრილი ფერმერული მეურნეობები და გაერთიანდნენ. თავად მთავრობაც აღნიშნავს, რომ სასოფლო□სამეურნეო მიწები დაუმუშავებელია, თავის დროზე, ვიღაცამ ეს მიწები აიღო და ახლა, როგორც უძრავი ქონება აქვს. თუ სასოფლო□სამეურნეო მიწა საკუთრებაში მაქვს, გარკვეული სოციალური პასუხისმგებლობაც მაქვს. გასაგებია, რომ მესაკუთრე ხარ, მაგრამ ეს მიწები შეზღუდული რაოდენობით არის, ამიტომ დაუმუშავებელი არ უნდა იყოს. მაგალითად, ესპანეთის და გერმანიის კონსტიტუციაში კერძო მესაკუთრეებისთვის სოციალური პასუხისმგებლობა კონსტიტუციური ნორმაა. მესაკუთრე კი ხარ, მაგრამ სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე შენი ვალდებულება გაქვს. წვრილ მეურნეობებს ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვთ საკრედიტო რესურსებისადმი. ანუ მიწის დამუშავების დროს საჭიროა ფული. ბანკი ფულს ან გაძლევს ან ისეთი პირობებია, რომ შეუძლებელია მისი მიღება. ამ დროს დახმარებით უნდა შემოვიდეს სახელმწიფო. ასევე უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის სუბსიდირება. ყველა სახელმწიფო ამას აკეთებს, ეს არის პატრონაჟი.



## ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ნახევარზე მეტი კომპანიებმა ჯიბეში ჩაიდეს

*— გაზაფხულზე, ფასების ზრდას, სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი ხომ არ გადაჰყვება?*

— ბაკურ კვეზერელს თავისი პასუხისმგებლობა აქვს, მაგრამ სურსათზე ფასების მატების მეორე მიზეზი — ეს არის მონოპოლიური ეკონიმიკა. ეს უკვე სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენცია არ არის. დღეს ინფლაციის დონე, რომელიც ევროკავშირმა დაგეგმა, 2 პროცენტს არ უნდა გადააჭარბოს.

*— ჩვენთან როგორი მდგომარეობაა, ინფლაციის მაჩვენებელი ორნიშნა ციფრია?*

— ჩვენთან დაგეგმილია 7 პროცენტი, მაგრამ ორნიშნა ციფრზე გავალთ. ანუ რა მდგომარეობაა? რა, ევროპა გაძვირებულ სურსათს არ ყიდულობს? ცხადია, ყიდულობს, მაგრამ მას აქვს ჯერ ერთი რეზერვი და მეორე, ის თავად მოიწევს იმ პროდუციას, რომელიც სჭირდება. თანაც იქ არის კონკურენცია. კონკურენცია არის იმპორტთან მიმართებაში, ყველას შეუძლია შემოიტანოს და ეძებოს უფრო იაფი საქონელი და კონკურენციაა შიგნით. ჩვენთან ხელოვნურად ხდება ფასების მატება, იმიტომ, რომ მონოპოლიზებულია და გარკვეული ჯგუფები აკონტროლებენ.

*— კერძო სექტორში მონოპოლისტები არიან?*

— კი, მონოპოლიური ჯგუფები არიან.

*— ამან გამოიწვია გარკვეულ პროდუქტზე — შაქარზე, წიწუბურაზე და ასე შემდეგ ფასების მატება თუ სხვა მიზეზია?*

— საზღვარგარეთ ფასებმა მოიმატა, მაგრამ ჩვენთან კიდევ უფრო მოიმატა. რატომ იმატებს? იმიტომ, რომ მონოპოლიაა და გაძვირებული საქონელი ჩვენთან კიდევ უფრო გაძვირდა. მონოპოლისტებთან გვაქვს საქმე. ეს კარგად ჩანს ტარიფებთან დაკავშირებით, აქ უკვე სახელმწიფოა მონოპოლისტი და უხეშად არღვევს მომხმარებელთა უფლებებს. წყალზე, გაზზე, ელექროენერგიაზე მაღალი ტარიფებია.

*— სახელმწიფომ თავის სატარიფო პოლიტიკას უნდა გადახედოს?*

— რა თქმა უნდა. თუ წყალი, გაზი გაძვირდა და საწვავზე მონოპოლიაა, მაშინ, პროდუქცია ისედაც გაძვირდება. შემოსული ძვირი ხორბალი კიდევ უფრო ძვირდება მისი დამუშავების შემდეგ. ამ დროს, მწარმოებელმა ან ფასი უნდა გაზარდოს, ან წონა უნდა შეამციროს.

*— რაც შეეხება 20-ლარიან ენერგოვაუჩერებს, რომელსაც ხელისუფლება მოსახლეობას ურიგებს, ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, სახელმწიფომ დაითვალა და ამ ღონისძიებისთვის დაახლოებით 20 მლნ ლარია საჭირო, რომელიც სარეზერვო ფონდებიდან გამოიყოფა. ერჯერადად ამ ვაუჩერების დარიგება საქმეს უშველის?*

— ჩვენ შემოვიტანეთ, ე.წ. ჯვარედინი სუბსიდირების პრინციპი. ფაქტიურად ერთი მხარე იხდის მეორე მხარის ტარიფებს. ეს ეხება ელექტროენერგიას და გაზსს. მაშინ ეროვნულ□დემოკრატიულმა პარტიამ განვაცხადეთ, რომ ეს არ არის გამოსავალი. ამით ჩვენ მძიმე მდგომარეობაში ვაყენებთ მეწარმე სუბიექტებს და ვუძვირებთ პროდუქციას. ჯერ ერთი, ჩვენ გონივრული ტარიფები უნდა დავაწესოთ. არ შეიძლება, მე, როგორც პარლამენტის წევრმა და სიღარიბის ზღვარს მიღმა პირმა ერთი და იგივე შემცირებული ტარიფი გადავიხადოთ. ვისაც უჭირს, მაგალითად, ამერიკაში და სხვა ქვეყნებში ე.წ. ვაუჩერებია, რომელსაც ურიგებენ, ოღონდ არა ერჯერადად. სურსათის კუპონები და კომუნალურ გადასახადებზე ვაუჩერები, ეს არის სისტემა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მოქმედებს და იმის მიხედვით მცირდება მოსახლეობის რა ნაწილი გადადის სიღარიბიდან საშუალო ფენაში.

*— ესე იგი, 20-ლარიანი ვაუჩერი არასაკმარისია...*

— თავად პრინციპი კარგია, მაგრამ ვიწუნებ რაოდენობას და ხანგრძლივობას. საზოგადოების რაღაც ნაწილმა შესაძლოა თქვას, სახელმწიფო ზრუნავს მოსახლეობაზე, მაგრამ ის, ვინც მიიღებს, მისთვის ეს შეღავათი მცირეა.

*— დაახლოებით რა თანხის ვაუჩერი უნდა დაერიგებინათ მოსახლეობისთვის?*

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. ეს არის ენერგოვაუჩერი, ზოგიერთი გაზზე არ თბება და მთლიანად დენით თბება. ეს ექსპერტებს უნდა შევეკითხოთ, იმ ხალხს, ვინს ამაში კომპეტენტურია და მერე მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება. კარგია, რომ ვაუჩერები რიგდება, მაგრამ ცოტაა და უფრო პიარკამპანიას ემსახურება.

*— ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბების მხრივ რა მდგომარეობაა?*

— ჩვენი მოსახლეობის დაახლოებით 40% სიღარიბის მიღმა, ან სიღატაკის ზღვარზე, შეიძლება მეტიც იყოს.

*— მდიდრები?*

— საქართველოში მდიდრები ძალიან მცირეა. საშუალო ფენა, საქართველოს გაგებით არსებობს, მაგრამ ეს ფენა ყოველთვის რისკის ზღვარზეა.

*— რატომ?*

— დღეს, საშუალო ფენას შეიძლება წარმოადგენდეს მასწავლებელი, ექიმი, ან საჯარო მოხელე, რომელიც ხვალ უმუშევარი დარჩეს, ანუ რისკის ქვეშ არის. ეს შეხება დაქირავებულ საშუალო ფენას, რაც შეხება ეკონომიკური საქმიანობით დაკავებულ საშუალო ფენას, მეწარმეებს, აქ ცუდი მდგომარეობაა და ამას სტატისტიკა გვიჩვენებს.

*— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ?*

— რეგისტრირებული კომპანიებიდან უმეტესობა წვრილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებია, თუმცა, მათი წილი ეკონომიკაში არის დაახლოებით 20 პროცენტამდე.სხვა თანაფარდობაა უცხოეთის ქვეყნებში, დაახლოებით 70 პროცენტი ეს არის საშუალო ფენა, რომელზეც სახელმწიფო დგას. ეს საშუალო ფენა ქმნის როგორც ეკონომიკურ სიძლიერეს, ასევე სოციალურ სტაბილურობას. ეგვიპტეში, საშუალო ფენა არ არსებობს.

*— პარლამენტში შექმნილია სპეციალური ბიზნესსაბჭო, რომელსაც დავით ბაქრაძე ხელმძღვანელობს, ამ საბჭოს წევრი თქვენც ხართ. დააყენებთ თუ არა ბიზნესსაბჭოში მცირე ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხს?*

— ჩვენ ერთი ნაბიჯი გადავდგით და მცირე და მიკრობიზნესის ცნება შემოვიტანეთ. ჩვენ მეორე მიმართულებით უნდა ვიაროთ, ადამიანმა რომ დააგროვოს და შემოსავალი 30 ათასი ან 100 ათასი მიიღოს, მას ამ საქმიანობის საშუალება უნდა ჰქონდეს. ერთი, აუცილებელის კონკურენტული გარემოს შექმნა და მეორე, სახელმწიფოს მხარდაჭრა.

*— რა მიმართულებით?*

— ბიზნესცენტრები, ბიზნესინკუბატორები უნდა შეიქმნას. მე თუ ვარ მოქალაქე და ეკონომიკური საქმიანობა მინდა, ამ ცენტრში მივდივარ, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს და ვიღებ უფასო იურიდიულ, ფინანსურ, ბუღალტრულ რჩევებს. ამ ბიზნეს ცენტრის მეშვეობით ვადგენ გარკვეულ ბიზნესგეგმებს, ეს ბიზნესცენტრი დაკავშირებულია ბანკებთან. ბანკებს გარკვეული გარანტია აქვს, რომ აქედან შესული ბიზნესგეგმა რეალურია და უფრო მეტი მოტივაცია აქვთ, რომ გასცენ კრედიტი. თუკი მეტი საშუალება ექნება ბიუჯეტს ეს იქნება საკრედიტო რესურსებით მცირე ბიზნესის დახმარება.

## სომეხი მძღოლები საქართველოსკენ მიმავალი ცენტრალური ტრასის გადაკეტვით იმუქრებიან

სომეხი მძღოლები სომხეთიდან საქართველოში მიმავალი ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის გადაკეტვით იმუქრებიან. 5 თებერვალს ორასამდე მძღოლმა, რომლებიც საქართველოს სანომრე ნიშნებიან მანქანებს მართავდნენ, სომხეთის შირაქის მარზის სამხარეო ადმინისტრაციის შენობისაკენ მიმავალი გზა გადაკეტეს. ინფორმაციას ამის შესახებ „ია-რეგნუმი“ ავრცელებს?

მძღოლთა უკმაყოფილების მთავარი მიზეზი საქართველოდან სომხეთში შეტანილ ავტომანქანებზე მაღალი საბაჟო გადასახადია. მძოლებმა, ასევე, გააპროტესტეს სომხეთის მხარის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ქართული სანომრე ნიშნიანი მანქანები სომხეთის ტერიტორიაზე მხოლოდ 30 დღე უნდა გაჩერდნენ. შემდგომ კი ქვეყანა დატოვონ. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლებათ მათ სომხეთში დაბრუნება.

საინფორმაციო სააგენტო „პრესს.ამ“-თან საუბრისას ერთ-ერთმა მძღოლმა კარენ პოლოსიანმა განაცხადა, რომ ავტომანქანის განბაჟება მისი ღირებულების თითქმის ნახევარს უტოლდება. მისი თქმით, გუშინდელ აქციაზე მილიციელები და სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული უშიშროების სამსახურის თანამშრომლები იმყოფებოდნენ. დემონსტრანებს სეირანის სამხარეო ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოადგილე სეირან პეტროსიანი შეხვდა. იგი შეკრებილებს ადმინისტრაციის ხელმღძვანელამდე მათი პრობლემის მიტანას დაპირდა.

დემონსტრანტების თქმით, იმ შემთხვევაში, თუკი მათ საქმეს მსვლელობა 7 თებერვლის შუადღემდე არ მიეცემა, ისინი საქართველოსკენ მიმავალ ცენტრალურ საავტომობილო ტრასას გადაკეტავენ.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ზაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ზალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჭაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## გლობალური უსაფრთხოების პროცესებში საქართველოს მაქსიმალური წვლილის შეტანა სურს

საქართველოს სამშვიდობო პროცესებში აქტიურად მონაწილეობა სურს, — ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ მიუნხენის კონფერენციაზე მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის შეფასებისას განაცხადა.

მისი თქმით, სწორედ აქედან გამომდინარეობს ინიციატივა ავღანეთში დამატებითი სამშვიდობო კონტინგენტის გაგზავნის შესახებ. როგორც კალანდაძემ განაცხადა, ეს ინიციატივა ახალი არ არის.

— გვინდა, გლობალური უსაფრთხოების პროცესებში ჩვენი წვლილი მაქსიმალურად შევიტანოთ. ეს ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ამაში დევს ჩვენი ეროვნული ინტერესი. ეს არ ხდება ვინმესთვის თვალში ნაცრის შესაყრელად, არ ხდება იმისთვის, რომ მსოფლიოს ჩვენი კონსტრუქციულობა ვაჩვენოთ, არამედ ეს იმისთვის, რომ ვაცნობიერებთ, რამდენად მნიშვნელოვანია გლობალური უსაფრთხოება მსოფლიოსთვის და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსთვის, — განაცხადა კალანდაძემ.

მისივე თქმით, სწორედ ამიტომ სურს საქართველოს ამ პროცესებში მონაწილეობა.

— მნიშვნელოვანია, რომ ეს დღეს, ავღანეთის უმაღლესი წარმომადგენლობის თანდასწრებით გაჟღერდა და თუ ისინი ამ წინადადებას მიიღებენ, მზად ვიქნებით, ჩვენი რესურსების პირობებში დახმარების ხელი მაქსიმალურად გავუწოდოთ, — აღნიშნა კალანდაძემ.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიუნხენის კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ საქართველო ავღანეთში დამატებითი სამშვიდობო კონტინგენტის გაგზავნას გეგმავს.

**ინტერპრესნიუსი**

## პარლამენტთან „თავისუფალი საქართველოს“ მიერ ორგანიზებული აქცია გაიმართება

პარლამენტის შენობასთან დღეს „თავისუფალი საქართველოს“ მიერ ორგანიზებული დევნილთა საპროტესტო აქცია გაიმართება.

აქციის მონაწილეები თავისუფალი საქართველოს„ წევრის გია ყრუაშვილისა და დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის ხელმძღვანელის მანუჩარ სიგუას დაკავებას გააპროტესტებენ. ისინი პოლიციამ მიმდინარე წლის 20 იანვარს, ბაგების სტუდქალაქიდან დევნილების გამოსახლების დროს დააკავა.

„თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენლები პოლიციას ძალადობაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ აღნიშნული პირების დაკავების დროს პოლიციელები მოქალაქეებს შეურაცხყოფას აყენებდნენ და მათ პროვოცირებას ცდილობდნენ.

მათივე მტკიცებით, დაკავება მოხდა უკანონოდ, ხოლო ბრალდებები ცრუ ჩვენებებით იყო გამყარებული. სასამართლომ დაკავებულ პირებს 14 დღიანი პატიმრობა შეუფარდა.

**ინტერპრესნიუსი**

## სომალელი მეკობრეები ქართველ მეზღვაურებს თვის ბოლოს გაათავისუფლებენ

ბერძნული გემთმფლობელი კომპანია სომალელი მეკობრეების მიერ დატყვევებული ქართველების გათავისუფლებას თებერვლის ბოლოს ვარაუდობს.

როგორც „მედიანიუსს“ სომალელი მეკობრეების მიერ დატყვევებული ერთ-ერთი ქართველი მეზღვაურის დავით დევაძის მამამ სერგო დევაძემ აცნობა, ბერძნული გემთმფლობელი კომპანია ქართველი მეზღვაურების გათავისუფლებას მათ ოჯახებს თებერვლის ბოლოსთვის დაპირდა.

— ბერძნული გემთმფლობელი კომპანია დაგვპირდა, რომ თვის ბოლოს ყველაფერი კარგად იქნება. შესაბამისად, გამოსასყიდ თანხასაც ის გადაიხდის, თუმცა ეს რამდენი იქნება ზუსტად, ჯერჯერობით, არ გახმაურდება, ისევ და ისევ, ქართველი მეზღვაურების უსაფრთხოებისთვის, — აღნიშნა დევაძემ.

საქართველოს მეზღვაურთა პროფკავშირებში ქართველი მეზღვაურების მდგომარეობასთან და მათ სავარაუდო გათავისუფლებასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობენ.

— ბერძნული გემთმფლობელი კომპანიას სერგო დევაძესთან აქვს კონტაქტი, შესაბამისად, ჩვენ ამ თემაზე უახლეს ინფორმაციას არ ვფლობთ, — განუცხადეს „მედიანიუსს“ მეზღვაურთა პროფკავშირებში.

შეგახსენებთ, 15 ქართველი მეზღვაური სომალელი მეკობრეების ტყვეობაში უკვე რამდენიმე თვეა, იმყოფება.

**მედიანიუსი**

# ინფლაცია ამ ხელისუფლებას შეიწირავს

**ნათია ხურცილავა**



## ინტერვიუ „მემარჯვენე“ მანანა ნაჭყებიასთან

***— ქალბატონო მანანა, პრეზიდენტი სააკაშვილი პარლამენტის წინაშე წლიური ანგარიშით წარდგება, როგორია თქვენი მოლოდინი, ყველა აქტუალურ საკითხზე ისაუბრებს პრეზიდენტი და გასცემს პასუხებს?***

— თუ წინა წლების გამოცდილებას გავიზიარებთ, არა მხოლოდ წინა წლების გამოცდილებას, არამედ რამდენიმე დღის წინ გამართულ ტელეშოუს, სავარაუდოდ, საკითხები დაისმება პარლამენტის წევრების მხრიდანაც, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოება ვერ მიიღებს რეალურ პასუხებს. პრეზიდენტი ეცდება, ყველა მწვავე პრობლემას თავი აარიდოს, თავის ტრადიციულ სტილში ის ეცდება, რომ ამ პრობლემებზე გასცეს სავსებით არარეალისტური და არადამაჯერებელი პასუხები. ასე რომ, ეს იქნება პრეზიდენტის კიდევ ერთი პიარკამპანია. თუმცა, თუ ჩვენ შევადარებთ ბოლო ტელეშოუს წინა წლების ანალოგიურ შოუებთან, უნდა ვთქვა, რომ ყავლი გაუვიდა პრეზიდენტის ასეთ პიარსტრატეგიას. ჩემთვის პირადად და არა მხოლოდ ჩემთვის (ბევრი შეფასება წავიკითხე), პრეზიდენტის ბოლო გამოსვლა უკვე ძალიან უნიჭო იყო, ძალიან გაცვეთილი. ამ გამოსვლამ საზოგადოებაზე არანაირი ზემოქმედება არ მოახდინა, თუ მოახდინა, მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში.

***— ქვეყნის წინაშე აქტუალური პრობლემები დგას, თუნდაც ინფლაციასთან დაკავშირებით, ფასების ზრდასთან დაკავშირებით, რომელიც მოსახლეობას აწუხებს. როგორ ფიქრობთ, ამ პრობლემებზე ხელისუფლებას პასუხები არა აქვს?***

— მიხეილ სააკაშვილმა ამ კითხვაზე გასცა პასუხი, რომ ხელისუფლებას არა აქვს არანაირი ბერკეტი ინფლაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომ ეს არის გარე პრობლემა და საქართველოს ხელისუფლება ამ პრობლემებს ვერ მოაგვარებს. ამის პასუხად ჩვენ, „ახალმა მემარჯვენეებმა“ და მისმა ლიდერმა დავით გამყრელიძემ მეორე დღესვე წარმოვადგინეთ ხუთპუნქტიანი წინადადება ხელისუფლების შესათავაზებლად, სადაც, ჩვენი აზრით, გაწერილი იყო ყველა ის ძირითადი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც შეიძლება ხელისუფლებამ გადადგას პოლიტიკური ნებისა და სურვილის შემთხვევაში, რომელიც აუცილებლად მოთოკავს ინფლაციას. სხვათა შორის, ამ წინადადების განხილვა ძალიან კვალიფიციურ წრეში მოხდა, ეკონომიკის დარგის სპეციალისტებთან, რომლებმაც პრაქტიკულად ხუთივე წინადადებას დადებითი შეფასება მისცეს. ჩვენი წინადადებები კიდევ უფრო შეივსო მათივე მზარდაჭერით და მათ მიერ წარმოდგენილი წინადადებებითაც. თუ ხელისუფლებას აქვს სურვილი, რომ იმოქმედოს რეალურად, პროგრამა არსებობს, წინადადებები არის და მათ ინტერესში უნდა შედიოდეს. ხელისუფლება მუდმივად არ უნდა იყოს ისეთ პოზაში, რომ ოპოზიცია თითქოს მარგინალურია, თითქოს ოპოზიციამ არაფერი იცის, თითქოს ოპოზიციას არც ერთი საკითხის შესახებ არ შეუძლია რეალური წინადადება წამოაყენოს. ეს არის ნათელი და კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ შეუძლია ოპოზიციას სახელმწიფოებრივად აზროვნება და როგორ შეუძლია ოპოზიციას კვალიფიციურად შეაფასოს არსებული ვითარება და, ამ ვითარებიდან გამომდინარე, შესთავაზოს ხელისუფლებას წინადადებები, მაგრამ თუ ამას ვერ დაინახავს ხელისუფლება ან არა აქვს დანახვის სურვილი, ეს უკვე მისი პრობლემაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყნის პრობლემაც არის.

***— ერთგვარ თანამშრომლობას სთავაზობთ ხელისუფლებას?***

— სამწუხაროდ, ქართულ სინამდვილეში ოპოზიცია აღქმული იქნა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ბოლო მოვლენების შედეგად მხოლოდ იმ პოლიტიკურ ძალად, რომელიც აკრიტიკებს, თავს ესხმის ხელისუფლებას, ამხელს მას, მაგრამ სანაცვლოდ არაფერს სთავაზობს არც ხელისუფლებას და არც საზოგადოებას. „ახალი მემარჯვენეები“ არასდროს ვჯდებოდით ასეთ შეფასებაში. როდესაც პარლამენტში ვიყავით, მაშინაც ჩვენი კრიტიკა გაჯერებული იყო იმით, რომ სანაცვლო ხედვას ვთავაზობდით ხელისუფლებასაც და საზოგადოებასაც. ჩვენ საკუთარ სტილს არ ვღალატობთ. გარდა იმისა, რომ ჩემი აზრით, ვართ ყველაზე კვალიფიციური და ყველაზე მწვავე ოპონენტი ხელისუფლებისა ნებისმიერ საკითხში, ამავდროულად მზად ვართ ხელისუფლებასაც და საზოგადოებასაც საკუთარი ხედვა შევთავაზოთ. ეს არის სწორი და სახელმწიფოებრივი მიდგომა. კარგი იქნება, თუ ქართული პოლიტიკური სპექტრი და ქართული პოლიტიკური კულტურა სწორედ ამ ხედვას გაიაზრებს სამომავლოდაც. ვილაცისთვის სალანძღავი სიტყვა „თანამშრომლობა“ ამ შემთხვევაში არის ქვეყნისთვის სასარგებლო და მნიშვნელოვანი სიტყვა. რა თქმა უნდა, ჩვენ ეს წინადადებები ჩვენთვის არ შეგვიმუშავებია, არც მხოლოდ იმისთვის, რომ ვილაცას თავი მოვაწონოთ.

***— თუ იყო რაიმე სახის გამოხმაურება?***

— იყო, გამოხმაურება იყო ფინანსთა მინისტრისგან, რომ თურმე ჩვენ ეს გადაგვიწერია ვილაცისგან. მომდევნო დღეებში ხელისუფლება შეეცადა, რომ წამოეწია ის თემები, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობდით, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. პრეზიდენტმა როგორც იქნა, აღიარა, რომ ტურიზმით მხოლოდ ფონს ვერ გავალთ და საჭიროა, ადგილობრივი წარმოების განვითარება, მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, არ დაარქვა თავისი სახელი, რომ ეს ჩვენი ხედვაა. არა უშავს. თუ ეს არ დარჩება მხოლოდ დეკლარირების დონეზე და მართლაც მიხედავენ ადგილობრივი წარმოების განვითარებას, მართლა გააკეთებენ იმას, რასაც ვთავაზობთ, მთავარი ეს არის, მაგრამ სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც ხელისუფლება მხოლოდ განცხადებებით შემოიფარლება და რეალურად პრაქტიკულ ნაბიჯებს არ გადადგამს.

***— თუ ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯები არ გადადგა ხელისუფლებამ, ეს მას არ მოუბრუნდება?***

— რა თქმა უნდა, და სწორედ ეს არის ყველაზე სამწუხარო პერსპექტივა ჩვენი ქვეყნისათვის. არა მგონია, საქართველოში იყოს ადამიანი, რომელიც თვალყურს არ ადევნებდეს ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებს. ცხადია, რომ ერთი მხრივ, ეს მოვლენები გამოიწვია არა მხოლოდ სოციალურმა პრობლემებმა, არამედ იმან, რომ წლების მანძილზე ეგვიპტეში იყო არადემოკრატიული მმართველობა და არადემოკრატიული რეჟიმი. ასეთი მმართველობა და რეჟიმი ვნახეთ, სამწუხაროდ, როგორ უბრუნდება შემდეგ სახელმწიფოს და რეჟიმებსაც. ამას ჩვენ ვხედავთ, მაგრამ ვერ ხედავს ის, ვინც უნდა დაინახოს. ვერ ხედავს ხელისუფალი და მისი გუნდი. საბოლოო ჯამში შეიძლება სააკაშვილი, მისი გუნდი წავიდეს, მაგრამ ქვეყანას ძალიან დიდხანს მოუწიოს ამ პრობლემებიდან გამომდინარე სერიოზული საფრთხეების დაძლევა. ეს ყველაფერი ხალხზე, თითოეულ ჩვენგანზე აისახება, ჩვენს სამომავლო შესაძლებლობებზე. დღითიდღე რაც უფრო თვალს უხუჭავს ხელისუფლება ინფლაციის პრობლემებს, ეს პრობლემა დამძიმებული ხდება მისთვისაც და, სამწუხაროდ, მთელი ქვეყნისთვისაც.

დაიწყეთ ახალი დღე
„ახალ ქართულ პროზასთან“ ერთად!
ყოველი ორშაბათიდან ჟურნალ „გუშაგთან“ ერთად შეიძინეთ „ახალი ქართული პროზის“ ახალი ტომი
7 თებერვლიდან გაიყიდება მე-7 ტომი



[illegible]

ჟურნალი წიგნთან ერთად 3 ლარი ღირს

## თბილისში სამსართულიანი შენობა გაიბზარა

თბილისში, გიორგი ახვლედიანის ქუჩის №14-ში სამსართულიანი შენობა გაიბზარა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ადგილზე ძველი თბილისის რაიონის გამგეობის, სამაშველო და მერიის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები მუშაობენ.

როგორც „მედიანიუსს“ თბილისის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურში განუცხადეს, ე.წ. იტალიური ეზოში არსებული სამსართულიანი შენობა პირველიდან მეორე სართულის ჩათვლით გაიბზარა.

ცნობისთვის: სახლის მესამე სართულზე „არქიტექტორ.ჯი“-ს ოფისია განთავსებული, საიდანაც კომპიუტერული ტექნიკა და სხვა საოფისე ნივთები მომხდარის გამო სასწრაფოდ გაიტანეს.

გავრცელებული ინფორმაციით, შენობის სტრუქტურის დაზიანება საძირკვლის გათხრამ გამოიწვია.

შენობის დაზიანებულ მხარეს ოჯახი ცხოვრობს. უსაფრთხოების ნორმების დაცვის გამო ისინი ღამეს სხვაგან გაათევენ.

**მედიანიუსი**

# აფხაზეთში თვითმმართველობის არჩევნებისთვის ემზადებიან

თეა მარხვაი ე

**ამ კვირის მიწურულს აფხაზეთში დიდი პოლიტიკური ჟრიამული იქნება. 12 თებერვალს იქ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება. ბოლო პერიოდში, მართალია, ბაღაფშის რეიტინგი მკვეთრად დაეცა, მაგრამ ექსპერტები გამარჯვებას მაინც მის პარტიას უწინასწარმეტყველებენ.**

თვითმმართველობის არჩევნები რომ ბევრს არაფერს შეცვლის, ამაში დარწმუნებულია აფხაზეთში გამომავალი ოპოზიციური გაზეთის „ჩეგემსკაია პრავდას“ რედაქტორი ინალ ხაშიგი. სხვათა შორის, ინალ ხაშიგი ვლადისლავ არძინბას პრესსამსახურის უფროსი იყო. მას ქართველ ჟურნალისტებთან ყოველთვის კარგი დამოკიდებულება ჰქონდა.

მართალია, აფხაზები მნიშვნელოვან ცვლილებებს არ ელიან, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობა მაინც ბევრმა გადაწყვიტა. ქალაქ სოხუმის თვითმმართველობის ორგანო 26-კაციანი გახლავთ. 26 ადგილის მოსაპოვებლად 88 კანდიდატი იბრძვის.

შედარებით ნაკლები კონკურენციაა გაგრაში. აქ 25 ადგილის გადანაწილებას 61 კანდიდატი შეეცდება. გუდაუთაში 29 მანდატის მოპოვებისთვის 59 კანდიდატი იბრძოლებს.

სოხუმის რაიონის 15 ოლქში მხოლოდ 18 კანდიდატურაა წარმოდგენილი.გულრიფშის რაიონის საკრებულოში 16 ადგილია. ამ ადგილების გადანაწილებას 22 ადამიანი შეეცდება. ოჩამჩირის რაიონის 32 საარჩევნო ოლქში კენჭს 55 კაცი იყრის. ტყვარჩელის რაიონში 17 საარჩევნო ოლქია, სადაც ბრძოლას 27 კანდიდატი აპირებს.

არჩევნების დროს აფხაზეთში ყველაზე რთული ვითარება გალის რაიონში იყო ხოლმე. ამჯერად გალში სხვანაირი სიტუაცია იქნება. აქ სულ 26 საარჩევნო ოლქია და, ალბათ, ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ კანდიდატიც ამდენივეა. საინტერესოა ისიც, რომ ყველა მათგანი ერთი პარტიის მიერ არის წარმოდგენილი. ეს პარტია სახელისუფლებო გახლავთ და მას „ერთიანი აფხაზეთი“ ჰქვია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინალ ხაშიგი დიდ ცვლილებებს არ ელის, მაგრამ ვარაუდობს, რომ არჩევნები საინტერესოდ წარიმართება.

— ეს არჩევნები, სხვა წინა არჩევნებისგან განსხვავებით, უფრო ცოცხალი იქნება. ამ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ბევრმა ადამიანმა გამოთქვა. ამ მხრივ ყველაზე საინტერესო ვითარება სოხუმშია, სადაც ზოგიერთ უბანზე ერთ ადგილზე 8 კანდიდატი მოდის, — აღნიშნავს ინტერნეტპორტალ „კავკაზსკი უზელთან“ საუბარში ხაშიგი.

მისი თქმით, რეალური თვითმმართველობა აფხაზეთში კიდევ დიდხანს არ იქნება. როგორც ხაშიგი ამბობს, ამას, სულ ცოტა, ათი წელი მაინც დასჭირდება. ხაშიგი არც ძირეულ ცვლილებებს ელის და არც არჩევნებში მონაწილეებით არის კმაყოფილი.

— საარჩევნო სიებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ არჩევნებში ძალიან ბევრი ახალგაზრდა იყრის კენჭს. ერთი შეხედვით, ეს სასიხარულოა, თუმცა, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ადამიანებს ნაკლებად აინტერესებთ თვითმმართველობა. მათთვის უფრო მთავარი კარიერა და პირადი საკითხების მოგვარებაა, — მიიჩნევს ინალ ხაშიგი.

აფხაზეთში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები პირველად 1998 წელს ჩატარდა. მეორედ აფხაზებმა არჩევნები 2001 წლის მარტში ჩაატარეს, ბოლოს კი თვითმმართველობა აფხაზებმა 2007 წელს აირჩიეს.

არჩევნების წინ აფხაზეთში ბევრი საინტერესო მოვლენა მოხდა. სერგეი ბაღაფშმა რამდენიმე ძალიან მძიმე გადაწყვეტილება მიიღო, რითაც აფხაზები მიახვედრა, რომ დამოუკიდებლობა მხოლოდ ზღაპარი იყო და მეტი არაფერი.

არადა, თავის დროზე აფხაზებს მისი ძალიან სჯეროდათ. სწამდათ, რომ ის აფხაზური ორიენტაციის იყო და მისთვის მთავარი აფხაზეთის დამოუკიდებლობა გახლდათ. მასზე თავის დროზე დიდ იმედებს ამყარებდა ჩვენი ხელისუფლება. აფხაზებს ბაღაფში ჯერ კარგად არჩეული არ ჰყავდათ, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა მასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა.

ზღაპარი მისი პროქართული და პროაფხაზური ორიენტაციის თაობაზე მალე დასრულდა. ბაღაფში იმაზე პრორუსული აღმოჩნდა, ვიდრე ეს ვინმეს წარმოედგინა. მისმა პრორუსულობამ ერთ დროს კრემლის ფავორიტი და ამჯერადაც რუსეთის მოტრფიალე რაულ ხაჯიმბაც კი გააოგნა.

რუსეთისთვის სტრატეგიული ობიექტების გადაცემამ აფხაზებში დიდი ალიაქოთი გამოიწვია, მოსკოვსა და სოხუმს შორის გაფორმებული შეთანხმება კი დიდი ოპოზიციური თავყრილობის მიზეზი გახდა. ოპოზიციურმა პარტიებმა მაშინ სერგეი ბაღაფში აფხაზეთის ღალატშიც კი დაადანაშაულეს.



რა მოხდება 12 თებერვალს



ეს აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნების წინ მოხდა. ამის მიუხედავად, აფხაზებმა პრეზიდენტად მაინც ის აირჩიეს. ოპოზიციური კანდიდატები რაულ ხაჯიმბა და ბესლან ბუტბა დღემდე ამტკიცებენ, რომ არჩევნები გაყალბებული იყო.

თვითმმართველობის არჩევნებამდე ცოტა ხნის წინ ბაღაფშმა რუსეთს რამდენიმე სახელმწიფო აგარაკი გადასცა საჩუქრად. ამას აფხაზეთში დიდი ამბები მოჰყვა. განსაკუთრებული ვნებათაღელვა კი სერგეი სტეპაშინის ვიზიტმა გამოიწვია.

რუსეთის საანგარიშო პალატის თავმჯდომარე სოხუმს 11 იანვარს ესტუმრა. მანამდე აფხაზურმა ოპოზიციამ რუსეთის მიერ გამოყოფილი თანხების არამიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებით განცხადებები გააკეთა.

ოპოზიცია კარგა ხანია ამტკიცებს, რომ აფხაზეთის აღდგენისთვის გამოყოფილ თანხებს ჩინოვნიკები ითვისებენ. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა საგანგებო კომისია, რომლის შემადგენლობაში აფხაზეთის პარლამენტის წევრი რიტა ლოგუაც შედიოდა. ეს უკანასკნელი ოპოზიციური ფორუმის წარმომადგენელია.

მისი განცხადებით, ხელისუფლებამ ძალიან ბევრი თანხა მიითვისა. აფხაზმა დეპუტატმა მთელი რიგი მტკიცებულებებიც წარმოადგინა. სერგეი სტეპაშინმა კი ოპოზიცია ჭორების გავრცელებაში დაადანაშაულა.

სტეპაშინს ვალში არც აფხაზი ოპოზიციონერები დარჩნენ. თავი განსაკუთრებით სახალხო პარტიის თავკაცმა იაკუბ ლაკობამ გამოიდო. მან პარტიის ვებ-გვერდზე საგანგებო წერილი გამოაქვეყნა.

იაკუბ ლაკობამ საზოგადოებას ამცნო, რომ სერგეი სტეპაშინის მეუღლე თამარ სტეპაშინა იმ ბანკის ვიცე-პრეზიდენტი იყო, რომელიც აფხაზეთში თანხებს რიცხავდა. საუბარია ვი-თი-ბი ბანკზე.

სწორედ ამით ხსნის ლაკობა სტეპაშინის მცდელობას, გაემართლებინა ბაღაფში, რომელსაც თანხების არამიზნობრივად ხარჯვის გამო ოპოზიცია კარგა ხანს აკრიტიკებდა.

ამის გამო ლაკობამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკანდალური წერილი დაწერა. ამ წერილს დიდი ხმაური მოჰყვა. აფხაზთა ვიცე-პრემიერმა დაურ თარბამ ლაკუბა ხალხის მტრად შერაცხა. ამის შემდეგ ის დააპატიმრეს.

მის დაპატიმრებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. სოხუმელებმა აქციები გამართეს. როგორც ამბობენ, საქმეში შავი გაგების ხალხიც ჩაერია. ცნობისათვის: ლაკობა ცნობილი კანონიერი ქურდის იური ლაკობას ძმაა.

შავებთან ცუდი ურთიერთობა არც სერგეი ბაღაფშს აქვს. ის ძალიან ახლო ურთიერთობაშია ასლან უსოანიანთან, იგივე დედ ხასანთან, რომელიც, რუსული მედიის ცნობით, მკურნალობის კურსს ამჟამად აფხაზეთში გადის. რამდენიმედღიანი ვნებათაღელვის შემდეგ ლაკობა გაათავისუფლეს.

მისი დაპატიმრება ხალხს ჯერ კიდევ ცუდად ჰქონდა ჩარჩენილი. სერგეი ბაღაფშმა კი ცეცხლზე ნავთი დაასხა. იანვრის დამლევს აფხაზთა პრეზიდენტი მოსკოვის მერს შეხვდა და ერთი მაზალო განცხადება გააკეთა.

— ვერავინ შეძლებს მაიძულოს, მოსკოვი ჩემს დედაქალაქად არ მივიჩნიო. მოსკოვი ჩვენი დედაქალაქია, — განაცხადა მოსკოვის მერთან შეხვედრისას ბაღაფშმა.

მის ამ განცხადებას აფხაზებში დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. უკმაყოფილო დარჩა აფხაზეთში მოღვაწე რუსი ჟურნალისტიც. მან გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „ბაღაფში: — ფესვებიდან მწვერვალებისკენ“. ამ სტატიის შინაარსს საინფორმაციო სააგენტო ჯი-ეიჩ-ენ აქვეყნებს.

სტატიაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, 2005 წლიდან ანუ ხელისუფლებაში ბაღაფშის მოსვლიდან დღემდე აფხაზეთში ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა. ეს უკანასკნელი ბოლო დროს ნაბიჯ-ნაბიჯ და თანმიმდევრულად კარგავს ავტორიტეტს მოსახლეობაში.

„მისი გაურკვეველი განცხადებები, აფხაზური ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე, საეჭვოა. ბაღაფშის მეორე საპრეზიდენტო ვადამ სკანდალების რეკორდები მოხსნა. აფხაზეთის პრეზიდენტი საბჭოური სამეურნეო ნომენკლატურის კლასიკური წარმომადგენელია. იგი ძლიერი არ არის პოლიტიკაში, სამაგიეროდ, აქვს კარგი ყნოსვა კულუარულ თამაშებში. იგი საკმაოდ ეშმაკია და უბრალო და სწორი მოქმედებებით შეძლო გაემყარებინა თავისი მდგომარეობა ხელისუფლებაში. ის არც რეფორმატორია და არც რევოლუციონერი. მას არც ჰქონია მიზნად, ებრძოლა კორუფციასთან და „ახალი ქვეყანა“ აეშენებინა. იგი სხვა გზით წავიდა. თუკი აფხაზეთის პირველი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას დროს მთელი ეკონომიკა ერთ კლანს ეკუთვნოდა, ბაღაფშმა ამ სფეროში კონკურენტული გარემო შექმნა. საბიუჯეტო თანხები მისაწვდომი გახდა, სამეურნეო კომპლექსთან მიახლოება ასობით ჩინოვნიკმა და მმართველმა შეძლო, რომელთა უმრავლესობა პრეზიდენტსა და ქვეყნის სხვა პირველ პირებზე გაცილებით მდიდარია. იმის ნაცვლად, რომ „სახალხო მეურნეობის“ მმართველებად თავისი ახლობლები დაენიშნა, ბაღაფშმა უფლებამოსილებით აღჭურვა თითქმის ყველა, ვისაც უხდებოდა განსაზღვრება, „გავლენიანი ადამიანი“. შედეგად, ბაღაფშმა ელიტის ერთგულება დაიმსახურა და შეძლო საპრეზიდენტო არჩევნების მოგება, — ნათქვამია სტატიაში.

იქვე აღნიშნულია, რომ თუმცა კულუარულ თამაშებში ჩაფლულმა ბაღაფშმა, რომელმაც, ამავე დროს, შიდაპოლიტიკურ პროცესებში რუსეთის როლი გადააფასა, დაკარგა საზოგადოებასთან ცოცხალი კავშირი და მთავარი, აფხაზური დემოკრატიის ზოგი ნიუანსი დაივიწყა.

ნიუანსი პირველი: „აფხაზური დემოკრატია“ — ეს არის კავკასიური დემოკრატიის ერთგვარი ფორმა, რომელიც აფხაზი საზოგადოების ძალიან მცირე რაოდენობაზეა დაფუძნებული. აქ მთავარ როლს ასრულებს ნათესაური კავშირები. აქ პოლიტიკოსი შეიძლება მოისყიდო, მაგრამ ვერ დააშინებ, იმიტომ რომ აქ ყველა სრულიად კონკრეტული საზოგადოების ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობს და არა აბსტრაქტული კანონითა და უფლებით. ამ სისტემის კიდევ ერთი პლუსი მდგომარეობს იმაში, რომ მჭიდრო კავშირები პოლიტიკური ველის რადიკალიზაციის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. სწორედ ამის გამო იქნა თავიდან აცილებული სამოქალაქო ომი აფხაზეთში მაშინ, როდესაც ბაღაფშმა ხაჯიმბას საპრეზიდენტო არჩევნები მოუგო. ნათესავებისა და ახლობლების ქვეყანაში ხომ არავინ გარისკავს, ძმებს ესროლოს.

ნიუანსი მეორე: პატარა საზოგადოებაში მიწასთან და საკუთრებასთან დამოკიდებულება ძლიერ განსხვავდება დიდ სახელმწიფოებში არსებული მიდგომებისგან. თუ დიდ სახელმწიფოში ნებისმიერი რესურსი აბსტრაქტული „ჩვენი მიწაა“, პატარა სახელმწიფოში მიწის ყოველი ნაკუწი „თითქმის საკუთარივითაა“.

ნიუანსი მესამე: ამ პატარა ქვეყანაში, პრაქტიკულად, ყოველ მსურველს შეუძლია და ხშირად სურს, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქ 300 ათასი მოსახლის ქვეყანაში ხელისუფლებას შეუძლია, თავს უფლება მისცეს და მოსახლეობას პირდაპირ ესაუბროს.

ნიუანსი მეოთხე: აფხაზეთი ახლა თავის ისტორიაში უნიკალურ ექსპერიმენტს გადის, როდესაც ქვეყანა საკუთარ თავს ეკუთვნის — არა რუსეთს, არა საქართველოს, თურქეთს ან სხვა ვინმეს. შესაბამისად, აქ „არდაბრუნების“ კომპლექსი აქვთ და ძალიან მწვავედ რეაგირებენ ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ საქმიანობასა და მათ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, — ნათქვამია სტატიაში და იქვე აღნიშნულია, რომ აფხაზური რეალობის სწორედ ეს დეტალები გადაავიწყდა ბაღაფშს.

— მან უცბად „წესრიგის დამყარება“ და ავტორიტარულობის დემონსტრირება გადაწყვიტა. იგი ყველასთან შეუთანხმებლად აფხაზეთისგან ნავთობმომპოვებელ ქვეყანას ქმნის, აძლევს რუსეთს აგარაკებს, არაფერს ამბობს რუსეთის ბანკებთან გაფორმებული კონტრაქტის პირობებზე. იგი ამბობს: „მე მივიღე გადაწყვეტილება“ ისე, რომ არავის არაფერი ვკითხე და, ბოლოს და ბოლოს, მან გადაწყვიტა — საუკეთესო მომავალი აფხაზეთისთვის საბჭოთა წარსულია. რა არის ქვეყანაში მიმდინარე უწყვეტი კრიზისის მიზეზი? საზოგადოება არ არის მზად, მიიღოს სახელმწიფოს მმართველობის ის ფორმა, რომელსაც რუსეთი დაუბრუნდა. არავის სურს საბჭოურ დროში დაბრუნება, — ნათქვამია სტატიის ბოლოს.

ბაღაფშით აფხაზები მართლაც უკმაყოფილონი არიან, თუმცა, როგორც ამბობენ, ეს არჩევნების შედეგებზე არ იმოქმედებს და გამარჯვება ისევ მას დარჩება. თუმცა, ვნახოთ. თვითმმართველობის არჩევნებამდე სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი.

## „სახალხო კრების“ კომიტეტები დღეს ზესტაფონსა და ქუთაისში დაფუძნდება

„წარმომადგენლობითი სახალხო კრება“ რეგიონებში წინააღმდეგობის კომიტეტების დაფუძნებას განაგრძობს.

კრების მორიგი კომიტეტები დღეს ზესტაფონსა და ქუთაისში დაფუძნდება. ღონისძიებას აღმასრულებელი საბჭოს წევრები დაესწრებიან. აირჩევენ კომიტეტების თავმჯდომარეებსა და წევრებს.

საქართველოს მასშტაბით უკვე 20-მდე წინააღმდეგობის კომიტეტია შექმნილი. კრების წარმომადგენელთა განცხადებით, აღნიშნული კომიტეტები საქართველოს მოსახლეობას საყოველთაო დაუმორჩილებლობისთვის მოამზადებენ.

ინტერპრესნიუსი

## საქართველო ავღანეთში დამატებით ჯარებს შეიყვანს

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველო უახლოეს თვეებში ავღანეთში დამატებით ძალებს შეიყვანს. როგორც მან მიუნხენის უსაფრთხოების 47-ე კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია და მოსახლეობის რიცხოვნობა მხოლოდ 4 მილიონ 700 ათასია, იგი მზად არის, ავღანეთში სამშვიდობო ძალების რაოდენობა კიდევ უფრო გაზარდოს.

მისი თქმით, საქართველოს სურს, უსაფრთხოების არა მხოლოდ „მომხმარებელი, არამედ მიმწოდებელიც“ იყოს.

— ვაცნობიერებთ, რომ დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია. სწორედ ამიტომაც ავღანეთში ათასამდე ჯარისკაცი გავგზავნეთ. საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციის (IშXა)-ის ძალებთან ერთად, ჩვენი ძალები ჰელმანდის პროვინციაში იმყოფებიან. მომდევნო რამდენიმე თვეში ავღანეთში დამატებით ძალებს გავგზავნით. ეს იმისათვის კეთდება, რომ ავღანელმა ხალხმა მშვიდობიან ცხოვრებას მიაღწიოს და მათი ქვეყანა ტერორისტების თავშესაფრად არ იქცეს, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მედიანიუსი

## კომუნალური გადასახადების ერთიანად გადახდის წესი ორშაბათიდან ამოქმედდება

კომუნალური გადასახადების გადახდის ერთიანი წესი 7 თებერვლიდან შევა ძალაში და აბონენტებს შესაბამისი ქვითრები დაურიგდებათ.

როგორც „მედიანიუსს“ კომპანია „თელასში“ განუცხადეს, მათთვის ჯერ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ აღნიშნული სისტემით გადახდა 7 თებერვლიდან ამოქმედდება. ჯერჯერობით კონკრეტული განკარგულება არ მიუღიათ და, შესაბამისად, გადახდის ვადებიც არ იციან.

მათი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ერთიან ქვითარზე მითითებული თანხა აბონენტს მთლიანად არ ექნება გადახდილი, ელექტროენერგიას გაუთიშავენ.

შეგახსენებთ, რომ ახალი კანონმდებლობის თანხმად, თბილისელ მომხმარებელს ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების ფულის ერთიანად გადახდა მოუწევს. ერთ-ერთი მომსახურების გადაუხდელობის შემთხვევაში მას ელექტროენერგია გაეთიშება.

მედიანიუსი

## დიდოელი ლეკების უფლებათა დამცველი მოჰამედ გამზათოვი მკვდარი იპოვეს

დიდოელი ლეკების პრობლემებზე მომუშავე მოჰამედ გამზათოვი დაღესტანში, საკუთარ სახლში მკვდარი იპოვეს. მისი ოჯახის წევრებისა და ახლობლების მტკიცებით, გამზათოვი მოწამლეს, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო.

გამზათოვი წლების განმავლობაში დიდოელების პრობლემაზე მუშაობდა. ცოტა ხნის წინ, ის დაღესტნიდან საქართველოს დედაქალაქში სპეციალურად ჩამოვიდა და პარლამენტს დიდოელების დახმარების თხოვნით მიმართა.

როგორც ცნობილია, დიდოელმა ლეკებმა თავიანთი უფლებების დასაცავად საქართველოს პარლამენტს მიმართეს. როგორც ისინი აცხადებენ, მათი უფლებები რუსეთის ფედერაციაში უხეშად ირღვევა და მათ ენასა და კულტურას სერიოზული საფრთხე ემუქრება.

დიდოელმა ლეკებმა საქართველოს იურისდიქციაში შესვლის სურვილიც კი გამოთქვეს. დიდოელი ლეკების რიცხოვნობა 40 000-მდეა. ისინი დაღესტანის ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

მედიანიუსი

# საქართველოში ყალბი გენერლები აღმოაჩინეს



**ცნობილი ვეტერანთა აქციის დარბევის შემდეგ ვეტერანების თემა საკმაოდ აქტუალური გახდა. არ დარჩა არც ერთი ოპოზიციური პარტია, რომ აქციის დარბევას არ გამოხმაურებოდა. რა თქმა უნდა, ცუდი ფაქტი მოხდა. ისიც ფაქტია, რომ ამღვრეულ წყალში ბევრმა ვეტერანმა თუ არავეტერანმა თევზის დაჭერა სცადა. საინტერესოა, სად იყვნენ ეს ადამიანები მაშინ, როდესაც მთავრობა ვეტერანებს კუთვნილ შეღავათებს უუქმებდა. რატომ მაშინ არავის გახსენებია ისინი? იმ ადამიანების უმეტესობა, რომლებიც დღეს ჭკუას გვასწავლიან და ვეტერანების მფარველ ანგელოზებად გვევლინებიან, იმ დროს საკმაოდ მაღალი სავარძლიდან მშვიდად უყურებდა, როგორ ართმევდა „მადლიერი“ მთავრობა ვეტერანებს კუთვნილ კაპიკებს. ვეტერანების მოთხოვნა, რა თქმა უნდა, სამართლიანი იყო. ისინი გაუქმებული შეღავათების აღდგენას მოითხოვდნენ, თუმცა უკვე გამოჩნდნენ მადაგახსნილი ვეტერანები, რომლებიც, არც მეტი, არც ნაკლები, ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარეობაზე მძინარენიც კი ოცნებობენ. მართალია, დეპარტამენტის თავმჯდომარის სავარძელი თავისუფალი არ არის, მაგრამ მადაგახსნილ ხალხს რა გამოლევს ქვეყანაში. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ თავმჯდომარეობის მსურველების უმეტესობას ომის ამბები მხოლოდ ბირჟაზე მოყოლილი თუ მოუსმენია, ზოგი კი ნარკოლოგიურ შემოწმებასაც ვერ გაივლის მუხლების კანკალის გარეშე. ასე რომ, ამ ეტაპზე შვიდი წლის წინ დაკომპლექტებული ვეტერანთა დეპარტამენტი ძველი შემადგენლობით გადის ფინალში. როგორც ცნობილია, ვეტერანთა დეპარტამენტმა მუშაობის დაწყებისთანავე დაიწყო ვეტერანთა ხელახალი რეგისტრაცია, რაც დღემდე უკმაყოფილების საბაბი ხდება. მნიშვნელოვანია ის, რომ რეგისტრაციის შედეგად ბევრი „ყალბი“ გენერალიც აღმოაჩინეს. ამ და სხვა თემებზე ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარე ნუგზარ ცაგარეიშვილი გვესაუბრება.**

შორენა გონგლა ძე

***— ბატონო ნუგზარ, დეპარტამენტმა ვეტერანთა რეგისტრაცია რამდენიმე წლის წინ დაიწყო, თუმცა, ამასთან დაკავშირებით დღემდე არსებობს კითხვები. რამდენი ვეტერანია საქართველოში დღეის მონაცემებით აღრიცხული?***

— შვიდი წლის წინ არ არსებობდა ზუსტი ციფრი ვეტერანთა რაოდენობის შესახებ. პირველი ნაბიჯი, რომელიც გადავდგით, იყო ის, რომ დავიწყეთ ვეტერანთა ხელახალი რეგისტრაცია. მივწერეთ ოფიციალური წერილი „თბილგაზს“, „თელასს“, რათა მათ მოეწოდებინათ მონაცემები, თუ რამდენი ვეტერანი სარგებლობდა შეღათავებით, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიგვიღია. მაშინ პირდაპირ იწერებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები და რაიონებისა და რეგიონების მიხედვით ხდებოდა დაფინანსება, ხელოვნურადაც იყო ციფრები გაზრდილი. ეს ციფრი კი ძალიან დიდი იყო.

***— დაახლოებით რა ციფრზეა ლაპარაკი?***

— 260 ათასზე მეტზე. რეგისტრაციის შემდეგ კი ეს ციფრი ჩამოვიდა 77 ათასზე, მაგრამ ეს აქედან ყველა ვეტერანი არ არის, რა თქმა უნდა. აქ შედის ათი კატეგორია. ეს არის სამამულო ომის ვეტარანებს გათანაბრებულები, სამხედრო ძალების ვეტერანები, მარჩენალდაკარგულები და ასე შემდეგ.

***— რაც თქვენ ბრძანეთ, ძალიან სერიოზული ციფრია. ფაქტია, რომ სახელმწიფომ საკმაოდ სერიოზული ზარალი განიცადა. თუ აგო პასუხი ვინმემ ამ დარღვევებისათვის?***

— როგორც ვიცი, არავის უგია პასუხი. ჩვენ არ ვართ, რა თქმა უნდა, უფლებამოსილი ორგანო. ჩვენ ჩვენი საქმე წარმატებით გავაკეთეთ, დავაზუსტეთ სიები და შედეგიც სახეზეა. თუმცა, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ის ადამიანები, რომლებიც ველარ სარგებლობენ ვეტერანის სტატუსით, დეპარტამენტს მტრად გადაეკიდნენ. მათგან არაერთი დაუმსახურებელი და უარგუმენტო ბრალდება წამოსულა დეპარტამენტის მიმართ. ბევრმა ადამიანმა ვერ გაიარა კომისია. იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც სოხუმში გავლითაც კი არ ყოფილან, ანუ მათ ჰქონდათ ვეტერანის ყალბი მოწმობა. ჩვენ კი ასეთ რამეს ვერ დავუშვებდით. ყველამ გაიგოს, რომ აღარ არის ის დრო, როდესაც ყველაფერი უკონტროლო იყო. როდესაც კომისიაზე მოდის ადამიანი და უნდა უპასუხოს კითხვებს, ვისთან ერთად იბრძოდა, რა პოზიციაზე იდგა, რა მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი შემთხვევა, ვინ დაიჭრა, ვინ დაიღუპა, საჭმელს სად მიირთმევდნენ და ასე შემდეგ, ისეთი კითხვები ისმება, რომ ნაომარმა ადამიანმა იმ კითხვებს აუცილებლად უნდა უპასუხოს. თუ არ არის ნამყოფი, მაშინ იმ კითხვებს ნამდვილად ვერ უპასუხებს, ზღაპრებს ვერ მოყვება. მაგრამ, ყოფილა შემთხვევა, რომ ზოგიერთ არაკეთილსინდისიერ მეთაურს ფულიც აუღია და უსწავლებია, როგორ უნდა ელაპარაკათ, მაგრამ მაინც ვერ გაუვლიათ კომისია და ბევრი მეთაურიც დეპარტამენტიდან სრულიად დამსახურებული საყვედურით გასულა.

***— ამ ბოლო პერიოდში თუ ყოფილა მეთაურების მხრიდან გაყალბების მცდელობა და რა არის ამის საწინააღმდეგო მექანიზმი?***

— სამწუხაროდ, ყოფილა ასეთი შემთხვევები. ამის საწინააღმდეგო მექანიზმია მეთაურის ხელმოწერა, რომელიც იქნება ნოტარიულად დამოწმებული, ვინაიდან, არის შემთხვევები, როდესაც მეთაური ამბობს, რომ ეს არ არის მისი ხელმოწერა.

***— ნოტარიულად დამტკიცება თანხებთან არის დაკავშირებული. ამაზე არ არის უკმაყოფილება?***

— ვისაც არ აქვს იმ თანხის გადახდის საშუალება, ასეთი ადამიანები იმყოფებიან სიღარიბის ზღვარს მიღმა და სარგებლობენ სპეციალური პროგრამით. ასეთ კატეგორიას ეკუთვნის განსაკუთრებული მომსახურება, ანუ ისინი წარმოადგენენ ამის დამამტკიცებელ საბუთს და მეომართა კავშირები დაადასტურებენ ხელმოწერის სისწორეს, თუმცა ვეტერანთა დეპარტამენტი ახორციელებს ამ ყველაფრის მონიტორინგს.

***— კომისია რა შემადგენლობისაა?***

— ჩვენს კომისიაში შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოვლინებულია ექვსი კაცი. არიან არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართულნი, თვითონ ნებისმიერ დაინტერესებულ ვეტერანს შეუძლია დაესწროს კომისიის მუშაობას. ეს ყველაფერი ძალიან ღიად და გამჭვირვალედ ხდება. აქ დასამალი და გასაიდუმლოებული არაფერი არ არის, პირიქით, რაც უფრო მეტი ვეტერანი იქნება ამ ყველაფრით ინფორმირებული და დაინტერესებული, მით უკეთესია.

***— როგორც ვიცით, რამდენიმე ყალბი გენერალიც აღმოაჩინეთ...***

— კი, იყო ასეთი რამდენიმე შემთხვევა.

***— რამდენი?***

— რამდენიმე. არა მარტო გენერლები, სხვა დიდი თანამდებობის პირებიც იყვნენ. 24 ათასი პოლიციელი იყო მაშინ რეგისტრირებული. დღეს არის 8 ათასი. სად წავიდა 16 ათასი კაცი?

***— ამდენი უკმაყოფილო ადამიანი ასე უკვალოდ დაიკარგა?***

— რა თქმა უნდა, უკვალოდ არაფერი იკარგება. ეს ადამიანები ყოველთვის აქტიურობდნენ. მათი აქტიურობა განსაკუთრებით ამ ბოლო პერიოდშია შესამჩნევი. ისინი ყველანაირად ცდილობენ, დეპარტამენტის მუშაობას ჩირქი მოსცხონ, მაგრამ, მინდა, ყველამ კარგად გაიგოს — დეპარტამენტი მუშაობს და ასე წარმატებით გააგრძელებს მომავალშიც მუშაობას. ასე რომ, ტყუილად ნურავინ დაიღლის ყბებს უსარგებლო ლაპარაკით. ჩვენ სწორედაც რომ ბევრი გავცხრილეთ და კიდევ ბევრს გავცხრილავთ. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ვიღაცას უნდა, ვეტერანების ციფრი შემცირდეს, არა, ეს იმიტომ ხდება, რომ იმ გაყალბებასა და არაკეთილსინდისიერ ქმედებას, რაც იყო წინა ხელისუფლების დროს, საბოლოოდ დაესვას წერტილი.

***— ამ ეტაპზე დეპარტამენტში რა პროცესები მიმდინარეობს ისეთი, რაც არ არის საზოგადოებისათვის ცნობილი, კითხვები იყო 2008 წლის ომში დაღუპულებსა და მათ სტატუსებზე?***

— ამჟამად მიმდინარეობს აგვისტოს ომში მონაწილე ბიჭების აღრიცხვაზე აყვანა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შექმნა კომისია, რომელიც მოგვაწოდა და ეს ადამიანები ვეტერანთა დეპარტამენტში აღრიცხვაზე აგვყავს. მოდიან ეს ადამიანები, მოქმედი ჯარისკაცები, ძირითადად არის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხალხი და მათ ვანიჭებთ ომის ვეტერანის სტატუსს.

***— ამ ეტაპზე რამდენმა ადამიანმა გაიარა რეგისტრაცია?***

— ამ ეტაპზე რეგისტრაცია გავლილი აქვს 1300 კაცს და კიდევ ველოდებით.

***— როგორც ვიცი, უფრო ეფექტური მუშაობისთვის დეპარტამენტი უნდა ჩამოყალიბებულიყო საჯარო იურიდიულ პირად. ამასთან დაკავშირებით რა ხდება?***

— ჩვენ მივესალმებით ყველაფერს ახალს, რაც ვეტერანთა დეპარტამენტის მუშაობას უფრო ეფექტურს გახდის. ეს თითოეული ვეტერანის ოჯახზე აისახება. თუ დეპარტამენტი ჩამოყალიბდება სიპ-ად, ამით ჩვენი მუშაობა უფრო ეფექტური გახდება.

***— რაც შეეხება ვეტერანთა ჰგოსპიტალს, გარკვეული პრობლემები არსებობდა ამასთან დაკავშირებითაც, რაც ვეტერანთა უკმაყოფილების მიზეზი იყო...***

— ვეტერანთა ჰოსპიტალს გამოუყვეს დაფინანსება. ეს არის 800 ათასი ლარი, რაც მისი მუშაობისთვის არის საჭირო, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ საკმარისია ეს თანხა. ნამდვილად არ არის საკმარისი. აქ შედის მომსახურე პერსონალის ხელფასები. ძალიან დაბალი ხელფასი აქვთ, მედიკამენტები, ოპერაციები, თუმცა, ფაქტია, რომ ვეტერანთა ჰოსპიტალს დახურვა არ ემუქრება. ჰოსპიტალი ძალიან დიდ საქმეს გვიკეთებს. იყო ასეთი შემთხვევა სულ ახლახან, რომ ერთ-ერთ ვეტერანს დიაბეტისგან კიდურზე დაეწყო განგრენა. საჭირო იყო ამპუტაცია. ერთ-ერთ საავადმყოფოში სთხოვეს 5 ათასი ლარი. რა თქმა უნდა, ვეტერანმა მომმართა. გავუშვი ჰოსპიტალში და ეს ოპერაცია ჩაუტარდა სრულიად უფასოდ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჰოსპიტალი ძალიან დიდ საქმეს აკეთებს.

# დაღუპული მაღაროელების ოჯახები ხელისუფლებამ მიატოვა

## რატომ აბრალებენ მაღაროში მომხდარ აფეთქებას მუშებს

გულიკო ბალა ძე

ერთი წლის წინ სააკაშვილმა დიდი ზარზეიმით გახსნა ტყიბულის მინდელის სახელობის მაღარო. მაშინ ქვეყნის პირველი პირი საზოგადოებას სიხარულით ამცნობდა, რომ მაღაროს გახსნით ქვეყანაში სამუშაო ადგილები შეიქმნა და იქ მომუშავე პირების ოჯახები უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ.

კომუნისტების დროს ტყიბულში ოთხი მაღარო მუშაობდა — ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძისა და მინდელის სახელობის. შემდეგ მაღაროებში მუშაობა შეჩერდა. ერთი წლის წინ ერთი მაღარო ამუშავდა და ითქვა, რომ იქ ტექნიკური მხარე თანამედროვე დონეზე იყო.

როგორც ჩანს, მაღარო მზად არ იყო სამუშაოების წარმოებისთვის. აქაც პიარის ელემენტი ჭარბობდა და ითქვა, რომ მაღარო თანამედროვე დონეზე იყო მოწყობილი.

მაღაროში ყველაფერი წესრიგში რომ არ აღმოჩნდა, ამას ბოლო 9 თვის განმავლობაში მომხდარ აფეთქებათა სერიაც მოწმობს. ამასთან, შეიძლება სხვა მიზეზებიც გამოიკვეთოს.



არსებობს სტატისტიკა, რომლის თანახმად, ბოლო 9 თვის განმავლობაში ტყიბულის მაღაროში სამი აფეთქება მოხდა.

ტყიბულის კარგად გაკეთებულ მაღაროში პირველი აფეთქების ხმა 3 მარტს გაისმა, დაიღუპა 4 ადამიანი, დაშავდა — 10.

მეორე აფეთქება მოხდა 27 აგვისტოს, ღამით ათის ნახევარზე, რომლის დროსაც სამი ადამიანი ადგილზე დაიღუპა, 7 — მძიმედ დაშავდა. მეოთხე ადამიანი სამი დღის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მესამე აფეთქება იანვარში მოხდა, რომლის დროსაც 1 ადამიანი დაიღუპა და 4 დაშავდა. ერთი მაღაროელი ახლა მძიმე მდგომარეობაში იმყოფება — 60%-იანი დამწვრობა აქვს მიღებული.

ბოლო აფეთქების შემდეგ ჩვენ მოვისმინეთ სომხეთში მყოფი სააკაშვილის განცხადებები, სადაც მან ღიად განაცხადა, რომ მაღაროში მომხდარი აფეთქების მიზეზები უნდა გამოძიებულიყო და დამნაშავეები დასჯილიყვნენ, თანაც ამ განცხადებით სააკაშვილმა, ფაქტობრივად, უნდობლობა გამოუცხადა ადგილობრივ საგამოძიებო ორგანოებს, რადგან წინა ორი აფეთქების მიზეზებს სწორედ ისინი იძიებდნენ. როგორც ჩანს, იქ ზოგიერთების დანაშაულებრივი ქმედებები იფარცხებოდა.

აგვისტოს აფეთქების შემდეგ ტყიბულში საქართველოს შს მინისტრი მერაბიშვილიც იმყოფებოდა, მაგრამ ჩანს, რომ ვითარება მაინც არ გამოსწორდა. ადამიანები მაღაროში იმავე პირობებში აგრძელებდნენ მუშაობას.

არის მცდელობა, აფეთქება მაღაროელებს დააბრალონ და მარჩენალდაკარგული და ტრავმირებული ოჯახები, სააკაშვილისა და იმერეთის გუბერნატორის შეპირებების მიუხედავად, დახმარების გარეშე დატოვონ.

— 27 აგვისტოს დაღუპული მაღაროელის იოსებ ობოლაძის მეუღლე ნანა ქურთაძე აცხადებს, რომ აფეთქება მაღაროში არსებული მოუწყობლობით არის გამოწვეული. მისივე თქმით, მაღაროში ვენტილაცია სისტემატურად არ მუშაობს. მას არ რთავენ, რადგან ელექტროენერგიის დაზოგვა ხდება. თუ ვენტილაცია ნორმალურად არ მუშაობს, ე.ი. იქ მეთანის ოდენობაც და აფეთქების საშიშროებაც დიდია.

27 აგვისტოს ერთად დაიღუპნენ ლაშა ბოჭორიშვილი, პაატა მოდებაძე და ჩემი მეუღლე იოსებ ობოლაძე. საცოდავები... სამივე საშინლად იყო დამწვარი. ჩემი მეუღლე სრულიად ჯანმრთელი ადამიანი გახლდათ. იმდენად ჯანმრთელი იყო, პირველი ცვლის მორიგეობის შემდეგ სანადიროდ მიდიოდა. ის ტყიბულის მაღაროში მუშაობის დაწყებამდე თბილისში გვირაბგამყვანი გახლდათ. სკოლის შემდეგ სულ მაღაროში მუშაობდა, გამოუცდელი მუშაკი არ იყო. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ მომხდარ აფეთქებას თვითონ მუშებს აბრალებენ, თითქოს სიგარეტს ეწეოდნენ. ჩემი მეუღლის ტანსაცმელს ტელეფონის ზარით მიაგნეს. კარადებიც არა აქვთ მოწესრიგებული. მუშებს სპეცტანსაცმელიც არა აქვთ, მაღაროში სამუშაოდ ჩასვლისას რომ ჩაიცვან. შარშან მაისში ჩემს დედამთილს გულზე შუნტირება გავუკეთეთ, თან ასთმა აქვს. ჩემი მამამთილიც დავარდნილია. ამიტომ ჩემმა მეუღლემ ტყიბულში გადასვლა გადაწყვიტა. მე ვერ მივდიოდი, აქ ბავშვები მყავდა მისახედი. ტყიბულში 2 თვის დაწყებული ჰქონდა მუშაობა და დაიღუპა.

***— თქვენ განაცხადეთ, რომ გარდერობი არ ჰქონდათ მოწყობილი...***

— არც გამწოვი მუშაობდა. ამას ყველა ადასტურებს. განიავება არ ხდებოდა. პირველი აფეთქება 3 მარტს მოხდა. დაიღუპა 4 ადამიანი. როგორც ჩვენ, მათ ოჯახებსაც არანაირი კომპენსაცია არ მიუღიათ. მარტში დაიწყო გამოძიება და, რამდენადაც ვიცი, მაშინდელი აფეთქება ჯაშიაშვილს დაბრალდა. ჩემი შვილი დასავლეთის ჰაერს ვერ იტანს. ამიტომ მე ვერ წავედი და იქ გადასვლა ჩემმა მეუღლემ იმიტომ გადაწყვიტა.

27 აგვისტოს ღამით აფეთქებისა და იქ დატრიალებული უბედურების შესახებ დილით გავიგე. საცოდავი იმდენად იყო დამწვარი, რომ ორი თვის უნახავი მამა შვილებს ვერ ვაჩვენე. მაცივარიც კი ვერ მოერია, დამატებით პროცედურების ჩატარება დაგვჭირდა, მიცვალებული რომ არ გაფუჭებულიყო და ნორმალურად გაგვესვენებინა.

***— რატომ აცხადებენ, რომ მაღაროში მომხდარი აფეთქება მუშების ბრალი იყო?***

— მუშებს იმიტომ აბრალებენ, თავიანთი დანაშაული რომ დაფარონ. ახლახან ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერით, აქუბარდიას გადაცემაში, გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილმაც განაცხადა, იმდენად უნიჭოები არიან, სიგარეტის კოლოფი ჩაიტანეს და დააგდეს, რომ აფეთქება ისევ მუშებს დაბრალებოდათო. ამდენი ხალხი რომ დაიჭრა და დაიღუპა, ის სიგარეტის კოლოფი

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# 1992 წელს საქართველო–აშშ–ის ისტორიაში ახალი ერა დადგა

გერა მამულაშვილი

**„ახალი თაობა“ გთავაზობთ მორიგ ინტერვიუს საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუასთან.**

*— ბატონო თენგიზ, როგორ ვითარდებოდა პროცესები საქართველოში 1992 წლის აპრილში?*

— აშშ-დან დაბრუნდა საქართველოს სამთავრობო დელეგაცია, რომელსაც პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ოთარ ქვილითაია ხელმძღვანელობდა. ვიზიტი შედეგიანი იყო. საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის წევრი გახდა. რაც საგრძნობლად დააჩქარებდა უცხოური ინვესტიციების გამოყოფას.

მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში დაარსდეს და აღდგეს სამხედრო კათედრები, სადაც მოამზადებენ თადარიგის ოფიცრებს საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის.

თბილისში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ აშშ-ს მოსკოვის საელჩოს სამხედრო ატაშეს და სამხედრო-საზღვაო ატაშეს წარმომადგენლები.

ასევე აპრილში თბილისში სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა ცნობილი პოლიტიკოსი და ბიზნესმენი, ევროპარლამენტის ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარე კრისტიან როლსინგი. სწორედ მისი ინიციატივით გაიმართა 1991 წლის ზაფხულში საქართველოს დელაგაციის შეხვედრები ევროპარლამენტის ხელმძღვანელობასთან; ევროპის და დანიის საქმიან წრეებთან. მან, საქართველოს დიდმა მეგობარმა ხელი შეუწყო ტექნიკური დახმარების პროექტების შემუშავებას, რომელთა მიზანიც რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცება იყო. ეს პროექტები კერძოდ შეეხებოდა თბილისში მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის შექმნას, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას, კერძო სატრანსპორტო კომპანიათა შექმნას, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, სერთიფიკაციის ეროვნული სამსახურების ორგანიზაციას. სამრეწველო საწარმოებში ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვას.

როლსინგმა განაცხადა, რომ ევროპარლამენტი მზად არის საქართველოს ხელი შეუწყოს იმაში, რომ დაძლიოს ეკონომიკური სიძნელენი, რესპუბლიკაში მოიზიდოს კერძო ინვესტორები. როლსინგმა მაცნობა, რომ ევროპარლამენტის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის პროგრამის დაფინანსების შესახებ. მუშავდებოდა წინადადებები საქართველოში ტელეკომუნიკაციების განვითარებისთვის ევროპიდან მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვაზე. გადაწყდა, რომ წამყვანი ევროპული ქვეყნები გამართავდნენ კონსულტაციებს ძირითადი რესპუბლიკური კანონების პროექტების მომზადებისას.

*— როგორი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა იყო ამ დროისთვის ქვეყანაში?*

— რესპუბლიკაში ეკონომიკური მდგომარეობა რთული იყო. რამდენადმე იკლო დაძაბულობამ სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში. მდინარეებში წყლის დონის მომატებამ შესაძლებელი გახადა ელექტროენერგიის გამომუშავების გაზრდა შვიდი-რვა მილიონი კილოვატ-საათით. ამუშავდა მთელი რიგი სათბობის და ენერგიის უქონლობის გამო მოცდენილი სამრეწველო საწარმოები. მაგრამ მათი უმრავლესობის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ნედლეულის დეფიციტის პრობლემა.

შეფერხებებით მიმდინარეობდა სოფლად საგაზაფხული სამუშაოები, საწვავის მინიმალური მარაგის გამო. თუ დიზელის საწვავისა და მაზუთის მხრივ საქმე მეტნაკლებად ნორმალურად იყო, ბენზინის მარაგი პრაქტიკულად ნულს უახლოვდებოდა. მინიმალური იყო ღუმელის სათბობის მარაგიც, რომელიც აუცილებელი იყო ჩაის ფაბრიკებისთვის. საკმაოდ რთული მდგომარეობა იყო რესპუბლიკაში სურსათის მარაგის მხრივაც. მარცვლეულის დაახლოებით ერთი თვის მარაგი იყო დარჩენილი, ხოლო 70 ათასი ტონა უახლოეს ხანში უნდა შემოსულიყო.

რაც შეეხება შაქარს, სიტუაცია უაღრესად რთული იყო. რადგან უკრაინაში, ამ პერიოდში ძირითადი მომწოდებელი ქარხნები გაჩერებული იყო. შაქარი უბრალოდ არ იწარმოებოდა. მიმდინარეობდა ინტენსიური მოლაპარაკებები საზღვარგარეთულ ფირმებთან შაქრის, რძის ფხვნილის და სხვა პროდუქტების მოწოდების თაობაზე ბარტერული გარიგების გზით. მთლიანად რესპუბლიკაში დაბალი ტემპით მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. თუ აღმოსავლეთ საქართველოში 10 აპრილისთვის უკვე დამუშავებული იყო მიწის სავარგულების ნახევარი, დასავლეთ საქართველოს მრავალ რაიონში, განსაკუთრებით სამეგრელოში გაზაფხულის მინდვრის სამუშაოები მხოლოდ აპრილში დაიწყო.



*— რა ხდებოდა ამ დროს საგარეო პოლიტიკურ სფეროში?*

— გაცილებით ოპტიმისტური იყო რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკაში და საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში არსებული ვითარება. ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად თბილისში ჩამოვიდნენ კუბის რესპუბლიკის, საბერძნეთის, ნიდერლანდების სამეფოს და აშშ-ს წარმომადგენლები. ხოლო ჩვენი დელეგაცია პოლონეთში გაემგზავრა. საქართველოს და საბერძნეთის ისტორიულ და კულტურულ კავშირურთიეთობებს, რასაც საუკუნეებში ფესვები ღრმად აქვს გადგმული, მტკიცე საფუძველი შეექმნა. 20 აპრილს თბილისში საზეიმო ვითარებაში ხელი მოეწერა დოკუმენტებს საქართველოს და საბერძნეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ.

საქართველოს და კუბას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების საზეიმო ცერემონიალით დამთავრდა თბილისში კუბის დელეგაციის ვიზიტი, რომელსაც მეთაურობდა კუბის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ალისაბედ იდალგო. მხარეებმა აგრეთვე მიიღეს დადგენილება თბილისსა და ჰავანაში ელჩების აკრედიტაციის შესახებ. კიდევ ერთმა სახელმწიფომ დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსთან. ამჯერად ეს ნიდერლანდების სამეფო გახლდათ. 21 აპრილს ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ცერემონიალზე თავიანთი სახელმწიფოების მთავრობათა სახელით დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების აქტს მოეწერა ხელი.

24 აპრილს გერმანიის ელჩმა საქართველოში გიუნტერ დალჰოფმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში ჩამოვა გერმანელ ექსპერტთა დელეგაცია, რომელიც ქართველ კოლეგებთან ერთად მოამზადებდა დოკუმენტთა პაკეტს საქართველოს ეკონომიკაში გერმანიის ინვესტიციებისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით. მაისში თბილისში იმუშავებს ევროპის ოთხი ქვეყნის საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციათა ექსპერტების ჯგუფი. გაიმართება მოლაპარაკება მეცნიერებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მოსამზადებლად. გერმანიაში მიწვეულია ქართველ სპეციალისტთა დელეგაცია.

ახალი ერა დადგა საქართველო-აშშ-ს ისტორიაში. 24 აპრილს სასტუმრო მეტეხის წინ „ფლაგშტოკზე“ ამერიკის დროშა აფრიალდა. თბილისში გაიხსნა აშშ-ს საელჩო. ამერიკის დროებით საქმეთა რწმუნებულმა საქართველოში კერი კევინომ აღნიშნა, რომ აშშ-ს საელჩოს გახსნა მოასწავებს ახალ ერას ჩვენი ხალხების მეგობრობის ისტორიაში. მან ასევე აცნობა შეკრებილთ, რომ აშშ საქართველოსთვის აგზავნის 300 ტონა პროდუქტს და მედიკამენტებს.

*— ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ დაგეხმაროთ ეკონომიკური კრიზისიდინ გამოსვლაში, — ასე დაამთავრა კევინ კევინომ თავისი გამოსვლა.*

აშშ-ს სენატორმა ალენ კრესნსტონმა თავის გამოსვლაში კერძოდ თქვა: — საქართველოს მნიშვნელოვანი და ხელსაყრელი მდებარეობა აქვს. იგი უმოკლესი გზაა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. ეს ხელს შეუწყობს თქვენს ეკონომიკას სწრაფად დადგეს ფეხზე. არანაკლებ როლს შეასრულებს მადლიანი კლიმატიც, რომელიც აგრეთვე ხელს უწყობს ეკონომიკის აღორძინებას.

28 აპრილს ვარშავაში ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს და პოლონეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე. დოკუმენტს ხელი მოაწერეს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ერჟი მარაკშიკმა და ჩვენმა საგარეო მინისტრის მოადგილემ მიხეილ უკლებამ. პოლონეთში საქართველოს დელეგიციის ვიზიტისას აგრეთვე ხელი მოეწერა შეთანხმებას ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. რომელიც შეიცავდა ისეთ დარგებს, როგორიც არის ელექტრომანქანათმშენებლობა, საამშენებლო და კვების მრეწველობა, მზა ტანსაცმელის წარმოება და სოფლის მეურნეობა.

*— ამ პერიოდისთვის ავტონომიებში არსებულ რეალურ მდგომარეობაზეც ვთქვათ ერთი-ორი სიტყვა...*

— საქართველოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ წარმოაჩინა გამწვავებული ერთაშორისი ურთიერთობების და ადამიანის უფლებების უხეში ხელყოფის ფაქტები. ანტიდემოკრატიულმა და პოპულისტურმა პოლიტიკამ, ავტორიტარიზმამდე მიიყვანა საქართველოს მოსახლეობა. ვერ იქნა აცილებული ძმათა სისხლისღვრა. დაიღუპა ასობით ადამიანი. კონფრონტაციამ, საზოგადოების დაპირისპირებულ მხარეებად გაყოფამ დამღუპველი გავლენა იქონია საქართველოს მთლიანობაზე. სხვა ნეგატიურ მოვლენების წარმოშობასთან ერთად საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა ერთაშორის ურთიერთობაშიც, რაც წლების მანძილზე ისედაც არცთუ მოწესრიგებული იყო.

აფხაზეთში მდგომარეობა პერმანენტულად არამდგრადი იყო. ცხინვალის რეგიონში ეროვნებათაშორისო კონფლიქტი ნამდვილ სამოქალაქო ომად იქცა, ადამიანთა მსხვერპლის, წამების და დახოცვის არაერთი შემზარავი ფაქტის გამო. ამას კიდევ უფრო ამძაფრებდა ის გარემოება, რომ ათასობით ადამიანი, მათ შორის ბავშვი როგორც ქართველი, ისე ოსი, იძულებული იყო, მიეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაქცეულიყო ლტოლვილად, რომელთა რიცხმა 120 ათასს მიაღწია.

ცხინვალის რეგიონში დაცარიელდა ქართული და ოსური დასახლებული პუნქტები. ფრონეს ხეობაში არ ფუნქციონირებდა არცერთი ქართული სოფელი. მიმდინარე პროცესებს განსაკუთრებით ამძიმებდა და უმარათავს ხდიდა ის ფაქტი, რომ სხვა მიზეზებთან ერთად ვერ ალიკვეთა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მოქმედება. გართულებული იყო არამარტო ადამიანთა უფლებების, არამედ მათი სიცოცხლის დაცვაც. მიუხედავად დროებითი მთავრობის სამშვიდობო ინიციატივებისა, რაც ოფიციალური განცხადებებით, სხვადასხვა კომისიების შექნით და მუშაობით გამოიხატა, დაპირისპირების რაიონში ცეცხლის შეწყვეტა და ბლოკირებური გზების გახსნა მაინც ვერ ხერხდებოდა. სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა რა შექმნილი სიტუაცია, მიიჩნია, რომ მდგომარეობა კრიტიკულია და მისი შემდგომი ესკალაცია დიდი საშიშროების წინაშე დააყენებს ქვეყანას. ეროვნებათშორისი ურთიერთობების გაუმჯობესება და ადამიანის უფლებების დაცვა, განსაკუთრებით ცხინვალის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება საქართველოსთვის უპირველეს სახელმწიფოებრივ საქმედ იქცა. სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შექმნილიყო საერთაშორისო ურთიერთობების და ადამიანის უფლებების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე დროებითი მთავრობის ვიცე-პრემიერის მოვალეობას შეასრულებდა. ამ თანამდებობაზე დაინიშნა ბატონი ალექსანდრე კავსაძე. მას მიეცა საგანგებო დავალება და სახელმწიფო საბჭოს სპეციალური რწმუნებები ცხინვალის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისთვის...

# დაღუპული მაღაროელების ოჯახები ხელისუფლებამ მიატოვა

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ცოტათი მაინც არ შეიტრუსებოდა? პრეზიდენტმა სომხეთში განაცხადა, რომ აღარ ენდობა ადგილობრივ გამოძიებას და ყველაფერს ნორმალურად გამოიძიებს.

27 აგვისტოს აფეთქების მეორე დღეს პრეზიდენტი ტყიბულში იყო ჩასული. მაშინ ის მიუბრუნდა იმერეთის გუბერნატორ მაქაცარიას და ჰკითხა, რა სახის კომპენსაციები მიეცემათო. მან უპასუხა, 10-ათასლარიანი კომპენსაციაო. პრეზიდენტმა თქვა, გარდა ამისა, დაეხმარეთ, თუ ოჯახში მოხუცებულები და ბავშვები ჰყავთ, ვინმე დასასაქმებელი თუ არის, დაასაქმეთ, სტუდენტებს სწავლის საფასური გადაუხადეთ, რათა ოჯახმა მარჩენალის დაკარგვა არ იგრძნოსო. ერთი დაღუპულის სტუდენტ შვილს, მგონი, 30% გადაუხადეს. ჩემი მეუღლის დასაფლავების თანხა გადაიხადეს, ორმოცის ხარჯიც და სასაფლაოს თანხაც მოგვცეს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სრულიად უსახსროდ დავრჩით. ტყიბულის მერიაში მივედი, ცოცხლებს არაფერი გვინდამეთქი? მიპასუხეს, 10 ათასი ლარის დახმარების თაობაზე არაფერი ვიცითო. პირველად ვინც დაიღუპნენ, მათი ჭირისუფლებიც მოგვივარდნენ, ამათ თუ 10-ათასლარიანი კომპენსაცია ეკუთვნით, ჩვენ რატომ არ გვეკუთვნისო.

*— მერიამ უნდა გასცეს კომპენსაცია თუ თვითონ მაღაროს ხელმძღვანელობამ?*

— მაღაროს ხელმძღვანელობამ გვითხრა, ეს ჩვენი პრეროგატივა არ არისო. მერიაში მითხრეს, არ ვიცითო. ქუთაისში გუბერნატორის მოადგილემ მითხრა, ყველაფერს გავარკვევო. გამოსული არ ვიყავი, ჩვენი სოფლის (ხრესილის) გამგებელმა დარეჯან ბუბაშვილმა დამირეკა, ტყიბულის მერს უნდა თქვენთან გასაუბრებაო. ტყიბულის მერმა მითხრა, გასვენების ხარჯები მოგეცით, დავასაფლავეთ, გზაზე ხრეში დაგიყარეთ, უყურადღებოდ არ ხართო. ვუპასუხე, მიცვალებული მიწის ზემოთ ვის დაუტოვებია. ჩემს ქმარს სხვაგან რამე რომ მოსვლოდა, თქვენ არ მოგაკითხავდით, თქვენ მომიკალით სრულიად ჯანმრთელი ადამიანი, ახლა კიდევ მის დასაფლავებას მაყვედრით-მეთქი? ჩემი ქმრის ლარიანი მერჩივნა მათ მოცემულ 10 ათასებს. მე ის თანხა არაფერში მჭირდებოდა, მაგრამ ახლა მჭირდება. იმის გამო, რომ მარჩენალი გვერდით აღარ მყავს, დამეხმარეთ, რომ მოხუცებს მივხედო-მეთქი. მან მაღაროში გამაგზავნა. ახლა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ვალერი კუხალაშვილია. მან მითხრა, რა ვქნათ, ქალბატონო, დასაფლავების ხარჯები მოგეცითო.

*— დასაფლავების ხარჯები მერიამ გაიღო თუ მაღარომ?*

— მაღარომ გაიღო.

*— აბა, მერი რატომ გეუბნებოდათ, დაგეხმარეთო?*

— არ ვიცი. ახლა დაზღვევის თანხები გვეკუთვნის. საერთოდ, მაღაროელები დაზღვეული არიან 7 ათას ლარში.

*— დაზღვევის თანხმების მოცემაც არ უნდათ?*

— 6 თვე რომ გავა, მემკვიდრეობა უნდა გავაკეთო, მაგრამ, როგორც ახლა ჩემამდე ინფორმაცია მოვიდა და ერთ-ერთმა დაზარალებულმა მაღაროელმა გია ობოლაძემაც მითხრა (რომელსაც ამ ავარიის შემდეგ ფეხი მოჰკვეთეს), მე ასე მიპასუხეს, სანამ არ დამთავრდება გამოძიება, ვერც იმ დაზღვევის თანხას მოგცემთო.

*— რატომ? თუ დაასკვნეს, რომ აფეთქება მაღაროელების მიზეზით მოხდა, შეიძლება, თანხა არ მოგცენ?*

— ჩემს მეუღლეს ვერაფერს დააბრალებენ. ბიძა იყო მისული ჩემი მეუღლის ტანსაცმლის წამოსაღებად (ტანსაცმლი ხელუხლებელი მიდევს სახლში, ისეთი, როგორიც მაღაროდან ამოიტანეს). ჯერ ერთი, ტანსაცმელს ტელეფონის ზარით მიაგნეს. ჩემს მეუღლეს ტანსაცმლის ჯიბეში გაუხსნელი სიგარეტი, გახსნილი სიგარეტი და სანთებელა ჯიბეში ჰქონდა. ბიძაჩემს ჩემი მეუღლის ტანსაცმელი დაცვის უფროსისთვის უჩვენებია, რა მდგომარეობაში იყო. მტკიცებულებები სახლში მიწყვია. მაღაროს დირექტორსაც ვუთხარი, ჩემს მიცვალებულს ხელი არავინ დაადოს-მეთქი, იმიტომ რომ გამოუცდელი მუშაკი არ იყო, იქ მისვლამდე 17-18 წელი მაღაროში ჰქონდა ნამუშევარი. ვინ მოწევს მაღაროში სიგარეტს, როცა იცის, რომ ამით თავს იკლავს.

სანამ ბოლო აფეთქება მოხდებოდა, მანამდე მე ვთქვი, ტყიბულის მაღაროში რაღაც კიდევ მოხდება-მეთქი, რადგან მუშებისაგან ვიცი, რომ ვენტილაციის მილები სკოჩით წებდება. ვენტილაცია საერთოდ გაუმართავია.

*— სკოჩით როგორ შეიძლება მილების მიწებება?*

— არ ვიცი. ახლა კიდევ იყო გაფიცვები. მუშები მაღაროში არ ჩადიოდნენ... იმ დღესაც, ბოლო აფეთქება რომ მოხდა, მუშები მაღაროში არ ჩადიოდნენ, რადგან მეთანის შემცველობა თურმე ძალიან მაღალი იყო. მაგრამ შემდეგ მუშებისთვის უბრძანებიათ, ჩადითო და ისინიც ჩავიდნენ. სიტყვიერი გაფრთხილება მიუციათ, ააფეთქეთო. საიდან ჰქონდა მუშას ასაფეთქებელი ნივთიერება? როცა აფეთქებაა საჭირო, იქ უნდა შედგეს სპეციალური პასპორტი. უნდა შედგეს აქტი, გამოიყოს ასაფეთქებელი მასალა და მომზადდეს ასაფეთქებლად. ამფეთქებელი კიდევ სულ სხვა პირია. ამათ სიტყვიერი გაფრთხილება მისცეს, მიდით და ააფეთქეთო.

მარჩენალის დაკარგვის გამო ჩვენი ოჯახი ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ახლა მაღაროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა კუხალაშვილმა მითხრა, 500 ლარს გამოგიყოფთო, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ადრე 1000 ლარი მომცეს, რითაც ჩემი დედამთილი თბილისში მყავდა, პროცედურები ჩავუტარე. იქ ჩემს მამამთილს მომვლელი დავუნიშნე. 1000 ლარი რა არის, მაშინ როცა ყოველ 10 დღეში ჩემს დედამთილს 150 ლარის წამლები სჭირდება.

*— თქვენი მეუღლე რამდენს იღებდა?*

— 600 ლარამდე. ოჯახს არჩენდა. აქაც მიგზავნიდა ბინის ქირის გადასახდელად.

*— ხომ არ იცით, სხვა დაღუპულების ოჯახები როგორ მდგომარეობაში არიან?*

— ყველა დაღუპული მაღაროელის ოჯახი მსგავს მდგომარეობაშია. ერთს დარჩა სამი შვილი, ერთი სტუდენტია, ორი — სკოლის მოსწავლე. ბოჭორიშვილს დარჩა 5 წლის შვილი და 24 წლის მეუღლე. ჩვენს მეზობელ ჭანტურიძეს ორი შვილი და ორი დავარდნილი მოხუცი დარჩა. დედა ეტლში ჰყავს, მამამ საერთოდ ვერც გაიგო, შვილი მოუკვდა თუ ცოცხალია.

# სააკაშვილს უნდა, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

*— რამდენად ხედავთ იმის საფრთხეს, რომ ჩვენს ქვეყანაშიც ეგვიპტის მსგავსი მოვლენები განვითარდეს?*

— მე არა მგონია, საერთოდ, რომ ღირდეს ასეთი შეფასების გაკეთება და რამე კავშირის დანახვა. კავშირი შეიძლება ყოფილიყო იმ შემთხვევაში, თუ ის ძალა, რომელიც ახლა ეგვიპტის მოვლენების უკან დგას, უკმაყოფილო იქნებოდა საქართველოში განვითარებული პროცესებით. სამწუხაროდ, ძალა, რომელიც მართავს ჩვენს ქვეყანას, ე.წ. საერთაშორისო პროექტის მიხედვით თუ ვილაპარაკებთ, ამ პროექტის მიხედვით ისე წარმატებულად იმართება საქართველო, სამწუხაროდ, რომ ასეთი გლობალური მასშტაბის რყევებს არ უნდა ველოდოთ. მე ეს არაერთხელ მითქვამს. მოსალოდნელია დაახლოებით მარტისთვის სიტუაციის დროებითი გამწვავება, ანუ ხელოვნური გამწვავება და ეს გამწვავება ხელს აძლევს ხელისუფლებას, კონკრეტულად სააკაშვილს და როგორც ჩანს, საჭიროების შემთხვევაში ამაში კიდევ ერთხელ შეუწყობს ხელს, აბსოლუტურად შეგნებულად ოპოზიცია და არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ ამიტომ საუბრობენ ისინი მარტის თვეში რაღაც გააქტიურებაზე. სააკაშვილს ეს პროცესები სჭირდება ერთადერთი მოტივით, რომ მას მიეცეს საშუალება, დანიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, ოღონდ ეს უნდა დანიშნოს უკვე გამარჯვებულმა, დარბევის შემდეგ, როგორც ეს 7 ნოემბრის დღეებში მოხდა. აქციის დარბევის, საზოგადოების დათრგუნვის შემდგომ დანიშნული არჩევნები, ბუნებრივია სააკაშვილის პოლიტიკურ ორგანიზაციას, გარანტირებულ, სერიოზულ წარმატებას მოუტანს, რაც სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვეულებრივი, მორიგი საპარლამენტო არჩევნების პირობებში. ასეთი ტიპის გამარჯვება, ანუ სერიოზული გამარჯვება სააკაშვილისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, რათა მან შეძლოს ხელისუფლებაში დარჩენა, ამა თუ იმ ფორმით. ან ისევ საპრეზიდენტო ქვეყანაში პრემიერ-მინისტრად, ან მომავალი პარლამენტი რა სახელმწიფო მოწყობასაც დაადგენს, იმ მოწყობაში ისევ და ისევ პრემიერ-მინისტრად.

*— სოციალური ფონი უმძიმესია და თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი მიზანმიმართულად ხდება იმისთვის, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს?*

— დიახ, სოციალური ფონი მძიმდება ხელოვნურად. საქმე ის გახლავთ, რომ ამ შემთხვევაში ხელისუფლება წაუგებელ თამაშს თამაშობს. მისი და ოპოზიციის ერთობრივი ძალისხმევით, ყველა თვალსაზრისით დისკრედიტებულია ოპოზიცია, რაც სააკაშვილისთვის ერთგვარი გარანტიაა იმისა, რომ მას აი, ამ ოპოზიციის, რომელიც დღეს დისკრედიტებულია, არანაირ საფრთხეს მისგან აღარ გრძნობს. აქედან გამომდინარე, სოციალური ფონი რომ ყოფილიყო ჩვეულებრივი, ანუ ჩვეულებრივად ცუდი, როგორიც ადრე იყო, შესაძლოა ოპოზიცია თავისი დაბალი რეიტინგიდან გამომდინარე აღარ ყოფილიყო საკმარისი იმისთვის, რომ ხალხი ქუჩაში გამოსულიყო. აი, ამაზეა საუბარი, ამიტომ ახლა იქმნება მწვავე სოციალური ფონი, როდესაც ადამიანები იძულებულები გახდებიან ქუჩაში გამოვიდნენ, მიუხედავად იმისა, სჯერათ თუ არა მათ ოპოზიციის და ფორმალურად ამ ყველაფრის სათავეში ჩადგება ოპოზიცია, რომელიც, როგორც ჩანს, ამ გარიგების შედეგად გარკვეულ ადგილებს მომავალ პარლამენტში ელოდება. ის რომ ამ ოპოზიციამ ერთხელ გადახია მანდატები და არ შევიდა პარლამენტში, მან ეს ძალიან სწრაფადვე ინანა, იმიტომ, რომ შემდეგ იგივე ოპოზიციამ ერთმანეთს უმოწყალო ბრძოლა გაუმართა ადგილობრივი არჩევნების დროს და ჩვენ ეს ვნახეთ. ეს არის ერთ-ერთი ვარიანტი მოვლენების განვითარების, არ არის გამორიცხული, რომ სააკაშვილმა სხვა გზა აირჩიოს, ან უბრალოდ ისე გაიმყაროს თავისი მდგომარეობა, რომ არც დასჭირდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, თუმცა, მე მაინც მგონია, რომ უფრო დასჭირდება. ეს უფრო შედის მის ინტერესებში.

*— ხომ შეიძლება, რომ ქუჩაში გამოსული ხალხი სააკაშვილმა ვეღარ გააკონტროლოს და სიტუაცია უმართავი გახდეს?*

— 100%-იანი გარანტია არაფერში არ არსებობს და არ არსებობს პირველ რიგში სწორედ პოლიტიკაში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ყველაფერი გამოვიდეს კონტროლიდან, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ძირითადი სადავეები ხელისუფლების მხრიდან მაინც სააკაშვილის ხალხს უპყრია ხელთ და ოპოზიციის მხრიდან, ანუ ის ოპოზიცია, რომელიც არ წავიდოდა არანაირ გარიგებაზე და აქ ჩემს თავზეც მაქვს ლაპარაკი და ძალიან ბევრ სხვაზეც, რომელიც არ მიიღებდა იმ პროცესებში მონაწილეობას, რაც ღუპავს საქართველოს. ეს ოპოზიცია დღეს არის განზე გაწეული ობიექტური პირობების გამო და ფინანსურადაც და ყველანაირი თვალსაზრისით, ისევ დღევანდელი ხელისუფლების გუშინდელი ორგანული ნაწილია დღეს ხელოვნურად ჩაყენებული ოპოზიციის სათავეში. ამიტომ თუნდაც სააკაშვილის კონტროლიდან გამოვიდეს სიტუაცია, ამან შეიძლება დააზიანოს კონკრეტულად სააკაშვილი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ვერ შეცვლის იმ გეგმას და იმ მდგომარეობას, რასაც მიჰყავს საქართველო კატასტროფისკენ.



*— სააკაშვილი საკმაოდ მშვიდად გრძნობს თავს, ეს მის გამოსვლებშიც ჩანს, საკმაოდ ცინიკურია და ყველა შექმნილ პრობლემას მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს აბრალებს...*

— ცინიკურია. სააკაშვილის ტონი იცვლება ხოლმე იმის მიხედვით თუ რა მდგომარეობაა არა საზოგადოებაში, არამედ თუ რა მდგომარეობაში იმყოფება მისი ხელისუფლება. სამწუხაროდ, დღევანდელმა ოპოზიციამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ოპოზიციის მიმართ ხალხს არანაკლები აგრესია გასჩენოდა, ვიდრე ეს ჰქონდა ხელისუფლების მიმართ. აქედან გამომდინარე, ის უკვე აძლევს ასეთ ვითარებაში საკუთარ თავს უფლებას, უფრო მეტად ცინიკური იყოს, უფრო მშვიდადაც გამოიყურებოდეს, ფაქტია, რომ ეს ასეა. სააკაშვილისთვის არანაირ საფრთხეს დღეს არც ერთი ის ოპოზიციონერი არ წარმოადგენს, რომელსაც დათმობილი აქვს სამთავრობო და ვითომ ოპოზიციური სატელევიზიო არხები, რომლებსაც არა აქვთ ფინანსური პრობლემები და არც არავინ არ აპირებს მათთვის ასეთი პრობლემების შექმნას. ფაქტია, ეს ოპოზიცია მისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, იმდენად არ წარმოადგენს, რომ ოპოზიციის გარკვეული ნაწილები, ოპოზიციის შიგნითაც კი ხელისუფლების გეგმას ახორციელებენ. გეტყვით, რომ ამ გეგმის ნაწილია ბიწაძე-ბურჯანაძის განცხადება გაჩეჩილაძეების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, ეს სიმართლეა თუ ტყუილია. ამ გეგმის ნაწილია ალტერნატიული სახალხო კრების შექმნა და ძალიან ბევრი სხვა რამ, რომელიც ჯერ კიდევ წინ გვაქვს.

*— რას ფიქრობთ ვალერი გელბახიანის ინტერვიუებზე და 7 ნოებრის თემის კიდევ ერთხელ წამოწევაზე, სადაც ის ოპოზიციას მილიონების არამიზნობრივად დახარჯვაში ადანაშაულებს...*

— იცით, რა არის, ოპოზიციაზე კარგს დღეს არავინ არ ლაპარაკობს, მაგრამ გააჩნია ადამიანს, თუ რა მოტივე აქვს. ვალერი გელბახიანზე მე ვერ ვიტყვი ვერაფერს, რომ ვთქვათ ვალერი გელბახიანი ხელისუფლების წისქვილზე ასხამდეს წყალს, ყოველ შემთხვევაში, არა მგონია ეს მოტივი ჰქონდეს, იმიტომ, რომ ის არ აგინებს მხოლოდ ოპოზიციას, ის აგინებს ხელისუფლებასაც, მაგრამ დღეს სააშკარაოზე გამოტანა, განსაკუთრებით ფინანსების, ვისგანაც არ უნდა იყოს ეს, ეს იქნება ვალერი გელბახიანი, ბიწაძე, ბურჯანაძე, გაჩეჩილაძე თუ სხვა იმ თემების წინ გამოტანა, რომელიც მათთვის ადრეც ცნობილი იყო და ამის შესახებ არ საუბრობდნენ, ერთმნიშვნევლოვნად აწყობს სააკაშვილს. რადგან ნორმალურ ადამიანს, რომელსაც ოდნავ მაინც აზროვნება შეუძლია, ასეთ რამეს როცა მოისმენს, ავტომატურად გაუჩნდება შეკითხვა — თუ ამდენი იცოდი, თავის დროზე ამის შესახებ რატომ არ ამბობდი? და ეგებ დღესაც მალავ მაშინ რაღაცას და არ ამბობ ბოლომდე სიმართლეს, იმიტომ, რომ დღეს ამის თქმა არ გაწყობს და ხვალ როცა დაგჭირდება, მაშინ იტყვი.

*— სააკაშვილმა კმაყოფილება ვერ დამალა ოპოზიციის სისუსტით...*

— სააკაშვილს დიდი ხანია ვიცნობ და ეს არის ადამიანი, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში სულ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ იცინის, მაგრამ ახლა რეალურად კმაყოფილია, მარტო გამომეტყველებას არ ვგულისხმობ ამ შემთხვევაში. სააკაშვილმა მშვენივრად იცის, რომ ოპოზიციის დასუსტებით სიყვარული მისი ხელისუფლების მიმართ არ მოიმატებს, მაგრამ ოპოზიციისგან განსხვავებით სააკაშვილი არის უკვე ხელისუფლებაში და რაც მთავარია, როცა მისი მოწინააღმდეგე სუსტდება, ბუნებრივია ეს იწვევს მუხტის ჩაქრობასაც საზოგადოებაში და ამიტომ, რა თქმა უნდა, კმაყოფილი იქნება, მით უმეტეს, როცა საუბარია მის გუშინდელ მეგობრებზე, რომლებსაც ის ძალიან კარგად იცნობს. სააკაშვილის უკან მდგომი ძალისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გააგრძელებს მის საქმეს, სააკაშვილი თუ მისი მოწინააღმდეგე, ამ შემთხვევაში, როცა სააკაშვილი რაუნდს რაუნდზე იგებს და საკუთარი ავანტიურიზმის წყალობით ფონს გადის, რა თქმა უნდა, ის ამით ძალიან კმაყოფილი იქნება. არ აწუხებს დღეს ხელისუფლებას ის თემა, საზოგადოებაში პოპულარული არის თუ არა. ეს საკითხი მას დიდი ხანია აღარ აინტერესებს. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ოპოზიციაც ამ რელსებზე დადგა და აღარც ოპოზიციას აინტერესებს საკუთარი რეიტინგი, თორემ ცოტა მაინც დამალავდნენ იმას, რაც მათ შიგნით ხდება. რეალურად ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ერთმანეთთან გარიგებაზე მიდიან ერთადერთი მოტივით, რომ არ დაკარგონ საკუთარი პოზიციები და სადაც შესაძლებელია, გაიძლიერონ. ეს ეხება ოპოზიციასაც, რომელიც უკვე თანამდებობად გადაიქცა ჩვენს ქვეყანაში და ეხება ხელისუფლებასაც, რომელიც არის თანამდებობაზე და ამ ოპოზიციის დახმარებით კიდევ მოახერხებს დარჩენას.

# საქართველოში ხალხი შიმშილობს

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ნანა კაკაბაძესთან

*— ქვეყანაში უმძიმესი სოციალური ფონია, უცხოელი ექსპერტები ფიქრობენ, რომ სამოქალაქო ბუნტი საქართველოშიც გარდაუვალია, როგორი იქნება თქვენი შეფასებები?*

— სამოქალაქო ბუნტის საფრთხე ყველა არსებული მონაცემებით ბუნებრივია არსებობს. დღეს ქვეყანა ჩაყენებულია ისეთ მდგომარეობაში, რომ ძნელია წარმოიდგინო მსგავსი პერიოდი, როდესაც ხალხს ასე უჭირდა ეკონომიურად და თუნდაც სოციალურად იყო ასეთი დაუცველი. შეიძლება საბჭოთა პერიოდში არ იყო მაღალი ხელფასები, მაგრამ ხელფასი, რომელიც მათ ჰქონდათ, ყველანაირად უზრუნველყოფდა მათ სოციალურ ყოფას და მინიმალურ პირობებს. დღეს მოსახლეობა არ არის უზრუნველყოფილი და დაცული და ამას თან ახლავს ის ანტიდემოკრატიული კანონმდებლობა და პოლიტიკა და ამ ფონზე საქართველოს მოსახლეობა აბსოლუტურად დაუცველია. ხელისუფლებამ ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცის, იცის, რომ სოციალური ფონია უმძიმესი, იცის ის, რომ საზოგადოება არის გაუსაძლის პირობებში, ამიტომ მთელ თავის საბიუჯეტო თუ არასაბიუჯეტო თანხებს მიმართავს იქითკენ, რომ შეიქმნეს ქვეყანაში, უფრო სწორად, უკვე შექმნილია პოლიციური რეჟიმი და მთლიანად ყველაფერს აკონტროლებდეს ხელისუფლება. საკანონმდებლო დონეზე ადამიანები თავის დაცვას ვერ ახერხებენ, იმიტომ, რომ კანონმდებლობა, რომელიც დღეს ქვეყანაში მოქმედებს, აბსოლუტურად დაუცველს ტოვებს მოქალაქეს სახელმწიფოს, ანუ ხელისუფლების წინაშე. აქედან გამომდინარე, საფრთხე იმისა, რომ მოხდეს სოციალური აფეთქება, სოციალური ფონის მიხედვით არსებობს, მაგრამ ამ ავტორიტარული რეჟიმის კუთხით ეს რაღაცნაირად გამყარებული აქვთ. თუმცა, ყველაფერს აქვს საზღვარი, როცა ადამიანებს მეტის ატანა და მოთმენა აღარ შეუძლიათ. აქედან გამომდინარე, არსებობს საფუძველი, რომ ქვეყანაში რაღაცა შეიცვალოს და მეორეს მხრივ არსებობს ავტორიტარიზმი, რომელიც საზოგადოებას არ აძლევს სუნთქვის საშუალებას. სამწუხაროდ, არ არსებობს ამ რეჟიმიდან გამომდინარე არც ისეთი ოპოზიცია, რომელსაც შეუძლია საზოგადოებას რაიმე შეღავათი მისცეს. აი, ამ პირობებშია დღეს ჩაყენებული ქართველი საზოგადოება და ერთადერთი, თუ ვინმეს შეუძლია სიტუაციის შეცვლა, რაიმე ცვლილებების გატარება, ეს არის დასავლეთი, რომელიც არ ცდილობს აქტიური ჩარევით, ხელისუფლებაზე ზეწოლით, რომ ქვეყანაში რაღაცნაირად, თუნდაც საკანონმდებლო დონეზე მოხდეს ისეთი ცვლილებები, რომ ადამიანებმა კანონით მაინც შეძლონ საკუთარი უფლებების, სოციალური უფლებების დაცვა.



*— კეთდება განცხადებები, რომ თუ დაიწყო მასობრივი გამოსვლები, შემდეგ მშიერ ხალხს წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგებაო...*

— იცით, თქვენ რომ გადახედოთ, უამრავი გაღატაკებული ქვეყანა არსებობს, უამრავი მშიერი ხალხი არსებობს, რომელიც ვერ იბრძვის თავისი უფლების და თავისი ღირსების დასაცავად, იმიტომ, რომ ისინი არიან დაცლილი ამ შესაძლებლობებისგან. კი, თუკი ხალხი ქუჩაში გამოვიდა, მას ვერაფერი და ვერავინ ვერ მოერევა, მაგრამ ასე ლონმიხდილი საზოგადოება ძნელად ახერხებს ქუჩაში გამოსვლას, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის დასაცავად. ნახეთ, რა მდგომარეობაში ჰყავს საზოგადოება ჩაყენებული ხელისუფლებას და თუ ვინმე მუშაობს სამსახურებში და ვინმე არის დასაქმებული, ისინი ისეთი დაშინებულები ჰყავთ, რომ თუ რომელიმე ოჯახის წევრი, ან ახლობელი გაბედავს, გავა და აქციაში მიიღებს მონაწილეობას, მასაც ემუქრება სამსახურიდან გაგდება. ასე რომ, ოჯახში ერთი ადამიანი თუ მაინც მუშაობს, ის ოჯახის დანარჩენ წევრებზე ახდენს გავლენას და შიში აქვთ, ვაი და იმანაც არ დაკარგოს სამსახური, ანუ მთლიანად აკონტროლებს დღეს ხელისუფლება საზოგადოებას და როგორღაც ახერხებს მის დამონებას და დამორჩილებას. ჯერჯერობით ასეთი სურათია, ის რომ უახლოეს მომავალში მოსალოდნელი იყოს სოციალური აფეთქება, ეს უნდა იგრძნობოდეს. ეს არ იგრძნობა. კიდევ ვიმეორებ, არა იმიტომ, რომ ამის სოციალური ფონი არ არსებობს, არამედ იმიტომ, რომ ამისი პოლიტიკური საშუალება არ არსებობს, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს და თუნდაც გამოვიდნენ, მათ რომ რამეს მიაღწიონ, აი, ამ მდგომარეობაშია დღეს საზოგადოება, თორემ თქვენ იცით, ასი ათასობით კაცი გამოვიდა ქუჩაში და მათ თავიანთი, ელემენტარული პოლიტიკური უფლებების დაცვას ვერ მიაღწიეს ჩვენს ქვეყანაში.

*— ალბათ, უსმინეთ სააკაშვილის ტელეხიდს, საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მისი ტონი აგდებული და ცინიკური იყო, როგორია თქვენი შეფასება?*

— ბავშვს ჰკითხეს, რატომ ტირიო? გამდის და ვტირიო. გასდის, მოპასუხე არავინ არა ჰყავს და რა თქმა უნდა, იქნება ასეთი მისი დამოკიდებულება. რაც მთავარია, არანაირ პასუხისმგებლობას არ გრძნობს. ამხელა ტერიტორიები დაკარგა, კაციშვილს მისთვის პასუხი არ მოუთხოვია, ქუჩაში ხალხი ჩახოცეს, მისთვის არავის პასუხი არ მოუთხოვია. გირგვლიანის მკვლელობით დაწყებული, იმდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ამაზეც პასუხი არავისთვის არ მოუთხოვიათ და ბუნებრივია, ექნებათ ასეთი დამოკიდებულება.

*— თქვენ ფიქრობთ, რომ სიტუაცია გაზაფხულისთვის არ დაიძაბება?*

— დაძაბულობა ისედაც არის და ხალხი იხოცება შიმშილით, მაგრამ იხოცებიან და ქუჩაში ვერ გამოდიან. აი, ეს სიტუაციაა. ჯერჯერობით არ ჩანს, რომ პროცესები ქუჩაში გადმოინაცვლებს. ყოველ შემთხვევაში უახლოესი თვეების განმავლობაში ეს არ უნდა იყოს მოსალოდნელი. ხალხი იმდენად დათრგუნული, შეშინებული და იმედგაცრუებულია, რომ მათი გამოცოცხლება ძნელი იქნება.

*— საუბარია იმაზეც, რომ თითქოს ხელისუფლება პროვოცირებს ქაოსს, უმძიმეს სოციალურ ფონს, რათა ხალხი ქუჩაში გამოიყვანოს, შემდეგ ძალით ჩაახშოს მათი ამბოხი და გამარჯვებულმა ვადამდელი არჩევნები დანიშნოსო...*

— არა მგონია, ასე იყოს, ხელისუფლებას ვადამდელი არჩევნები რომ უნდოდეს, დღესვე დანიშნავს, ამაში ხელს ვინ შეუშლის? არაფერს არ ითვალისწინებს, ის ცხოვრობს ისე, როგორც უნდა და უბრალოდ არ არსებობს ძალა მისი შემაკავებელი. რად უნდა ვადამდელი არჩევნები, როდესაც ისეც გადასარევად გრძნობს თავს. სამწუხაროდ, საპირწონე ძალა არ არსებობს, ვინც ხელისუფლებას დაუპირისპირდება, რაში სჭირდება ვადამდელი არჩევნები, რა საფრთხე ელის რო? არანაირად ამ ეტაპზე ეს არ სჭირდება.

ჩვენს საყვარელ
გიორგი შქილაძეს
ვულოცავთ დაბადების დღეს!
ვუსურვებთ ჯანმრთელობას,
ბედნიერებას, სიხარულს,
შემოქმედებით წარმატებებს.
სიყვარულით „ახალი თაობა"



# კულტურული მემკვიდრეობის პრიორიტეტები ცნობილია

ეკა ირემაშვილი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა მედიას 2011 წელს განსახორციელებელი მნიშვნელოვანი პროექტები დეტალურად გააცნო. მედიასთან შეხვედრამდე ერთი დღით ადრე კი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი შვიდი წლის განმავლობაში განხორციელებულ პროექტებზე, ამ სფეროში ცალკეული მიღწევების, თანამედროვე აღმოჩენების წარმატებასა და მათ მნიშვნელობაზე უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში სტუდენტებს ესაუბრა. პრეზენტაციის შემდეგ სტუდენტები ადგილზე გაეცნნენ კლდეში ნაკვეთი ანტიკური ქალაქის ისტორიას, 2010 წელს უფლისციხეში განხორციელებულ საკონსერვაციო სამუშაოებსა და ძეგლის ინფრასტრუქტურულად განახლებულ გარემოს. ღონისძიება მიზნად ისახავდა ახალგაზრდების ინფორმირებას ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მიმდინარე პროცესებისა და უშუალოდ იმ მასშტაბური სარესტავრაციო პროექტების შესახებ, როგორებიცაა ბაგრატის ტაძარი, გელათის სამონასტრო კომპლექსი, იყალთოს აკადემია და სხვა ხუროთმოძღვრული ძეგლები, სადაც აღდგენითი სამუშაოები განხორციელდა და დღესაც მიმდინარეობს.

მუცოს ციხეები, სვანური კოშკები, ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ძეგლებისა და საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებზე მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის ძირითადი მიმართულება იქნება.

გასულ წელს ბებრისციხესა და ფუძნარის ღვთისმშობლის ტაძარში დასრულებული კვლევითი-დიაგნოსტიკური სამუშაოების შემდეგ, მიმდინარე წელს შეიქმნება მათი გადარჩენისთვის აუცილებელი სარეაბილიტაციო დოკუმენტაცია, განისაზღვრება აღნიშნულ ძეგლთა აღდგენისა და გადარჩენის მეთოდოლოგია.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კომპლექსური ძეგლების ინტეგრირებული ინფრასტრუქტურის შექმნასა და მათ პოპულარიზაციას. ძეგლების აღდგენისა და გადარჩენის პარალელურად, მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის მაგალითზე ქვეყნის დანარჩენ მუზეუმ-ნაკრძალებშიც განხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით წლის ბოლომდე გამოიცემა მაღალპროფესიულ დონეზე დამზადებული საინფორმაციო-შემეცნებითი ცნობარები, ამჯერად გონიოსა და პეტრა-ციხის მუზეუმ-ნაკრძალების შესახებ.

2004-2010 წლებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ბარსა და მთაში, მიუვალ მთებსა და ხეობებში გადარჩენილია 500-ზე მეტი ხუროთმოძღვრული ძეგლი, ძეგლთა ჯგუფები და ცალკეული არქიტექტურული კომპლექსები. ჩატარებულია ურთულესი სარეაბილიტაციო სამუშაოები, მათი ღირებულების, მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით.

— წელს გაგრძელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები ისეთ ისტორიულ ძეგლებზე, როგორებიცაა ატენის სიონი, ვარძია, ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი, უფლისციხე, ყინწვისის ტაძარი, ბაგრატის ტაძარი. ამ ძეგლებზე მუშაობის პირველი ეტაპი ანუ მათ გადარჩენაზე ზრუნვა თითქმის დასრულებულია. ახლა დადგა ის ეტაპი, რომ მათ შენარჩუნებაზე ყოველდღიურად ვიზრუნოთ. მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის მსგავსად, სხვა ისტორიულ ძეგლებშიც უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამები. მაგალითად, უფლისციხის მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე დასრულებულია საკონფერენციო დარბაზისა და სახელოსნოს მშენებლობა, — აღნიშნა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა.

მედია ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული ძეგლების გადარჩენის საკითხსაც შეეხო, რაზეც ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ ქართული ტაძრების აღდგენაზე თურქულ მხარესთან ნაცვალგების პრინციპით მიმდინარე მოლაპარაკებებს ალტერნატივა არა აქვს.

— თურქეთში, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული ტაძრების აღდგენაზე თურქულ მხარესთან ნაცვალგების პრინციპის თანახმად, მიმდინარე მოლაპარაკებებს ალტერნატივა არა აქვს. ქართული მხარე ისტორიულ ტაო-კლარჯეთში არსებულ ქართულ ძეგლებთან დაკავშირებით თურქული მხარისგან ბოლოს წინა დოკუმენტს ელოდება. ვიცი, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ძალიან დაინტერესებულია ოთხი ქართული ტაძრის აღდგენით. იმედი მაქვს, თურქეთის მხარისგან საბოლოო დოკუმენტს უახლოეს მომავალში მივიღებთ, რის შემდეგაც საპატრიარქო ამ პროცესში უფრო აქტიურად ჩაერთვება. მიზეზი იმისა, რომ „იუნესკოს“ მიერ ოთხი ქართული ტაძარი მსოფლიოს არქიტექტურული მემკვიდრეობის ნუსხაში არ არის შეტანილი, ძირითადად, თურქული მხარეა. დღეს ბევრს საუბრობენ „იუნესკოს“ ფაქტორზე, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ამა თუ იმ ისტორიული ძეგლის „იუნესკოს“ ნუსხაში შესატანად საჭიროა, ქვეყნის ხელისუფლებამ შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტაცია შეიტანოს. თავად თურქეთმა უნდა წარადგინოს ამ ქართული ტაძრების მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად განცხადება და მეორე მიზეზი, რის გამოც ეს ტაძრები არ შეიძლება ამ ნუსხაში იყოს, გახლავთ ის, რომ არც ერთი მათგანი კონსერვირებული არ არის. ოფიციალური დოკუმენტაციით უნდა მიმართონ და შესაძლებელია, ეს ძეგლები „იუნესკოს“ ნუსხაში მოხვდეს, — განაცხადა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა.

— ეს ოთხი ტაძარი რა პრინციპით შეირჩა?

— თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებიდან სწორედ ქართულმა მხარემ დაასახელა ოთხთას ეკლესია, ხანძთა, იშხანი და ოშკი. სწორედ ამ ტაძრების აღდგენის სანაცვლოდ ითხოვს თურქული მხარე საქართველოში მეჩეთების აღდგენას. ეს არის ტაძრები, რომლებსაც გადაუდებელი დახმარება ესაჭიროებათ. ამ ოთხი ტაძრის სანაცვლოდ თურქული მხარე საქართველოში სამ მეჩეთს განაახლებს, ხოლო ერთს — ააშენებს. მხარეებს შორის სიტყვიერი შეთანხმება უკვე მიღწეულია და ახლა ამ შეთანხმების კანონიერად გაფორმებაღა დარჩა. მხარეებს შორის დასაზუსტებელია მხოლოდ ის, თუ აზიზეის მეჩეთის მსგავსად რომელი ქართული ეკლესია იფუნქციონირებს ტაო-კლარჯეთში. აღდგენილი ეკლესია-მონასტრებისა და მეჩეთების რაოდენობა ერთი და იგივე იქნება, მაგრამ განსხვავებული იქნება მათი მასშტაბურობა და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა. იმედი მაქვს, მოლაპარაკებები დიდხანს არ გაგრძელდება და ორ მხარეს შორის შეთანხმება მალევე გაფორმდება.



განსხვავებული დამოკიდებულება აქვს ამ საკითხისადმი საქართველოს საპატრიარქოს. საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელი, მამა დავით შარაშენიძე სპეციალურ განცხადებაში განმარტავს:

— ტაძრებისა და მეჩეთების აღდგენის პროცესი ქართული ეკლესიის ინტერესების გაუთვალისწინებლად ვითარდება. საქართველოს საპატრიარქო ხახულისა და არდაშენის გადმოცემის გარეშე საქართველოში მეჩეთების მშენებლობის დაწყებას აპროტესტებს და უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მოლაპარაკებების პროცესში საპატრიარქოს წინადადებები არ გაითვალისწინა. საპატრიაქოში იმედი ჰქონდათ, რომ მიმდინარე წლის 18 იანვრის განცხადების შემდეგ საპატრიარქოს საშუალებას მისცემდნენ, ჩართულიყო თურქულ-ქართულ მოლაპარაკებებში ტაძრებისა და მეჩეთების აღდგენასთან დაკავშირებით, თუმცა ეს არ მოხდა და პროცესი კვლავ ეკლესიის ინტერესების გათვალისწინების გარეშე ვითარდება, რაც საპატრიარქოსთვის მიუღებელია. საქართველოში აშენებული და ასაშენებელი მეჩეთები მუსლიმთა ორგანიზაციის საკუთრებაა და იქნება, ხოლო თურქეთში აღსადგენი ტაძრები, დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოსა და საქართველოს ეკლესიისად არ მოიაზრება, რაც სამართლიანი არ არის. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ჩვენს კონსტრუქციულ წინადადებებს მოლაპარაკებებისას გაითვალისწინებს. მიუღებელია ხახულისა და არდაშენის გადაცემის, ანუ ამ სახის ნაცვალგების გარეშე მეჩეთების მშენებლობის დაწყება. ეს ყოვლად გაუმართლებელია. გვინდა განვმარტოთ, რომ არდაშენი არ არის მხოლოდ ტაძარი. იგი ისტორიული ლაზეთის საეპისკოპოსოს ერთ-ერთი ცენტრია და, აქედან გამომდინარე, მისი აღდგენა არა მარტო არდაშენის, არამედ მთელი ამ მხარის, ლაზეთის, ქართული ეთნოკულტურისა და საეკლესიო სივრცის განუყოფელ ნაწილად წარმოჩენას ნიშნავს. იგივე ითქმის ტაოში ხახულის მონასტრის ამოქმედების შესახებ. საპატრიარქო ასევე მიიჩნევს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მეჩეთის ფუნქციონირება თურქებისთვისაც კი დიდ საჭიროებას არ უნდა წარმოადგენდეს, მით უმეტეს, რომ თურქეთში არსებულ ბერძნულ ტაძრებში მეჩეთები არ ფუნქციონირებს, ხოლო ახლახან ერთ-ერთ სომხურ ტაძარზე ჯვარიც კი დაიდგა, — ნათქვამია საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# პატრიარქი დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა

ეკა ირემაშვილი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე დიდ ბრიტანეთში 10-დღიანი ვიზიტით გაემგზავრა. მისი უწმინდესობა ინგლისში კენტერბერიის მთავარეპისკოპოსმა უილიამსმა მიიწვია. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია მისი შეხვედრა ინგლისის დედოფალ ელისაბედ მეორესა და კენტერბერიის მთავარეპისკოპოსთან. უკვე გადაწყვეტილია, რომ ილია მეორე ქართულ დიასპორასაც შეხვდება.

საქართველოს პატრიარქი მონაწილეობას მიიღებს მრგვალი მაგიდის მუშაობაში, რომელიც ლონდონში შემდეგი სახელწოდებით გაიმართება — „დღევანდელი ეკლესიის მისია თანამედროვე სწრაფადცვალებად საზოგადოებასა და გლობალური არეულობის ეპოქაში“.

დიდ ბრიტანეთში ვიზიტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება კი ლონდონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ქართული ტაძრის კურთხევაა. ეს არის XIX საუკუნეში აგებული ტაძარი, რომელიც ერთ-ერთ ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნოდა. მათმა შთამომავლებმა ეკლესიის შენობა გაყიდეს და ის დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქიამ შეიძინა. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა საზღვარგარეთ მყოფმა ქართველმა ბიზნესმენმა თამაზ სომხიშვილმა. ტაძარი სახელმწიფოს მიერ დაცულ ობიექტთა ნუსხაშია შესული და მოქმედი პერიოდულად იყო. ეკლესიას მაცხოვრის შობის სახელზე მეუფე ზენონი აკურთხებს, პატრიარქი კი წირვას აღავლენს. ილია მეორე დიდ ბრიტანეთში 15 თებერვალამდე დარჩება.

კათოლიკოს-პატრიარქის დიდ ბრიტანეთში გამგზავრებამდე კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ მისი უწმინდესობა შესაძლოა აფხაზეთში ჩავიდეს. ამ ინფორმაციას არ უარყოფენ საქართველოს საპატრიარქოშიც და განმარტავენ, რომ ილია მეორეს აფხაზეთში ჩასვლის დიდი სურვილი აქვს. თუმცა, მოხერხდება თუ არა საქართველოს სულიერი მამის ამ სურვილის რეალიზება, საპატრიარქოში არაფერი იციან. ილია მეორე გასული საუკუნის 90-იანი წლების სამოქალაქო დაპირისპირების შემდეგ აფხაზეთში აღარ ჩასულა.

საზღვარგარეთ გამგზავრებამდე კი მისმა უწმინდესობამ საქართველოში ბევრი პრობლემატური საკითხი მოაგვარა — საპატრიარქოს უნივერსიტეტმა ავტორიზაცია გაიარა, დაპირისპირებული მწერლები კი უშუალოდ მისი უწმინდესობის ჩარევის შემდეგ შერიგდნენ.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა საპატრიარქოში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს სასწავლებლისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი გადასცეს. ამ სასწავლებელმა ერთ-ერთმა პირველმა დააკმაყოფილა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ავტორიზაციის ყველა სტანდარტი და მას, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს დადგენილებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მიენიჭა. უნივერსიტეტში 500-ზე მეტი სტუდენტი ჯანდაცვის მიმართულებით ეუფლება სპეციალობას. თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტთან ერთად, საქართველოში საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული სამი უმაღლესი და 25 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს. 2010 წლის 1 სექტემბრიდან საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება დაკავშირებულია ავტორიზაციის გავლასთან — საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებასთან. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანია სახელმწიფოს მიერ

გაგრძელება მე-9 გვერდზე




ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607
ახალი ქსელები 700 608
გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები
(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.



## განცხადებები

● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

ნათელმხილველი
მანანა
იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბაიაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება. მიღება წინასწარი შეთანხმებით.
მის: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6.
ტელ: 897-29-27-50.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

# პატრიარქი დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელია სტანდარტების დაკმაყოფილება. საპატრიარქოს უნივერსიტეტმა კი ყველა მოთხოვნა უმაღლეს დონეზე დააკმაყოფილა.

ილია მეორე მწერალთა კავშირის ირგვლივ ატეხილი სკანდალითაც დაინტერესდა და დაპირისპირებული მწერლები საპატრიარქოში დაიბარა. საპატრიარქოში მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი და კავშირის წევრები იმყოფებოდნენ. შეხვედრის ინიციატორი თავად პატრიარქი გახლდათ. „იმედის" არხზე გასული სპეციალური რეპორტაჟის შემდეგ მწერლები და მათი კავშირის თავმჯდომარე პატრიარქმა დაიბარა, დალოცა და სიმშვიდისა და შერიგებისკენ მოუწოდა. შეხვედრაზე ორივე დაპირისპირებული მხარე იმყოფებოდა. მწერალთა კავშირში დაპირისპირებები მას შემდეგ დაიწყო, რაც გამგეობის წევრებმა მწერალი ვაჟა ოთარაშვილი გამომცემლობის დირექტორის პოსტიდან გაათავისუფლეს. შეხვედრის დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა ისიც, რომ მწერალთა კავშირს მაჩაბლის 13-ში მდებარე შენობა დაუბრუნდება.

# ნინო ანანიაშვილი ტალინში მიდის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მიიპყრო, როგორებიცაა განსაკუთრებული ყურადღება დეტალების მიმართ, კომპოზიციების სირთულე და ფორმების გარკვეულად დახვეწილი და ფორმაცვლილი სახე.

ბალეტის პრემიერა გაიმართა 1997 წელს. „თბილისი არტ ჰოლში" კი საბალეტო წარმოდგენის პრემიერასთან ერთად ბალეტის მოყვარული საზოგადოებისთვის ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამაც იყო შეთავაზებული. პირველ მოქმედებაში შესრულდა ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფია, ჩაიკოვსკის „მოცარტიანა" ანა მურადელის, იგორ არტამონოვისა და დავით ანანელის მონაწილეობით. გოტშალკის „ტარანტელა" კი ნინო მათიაშვილმა და ფილიპ სოლანომ იცეკვეს. მეორე მოქმედებაში სტრავინსკის „დუო კონცერტანტი" ანა გორგიაშვილისა და იგორ არტამონოვის მონაწილეობით შესრულდა. ფორტეპიანო — თამარ მაჭავარიანი, ვიოლინო — ლელა მჭედლიძე. მეორე მოქმედებაში შედგა შტრაუსის „მანიერიზმის მშვენიერებანის" პრემიერა ნინო ანანიაშვილის, ლალი კანდელაკის, ვასილ ახმეტელისა და უილიამ პრატის მონაწილეობით.

გალაკონცერტის მესამე დასკვნით მოქმედებაში წარმოდგენილი იყო ერთმოქმედებიანი ბალეტი ქართულ ხალხურ მოტივებზე „საგალობელი", რომელშიც იოსებ კეჭაყმაძის, არჩილ კერესელიძის, რევაზ ლაღიძის, გოგი ცაბაძის მუსიკაა გაერთიანებული. „საგალობელში" მონაწილეობდნენ ლალი კანდელაკი, ცისია ჩოლოყაშვილი, ეკატერინე სურმავა, ანა მურადელი, ვასილ ახმეტელი, ოთარ ხელაშვილი და დავით ანანელი.

საპრემიერო წარმოდგენის შემდეგ საბალეტო დასი ტალინში 7 თებერვალს გაემგზავრება, სადაც ბალეტის მოყვარულ საზოგადოებას ქართული საბალეტო სკოლის საუკეთესო წარმომადგენლებს გააცნობს.

# ჭიათურაში ჩასაბერ საკრავთა კონცერტები იმართება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს განცხადებით, ჭიათურაში ჩასაბერ საკრავთა კონცერტები და მასტერკლასები იმართება. მასტერკლასებს ქართველ მუსიკოსებთან ერთად უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრებიც ატარებენ.

ყოველ საღამოს კი ჭიათურის თეატრი ჩასაბერ საკრავთა კონცერტებს სხვადასხვა რეპერტუარითა და უცხოელი მუსიკოსების მონაწილეობით ატარებს. კონცერტები სახელწოდებით „ზამთრის აკადემია" ჭიათურაში უკვე მეორედ იმართება. მისი ორგანიზატორები არიან ჭიათურის მუნიციპალიტეტი, თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი — „საქართველოს სიმფონიეტა" და ჩასაბერ საკრავთა თბილისის საერთაშორისო ფესტივალი. როგორც კულტურის სამინისტროში „ახალ თაობას" უთხრეს, მსგავსი კონცერტები და მასტერკლასები უკვე მეორედ მათი მხარდაჭერით იმართება. მსგავსი ღონისძიებები ჩასაბერ საკრავთა და ზოგადად კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას ემსახურება. მომავალში კულტურის სამინისტრო „ზამთრის აკადემიის" ეგიდით კონცერტებისა და მასტერკლასების ჩატარებას მხარს კვლავაც აქტიურად დაუჭერს.

## სამგლოვიარო განცხადებები

მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა

**რუსუდან ჩაჩხიანი-მჭედლიშვილი**

ნათელში გამყოფოს ღმერთმა, მარადიულ სასუფეველში, ერთგულო მეგობარო!

დიდი გულისტკივილით სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახსა და ახლობლებს.

*ჟუჟუნა, გვანცა, სოფო, სალომე, გულიკო*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# 7 წლის ბავშვმა რეაქტიული გამანადგურებლის ყიდვა დააპირა

ლონდონის მკვიდრმა შვიდი წლის ბიჭუნამ ონლაინ-აუქციონ „იბეიზე" კინაღამ ბრიტანული რეაქტიული გამანადგურებელი „ჰარიერი" შეიძინა.



როგორც ჩანს, ბავშვმა თვითმფრინავის ფიქსირებულ ფასად გაყიდვის განცხადება დაინახა და შეძენის ღილაკს დააჭირა ხელი. თვითმფრინავი 69999 გირვანქად იყიდებოდა. შვილის მიერ თვითმფრინავის „შეძენის" შესახებ მალე მამამისმა შეიტყო, იგი გამანადგურებლის გამყიდველს დაუკავშირდა, აუხსნა, რომ მისი შვილი ვერ შეძლებდა თვითმფრინავის ღირებულების ანაზღაურებას, გარიგების გაუქმება ითხოვა და ბოდიში მოიხადა. თვითმფრინავი „ჰარიერი" დიდ ბრიტანეთში 1960-იან წლებში შეიქმნა. მის მთავარ დამახასიათებელ თვისებას ვერტიკალურად აფრენისა და დაშვების უნარი წარმოადგენდა.

## § - 13 თებერვალი — ამინდის პროგნოზი

**სოხუმი**

07.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — 0-1
08.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 1-2
09.02 მზე, დღისით — 12-13, ღამით — 2-3
10.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — -3 -2
11.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 5-6, ღამით — -2 -1
12.02 ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 5-6
13.02 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 1-2

**ზუგდიდი**

07.02 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 2-3
08.02 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 4-5
09.02 მზე, დღისით — 14-15, ღამით — 5-6
10.02 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — -2 -1
11.02 წვიმა, დღისით — 6-7, ღამით — 0-1
12.02 ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 6-7
13.02 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 4-5

**ბათუმი**

07.02 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 3-4
08.02 მზე, წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 5-6
09.02 მზე, დღისით — 16-17, ღამით — 6-7
10.02 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 0-1
11.02 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — 2-3-9
12.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 14-15, ღამით — 8-9
13.02 წვიმა, დღისით — 12-13, ღამით — 6-7

**ქუთაისი**

07.02 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 1-2
08.02 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 5-6
09.02 მზე, დღისით — 15-16, ღამით — 5-6
10.02 წვიმა, თოვლი, დღისით — 8-9, ღამით — -1-0
11.02 წვიმა, თოვლი, დღისით — 6-7, ღამით — 1-2
12.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 7-8
13.02 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 5-6

**გორი**

07.02 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — -3 -2
08.02 წვიმა, თოვლი, დღისით — 6-7, ღამით — -1-0
09.02 მზე, დღისით — 10-11, ღამით — 1-2
10.02 წვიმა, თოვლი, დღისით — 5-6, ღამით — -5 -4
11.02 წვიმა, თოვლი, დღისით — 3-4, ღამით — -5 -4
12.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — 1-2
13.02 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 1-2

**თბილისი**

07.02 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — -1-0
08.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — 0-1
09.02 მზე, დღისით — 9-10, ღამით — 1-2
10.02 მზე, წვიმა, დღისით — 6-7, ღამით — -4 -3
11.02 მზე, წვიმა, დღისით — 5-6, ღამით — -3 -2
12.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — 3-4
13.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — 0-1

**გურჯაანი**

07.02 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — -3 -2
08.02 მზე, დღისით — 6-7, ღამით — -2 -1
09.02 მზე, დღისით — 10-11, ღამით — 1-2
10.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — -5 -4
11.02 მზე, წვიმა, დღისით — 3-4, ღამით — -5 -4
12.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — -3 -2
13.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — -2 -1

**მანგლისი**

07.02 წვიმა, თოვლი, დღისით — 5-6, ღამით — -3 -2
08.02 მზე, წვიმა, დღისით — 3-4, ღამით — -2 -1
09.02 მზე, დღისით — 6-7, ღამით — -1-0
10.02 მზე, წვიმა, დღისით — 3-4, ღამით — -7 -6
11.02 წვიმა, თოვლი, დღისით — 2-3, ღამით — -5 -4
12.02 მზე, ღრუბელი, დღისით — 3-4, ღამით — 1-2
13.02 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — -2 -1

**დმანისი**

07.02 თოვლი, დღისით — -2 -1, ღამით — -18 -17
08.02 მზე, ღრუბელი, დღისით — -3 -2, ღამით — -15 -14
09.02 მზე, დღისით — 0-1, ღამით — -14 -13
10.02 თოვლი, დღისით — -4 -3, ღამით — -20 -19
11.02 თოვლი, დღისით — -8 -7, ღამით — -20 -19
12.02 მზე, ღრუბელი, დღისით — -3 -2, ღამით — -15 -14
13.02 თოვლი, დღისით — -2 -1, ღამით — -14 -13

გ.თ.

# ქერიმ აბდულ ჯაბარი ლეიკემიისგან განიკურნა



ლოს ანჯელეს ლეიკერსის ლეგენდარულმა მოთამაშემ, ამერიკელმა კალათბურთელმა ქერიმ აბდულ-ჯაბარმა კიბოს დაავადება დაამარცხა. თვითერის ინტერნეტ საიტზე, თავის ბლოგში მან განაცხადა, რომ სრულიად განიკურნა ავადმყოფობისაგან.

ქერიმ აბდულ ჯაბარს ლეიკემიის დიაგნოზი 2008 წელს დაუსვეს და მას შემდეგ იგი მკურნალობის კურსს გადიოდა.

სამომავლო გეგმების შესახებ ლეგენდარულ კალათბურთელს არაფერი უთქვამს, თუმცა, ლეიკერსის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჯაბარი უკან დაუბრუნდება კლუბს და მთავარი მწვრთნელის თანაშემწის მოვალეობას შეასრულებს. დიაგნოსის დასმამდე იგი სწორედ ამ ადგილზე მუშაობდა. ქერიმ აბდულ ჯაბარი კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლება. ნბა-ს ექვსგზის ჩემპიონი იგი სეზონის შედეგების მიხედვით სიმბოლური ნაკრების შემადგენლობაში 15-ჯერ შეიყვანეს. ქულების საერთო რაოდენობის მიხედვით იგი ნბა-ს ისტორიაში ყველაზე შედეგიანი მოთამაშეა — 38387 ქულა. 1995 წელს იგი კალათბურთის დიდების დარბაზის წევრი გახდა.

მასვე ეკუთვნის კალათბურთის მოედანზე გატარებული დროის რაოდენობის (57446 წთ), ფლეი ოფში მატჩების რაოდენობის (237), ფლეი ოფში შედეგიანობის (4712) და ფარიდან მოხსნილი ბურთების რაოდენობის (476) რეკორდები. სპორტული კარიერა მან 42 წლის ასაკში დაასრულა. გარდა ამისა, დაინტერესებული იყო საბრძოლო ხელოვნებით, გადაღებულია ფილმებში „სიკვდილის თამაში", „აეროპლანი" და რამდენიმე ტელესერიალში ეპიზოდური როლები აქვს შესრულებული.

მოამზადა გენადი თვაურმა

## კროსვორდი



1. უმარტივესი მიკროსკოპიული ორგანო; 2. თევზი; 3. ყვავილი; 4. რკინისა და ნიკელის შენადნობი; 5. კავკასიური მინერალური წყალი; 6. ჭრილობა; 7. მარტი ძველქართულად; 8. კლოდ ...(ფერმწერი); 9. ... გრუზინსკაია; 10. ძველფრანგული ხურდა ფული; 11. „აიდას" პერსონაჟი; 12. ლეგენდარული შინაარსის ლექსი; 13. ძეგლის, ქანდაკების საყრდენი; 14. ხე მაგარნაჭუჭიანი ნაყოფით; 15. ქალბატონი (გერმანულად); 16. იტალიური მოხდილი ყველი; 17. ყოფილი სოფელი თელავის რაიონში; 18. სისხლის სამართლის დანაშაული; 19. თირკმლების ფუნქციის მოშლა; 20. სცენის გასანათებელი მოწყობილობა; 21. მესამე ნოტი; 22. სასახლე იტალიაში; 23. სახელმწიფო აზიაში; 24. ლითონის თავდახურული ჭურჭელი სითხეებისთვის; 25. ტაბლეტი; 26. ... ნოლტი; 27. ინგლისური ლუდი; 28. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 29. ხემიანი საკრავი; 30. თერმოდინამიკული ტემპერატურის ერთეული; 31. დიდი სანთელი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მაცარელა; 2. აცეტატი; 3. პიაფი; 4. სერბეთი; 5. ბუნგალო; 10. ნეტარება; 11. სანგვინიკი; 12. ერლიფტი; 15. აბსოლუცია; 16. აიაქსი; 17. სურჩინა; 20. ჯეზვე.

**თარაზულად:** 6. ჰალუცინაცია; 7. ჰელიუმი; 8. ალიგოტე; 9. დებეტი; 13. მონე; 14. საჰარა; 18. ფიროსმანი; 19. გურია; 21. ჩექმა; 22. მიმინო; 23. განდეგილი; 24. აგასფერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტროპარი; 2. ნაცნობი; 3. უშგული; 4. კოლტი; 5. ბოტანიკა; 7. ინა; 11. შტამბი; 15. პრუნელი; 16. შატილი; 17. იოკაი; 18. მაზდა; 20. ზვარე; 22. მახა.

**თარაზულად:** 6. რენძიუ; 8. სადროშო; 9. დელიქტი; 10. გულიაში; 12. ბოლტი; 13. ირანი; 14. მაშარაბი; 19. გლუკოზა; 21. ფორუმი; 23. ანეტო; 24. მარიხი; 25. ალმერია; 26. გარდიანი.

# ხარვეზებით განადგურებული უკრაინა

**საქართველო — უკრაინა 62:3**

**თბილისი. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი. §.999 მაყურებელი**

**საქართველო:** ბესიკ ხამაშურიძე (ბექა ურჯუკაშვილი, 47), ირაკლი მაჩხანელი, დავით კაჭარავა, ირაკლი გიორგაძე, ლექსო გუგავა (ირაკლი აბუსერიძე, 67), მერაბ კვირიკაშვილი (ლაშა მალაღურაძე, 74), ბიძინა სამხარაძე; ბესარიონ უდესიანი (ზვიად მაისურაძე, 38), გიორგი ჩხაიძე, გრიგოლ ლაბაძე (ვახტანგ მაისურაძე, 47), შალვა სუთიაშვილი, ლევან დათუნაშვილი, დავით ზირაქაშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი (ჯაბა ბრეგვაძე, 47), დავით ხინჩაგაშვილი (ვასილ კაკოვინი, 61)

**10 ლელო:** ნატრიაშვილი, სამხარაძე, გუგავა, მაჩხანელი, ზირაქაშვილი, კაჭარავა (2), ურჯუკაშვილი, აბუსერიძე, ჩხაიძე.

**6 გარდასახვა:** კვირიკაშვილი (5), მალაღურაძე

**უკრაინა:** ვიაჩესლავ პონომარენკო, სერგეი მონასტიროვი, სერგეი გარკავი (ანდრეი გოლიშჩევი, 56), პავლო მასიუკოვი, ოლეგ კოსარევი, სერგეი ცერკოვნი (დენის მასიუკოვი, 41), ზურაბ კიკაჩეიშვილი; ოლექსანდრ ცაპენკო, ოლექსანდრ ლომაკინი, ბოგდან ვოლოშინი (ოლექსი ნოვოკრეშჩენკო, 47), რომან კულაკივსკი, ვიაჩესლავ კრასილნიკი, ივან ზალიზნიაკი (მიკოლა ოლექსანდრიუკი, 41), მიკოლა კირსანოვი (ოლექსანდრ პოლიანსკი, 41), სერგეი სუხიხი (ევგენი ჩაიკა, 56)

**1 ჯარიმა:** კოსარევი.

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ერთა თასის გათამაშებაში ჩაება და 2011 წლის პირველ შეხვედრაში უკრაინას უმასპინძლა. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენებმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს და დიდი ანგარიშით დაამარცხეს — 62:3.

მიუხედავად შთამბეჭდავი შედეგისა, ეროვნული გუნდის ხელმძღვანელები და მორაგბეები, თამაშის ხარისხით უკმაყოფილონი დარჩნენ, რაც მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე აღიარეს კიდეც. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ბევრი შეცდომა დაუშვეს და მის გამოსწორებაზე უშუალოდ მატჩის მსვლელობისასვე იზრუნეს — შედეგიც უკეთესი იყო: პირველ ტაიმში გატანილ ოთხ ლელოს, მეორეში ექვსი შემატეს.

მთლიანობაში, ამ მატჩში უამრავი კარგი რამ მოხდა; საქართველოს ნაკრებმა პრემიალური ქულის მომტანი მეოთხე ლელო პირველსავე ნახევარში გაიტანა და გახდა პირველი გუნდი, რომელმაც ევროპის ერთა თასზე ამ ახალი წესდებით იხეირა; ეროვნული გუნდის თავკაცებმა საქმეში ნახეს ახალბედები, რომელთაგან ერთ-ერთმა ბექა ურჯუკაშვილმა, სადებიუტო მატჩში ლელო მიითვალა; დაამუშავეს ახალი კომბინაციები, რომლების დახვეწაც სწორედ სუსტ მოწინააღმდეგეებთან უნდა მოხდეს და ძლიერ გუნდებთან მათი შესრულების დონე უმაღლესს მაქსიმალურად უნდა მიუახლოვდეს. მოკლედ, უკრაინასთან მატჩი ჩვენთვის კარგი ვარჯიში გამოდგა. თუმცა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალ მატჩებში თამაშის ხარისხი კიდევ უფრო მაღალი იქნება.

ისე, „ბორჯღალოსნებს" რომ მოენდომებინათ და აქცენტი ანგარიშის სიდიდეზე გაეკეთებინათ, ალბათ, 100-ქულიანი ზღვრის მიღწევაც შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ მათ კარგად ესმით უმთავრესი მიზანი. ახლა უმთავრესი საზრუნავი მსოფლიო თასისთვის მზადებაა და ამიტომაც იყო, რომ შიგადაშიგ რიჩი დიქსონის შეგირდები ფორვადებით შეტევას და ძალისმიერად გარდაუვალი ლელოს გატანას, ბურთის ხაზზე გათამაშებას ამჯობინებდნენ. მატჩის შემდეგ დაცვის მწვრთნელმა ჯონ მაგლტონმა კარგად აღნიშნა, რომ საქართველოს ნაკრების პრობლემა შერკინებისა და უკანა ხაზის თამაშის დაბალანსებაა. სწორედ ამ კუთხით, უკრაინასთან მატჩმა კარგი სავარჯიშო პირობა შექმნა.

რაც შეეხება თავად თამაშს, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, თუ რა იშვიათად გამოდიოდნენ ჩვენს ნახევარზე უკრაინელები. „ბორჯღალოსნები" კი სწრაფად თამაშს და ბურთის გაშლას ცდილობდნენ, რაც პერიოდულად კარგად გამოსდიოდათ, მაგრამ ხანდახან ხარვეზებიც იყო. რიგ შემთხვევებში, ზედმეტი სიჩქარის გამო, გაგრძელების არჩევა არასწორად ხდებოდა და სალელოვე შეტევა უქულოდ სრულდებოდა. განსაკუთრებით ეს ბიძინა სამხარაძეზე ითქმის, რომელმაც რამდენჯერმე არასწორი და ნაჩქარები გადაწყვეტილება მიიღო. არადა, 9 ნომრის გარჯაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. დერეფანში უკრაინას სერიოზული პრობლემები არ შეუქმნია, მაგრამ ეს ნაწილიც რჩება პრობლემად. ერთ-ორ ეპიზოდში შეცდომა დავუშვით და ამ კუთხით რომ სამუშაო ბევრია, კიდევ ერთხელ გამოჩნდა. თუ უახლოეს წარსულს გავიხსენებთ, კანადისა და აშშ-ს ნაკრებებთან ნოემბერში გამართული ტესტ-მატჩების დროს, აუტის არასწორად მოწოდების გამო ბურთი რამდენჯერმე დაიკარგა და ძლიერ მეტოქეებთან თამაშისას, მით უმეტეს, მსოფლიოს თასზე, მსგავსი შეცდომების დაშვება დაუშვებელია.

თამაში დაიწყო თუ არა, საქართველოს ნაკრებმა ჯარიმა აუტში გადაიტანა, მოწოდება მოიგო, მეტოქეს მოლით მიაწვა, დაახლოებით 7-8 მეტრი წინ წაიწია და ნატრიაშვილმა ლელო გაიტანა, კვირიკაშვილმა კი რეალიზაცია შეასრულა. 10 წუთიც არ იყო გასული, როდესაც რაქიდან გამოტანილი ბურთი კვირიკაშვილმა კაჭარავას ლამაზად დაუტოვა და მანაც ჩათვლის მოედნის ხაზი გადაკვეთა, მაგრამ რეფერიმ პასის წინ გადაწოდება დააფიქსირა და უპირატესობით ჯარიმა დაგვიბრუნა. „ბორჯღალოსნებმა" შერკინება ირჩიეს, მეტოქეს მიაწვნენ, რაქიდან ბურთი სამხარაძემ აიტაცა, პასის იმიტირებით მცველები ჩამოიცილა და ლელო გაიტანა, კვირიკაშვილმა კი რეალიზაცია კვლავ ზუსტად შეასრულა.

საქართველოს ნაკრებმა ტემპს კიდევ უფრო უმატა, რაქიდან ბურთი სწრაფად გადიოდა და შეტევის მიმართულებები იცვლებოდა, ხამაშურიძემ ხაზი გაჭრა, ბოჭვის შემდეგ ვარდნაში გუგავას პასი არ დაუგვიანა და 20 წუთის თავზე მესამე ლელო გავიდა, მაგრამ ამჯერად, „მეკოს" გარდასახვა გაუფუჭდა — 19:0.

ამის შემდეგ საქართველოს ნაკრები ცოტა მოეშვა, უკრაინამ მასპინძელთა ნახევარზე გადასვლა მოახერხა და ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვა, რომელიც კოსარევმა ვერ გამოიყენა, არადა, გასატანი პოზიცია იყო. გარკვეული დროით სტუმრებმა თამაში ცენტრსა და საქართველოს ნაკრების 22-მეტრიან ხაზს შორის გადაიტანეს. ტაიმის ბოლოს, ქართველებმა იფიქრეს, სიცივეში გახურება შეტევებით რომ სჯობდა და ტემპს მოუმატეს. მაჩხანელი საკუთარი 22-იანიდან დაიძრა და ბურთი ცენტრამდე აიტანა, მერე შეტევა მარჯვენა ფლანგიდან განვითარდა და უკრაინელთა ჩათვლის მოედნიდან 5 მეტრში შერკინება დაინიშნა, რის შემდეგაც, ბურთი ჩვენებმა მარცხნივ გადაიტანეს, კვირიკაშვილი კარგად გაერკვა სიტუაციაში, გვერდით ხაზთან ეულად მდგომი მაჩხანელი მოძებნა და მანაც მეოთხე ლელო გაიტანა, რომლითაც საქართველოს ნაკრებმა ერთი პრემიალური ქულა საწყისი 40 წუთის თავზევე დაიბევა. კვირიკაშვილმა რეალიზაცია ისევ ვერ გამოიყენა.

ტაიმის ბოლო წამებზე უკრაინელებისთვის ქულის მოტანის შანსი კოსარევს ერთხელაც მიეცა, მაგრამ ჯარიმა ამჯერადაც არაზუსტად დაარტყა.

მეორე ნახევარი პირველის მსგავსად დაიწყო — საქართველოს ნაკრები პირველივე შეტევისას მეტოქეს მოლით მიაწვა და ლელო ამჯერად კაპიტანმა ზირაქაშვილმა გაიტანა. კვირიკაშვილმა გარდასახვა ამჯერადაც გააფუჭა. ამის შემდეგ, უკანა ხაზი კიდევ უფრო კარგად ათამაშდა და კაჭარავამ ზედიზედ ორი ლელო გაიტანა. ჯერ კარგად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ გამოიჩინა თავი, მერე კი, ხამაშურიძემ ცენტრში გაჭრა ხაზი, კაჭარავაც დროულად მიეხმარა და ძელებსუა შეხტა. „მეკომ" ორიდან ერთი რეალიზაცია გამოიყენა და ანგარიში 41:0 გახდა.

ყველაზე ლამაზი მერვე ლელო გამოდგა. კომბინაციაში თითქმის მთელმა უკანა ხაზმა მიიღო მონაწილეობა, წაქცეულმა მაჩხანელმა ბურთი დებიუტანტს, შეცვლაზე შესულ ბექა ურჯუკაშვილს აუგდო და მანაც ლელო მიითვალა, „მეკომ" კი რეალიზაცია გამოიყენა.

სტუმრებმა ქულების მოპოვება ამის შემდეგღა შეძლეს, როდესაც კარის გასწვრივ 22 მეტრის ხაზთან ჯარიმის შესრულების უფლება მოიპოვეს და კოსარევმა მესამე ცდა გამოიყენა — 48:3.

ამას, ქართველთა „გაბრაზება" და იერიშები მოჰყვა. მორიგი შერკინების შემდეგ, ბურთი წინა შემთხვევების მსგავსად ხაზზე ჩათამაშდა, ირაკლი გიორგაძემ ხაზი გაჭრა, მას კვირიკაშვილი წამოეხმარა, საქმეში აბუსერიძეც ჩაერთო და ლამაზი კომბინაცია ლელოთი დააგვირგვინა, კვირიკაშვილმა კი რეალიზაცია გამოიყენა. მალე უკანახაზელებს კიდევ მიეცათ თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ სამხარაძემ, ფლანგზე თავისუფალი ურჯუკაშვილი ვერ შენიშნა, ინიციატივა საკუთარ თავზე აიღო და ბურთი დაკარგა. მატჩის დასრულებამდე კიდევ ერთი ლელო მაინც გავიდა. ამჯერად, 5 ქულა გიორგი ჩხაიძემ ჩაიწერა, ხოლო გარდასახვა ლაშა მალაღურაძემ გამოიყენა.

ამრიგად, საქართველოს ნაკრები ერთა თასზე პირველი ტურის შემდეგ გალიდერდა.

„ბორჯღალოსნებს" მომდევნო შეხვედრა 12 თებერვალს, კვლავ თბილისში, ესპანეთის წინააღმდეგ ელით, რომელიც უხერხულ მეტოქედ ითვლება, თუმცა, მისი დამარცხება და პრემიალური ქულის მოპოვება, სავსებით რეალურია. იმედია, მანამდე ხარვეზების გამოსწორებაც შესაძლებელი იქნება და საქართველოს ნაკრები მორიგ 5 ქულას, ლამაზი და ხარისხიანი თამაშის შედეგად მოიპოვებს.

## მატჩის შემდეგ

**დავით კაჭარავა, საქართველოს ნაკრების უკანახაზელი:**

— მიუხედავად ანგარიშისა, თამაშის ხარისხით უკმაყოფილონი ვართ. რიგ ეპიზოდებში, მწვრთნელის დავალებები ვერ შევასრულეთ. ვეცდებით, შეცდომები გამოვასწოროთ და ესპანეთთან უკეთესი თამაში ვაჩვენოთ.

**დავით ზირაქაშვილი, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:** — კაპიტნობა ძალიან რთულია და ყოჩაღ აბუსერიძეს, ამას მთელი ამ ხნის განმავლობაში რომ უძლებს. საკუთარი თამაშის გარდა სხვებზეც გიწევს ფიქრი და გადაწყვეტილებების მიღება. რაგბი მარტო ანგარიში არაა, ეს თამაშია, რომლითაც სიამოვნება უნდა მიიღო. პირველი ტაიმი ცუდად ჩავატარეთ, მაგრამ მეორე ტაიმი უკეთესი იყო. რიგ ეპიზოდებში, შერკინებით მეტოქეს არ მივაწექით, ბურთი ხაზზე გავიტანეთ და უკანახაზელებს იმ კომბინაციების შესრულების საშუალება მივეცით, რაც მწვრთნელებმა დაგვისახეს. ვეცდებით, მომავალ შეხვედრებში უკეთ ვითამაშოთ.

## პრესკონფერენცია

**რიჩარდ დიქსონი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

— გარკვეული შესვენების შემდეგ გუნდი პირველად შეიკრიბა და პირველი თამაში ჩაატარა, ამიტომ ხარვეზებიც იყო. გავიმეორეთ ის კომბინაციები, რაც ნოემბრის ტესტ-მატჩების დროს დავამუშავეთ და მოხერული ვარ, რომ ბიჭებმა ისინი ეფექტურად შეასრულეს. დავინახეთ ის ხარვეზებიც, რომლის გამოსწორებაზეც უნდა ვიმუშაოთ. მე ორი მსოფლიო თასის მონაწილე ვარ, ჯონ მაგლტონი კი — სამის. გვაქვს გამოცდილება და ვიცით, თუ როგორ შევარჩიოთ მორაგბეები მსოფლიო თასისთვის. მოედანზე გასულ მორაგბეებს ენთუაზიაზმი არ აკლდათ, ამიტომ, თავის გამოჩენის შესაძლებლობა ყველას უნდა მიეცეს. ახალი მორაგბეების თამაშით კმაყოფილი ვარ და მათ მომავალშიც მივცემ თავის გამოჩენის შესაძლებლობას, რათა მომავალში საუკეთესოები გახდნენ. სანაკრებო რეზერვი უნდა გავაფართოვოთ. უკვე იკვეთებიან ის მორაგბეები, რომელთაც გრძელვადიანი პერსპექტივა აქვთ.

**ჯონ მაგლტონი, საქართველოს ნაკრების დაცვის მწვრთნელი:**

— თამაშის წინ და მისი მსვლელობისასაც, გუნდს დავალება მივეცით, რომ ბალანსი დაეცვათ შერკინებისა და უკანა ხაზის მორაგბეებს, სინქრონულად ემოქმედათ. ამის შესრულება, მეტ-ნაკლებად მოხერხდა. უკანახაზელებმა კარგი, გაშლილი რაგბი აჩვენეს. მე ნაკრების დაცვის მწვრთნელი ვარ და ამ კომპონენტშიც კარგად ვითამაშეთ. შეცდომები გვქონდა, ბურთი კონტაქტისას იკარგებოდა, არ ვარგოდა გრძელი გადაცემები, ზოგიერთ შემთხვევაში შეტევები არასწორი მიმართულებით ვითარდებოდა, მაგრამ კარგად ვითამაშეთ ფეხით და შერკინებაში. შეცდომების გამოსასწორებლად ერთი გამოსავალი არსებობს — ვარჯიში, ვარჯიში და ვარჯიში. მუშაობით ვეცდებით, რომ მომავალ შეხვედრებში შეცდომები გამოვასწოროთ და განსხვავება დაგანახოთ.

**ზაზა ლეჟავა, უკრაინის ეროვნული ნაკრების კონსულტანტი:**

— ჩვენ და საქართველოს ნაკრებს განსხვავებული ამოცანები გვაქვს. გვსურდა, მორაგბეებს დაცვაში თავდადებით ეთამაშათ და მათ ეს მოახერხეს. მოსამზადებლად მცირე დრო გვქონდა და წინსვლა აშკარად სახეზეა. ჩვენი მიზანი უძლიერესთა შორის დარჩენაა და საამისოდ, უმთავრესი კონკურენტი ესპანეთის ნაკრებია. სწორედ მასთან უნდა ვეცადოთ ქულების აღებას, თუმცა, თუნდაც მცირე სხვაობით წაგებისთვის მოპოვებულ პრემიალურ ქულაზეც არ ვიტყვით უარს.

პრესკონფერენციის ბოლოს, უკრაინის რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ვლად ბულგაკოვმა საქართველოს ნაკრებს „ერთა თასზე" და მსოფლიო თასზე წარმატება უსურვა და საქართველოსგან, როგორც სათამაშო, ისე კავშირის საორგანიზაციო საკითხებში, დახმარების იმედი გამოთქვა. თავის მხრივ, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ, ბულგაკოვს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება უსურვა, რომელიც 20 მარტს გაიმართება.

ჩვენივე ჯგუფში კიდევ 2 მატჩი გაიმართა. მცირე დააკლდათ სენსაციამდე ესპანელებს, რომლებმაც რუსებს გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს, მხოლოდ 4 ქულით, 20:24 დამარცხდნენ, თავად პრემიალურ ქულას გამოკრეს ხელი, ხოლო მეტოქეს ამის გაკეთება არ დაანებეს.

ასევე საინტერესო მატჩი გაიმართა პორტუგალიაშიც, სადაც მასპინძლებმა იოლად მოუგეს რუმინელებს. პორტგალიელებმა პირველ ტაიმში მეტოქის შეცდომებით ისარგებლეს და 24:3 დაწინაურდნენ. მეორეში კი რუმინელებმა 2 ლელო გაიტანეს და სხვაობა პრემიელურ ქულამდე დაიყვანეს — 17:24. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მეორე ლელო, რომელიც რუმინელებმა ბოლო წუთზე გაიტანეს, წესების დარღვევით გავიდა და „მუხის ფოთლებიც" ამ პრემიალურ ქულას მსაჯს უნდა უმადლოდეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 62:3 | 5(1) |
| 2.პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | 24:17 | 4 |
| 3.რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 24:20 | 4 |
| 4.ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 20:24 | 1(1) |
| 5.რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 17:24 | 1(1) |
| 6.უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | 3:62 | 0 |

**შენიშვნა:** ფრჩხილებში მოცემულია პრემიალური ქულები

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

| | |
|---|---|
| სტოკი-სანდერლენდი | 3:2 |
| ასტონ ვილა-ფულემი | 2:2 |
| სიტი-ვესტ ბრომვიჩი | 3:0 |
| ნიუკასლი-არსენალი | 4:4 |
| ტოტენჰემი-ბოლტონი | 2:1 |
| უიგანი-ბლექბერნი | 4:3 |
| ევერტონი-ბლექპული | 5:3 |
| ვულვზი-მანჩესტერი | 2:1 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 25 | 15 | 9 | 1 | 55:24 | 54 |
| 2.არსენალი | 25 | 15 | 5 | 5 | 54:27 | 50 |
| 3.სიტი | 26 | 14 | 7 | 5 | 42:22 | 49 |
| 4.ჩელსი | 24 | 13 | 5 | 6 | 46:21 | 44 |
| 5.ტოტენჰემი | 25 | 12 | 8 | 5 | 35:27 | 44 |
| 6.სანდერლენდი | 26 | 9 | 10 | 7 | 32:31 | 37 |
| 7.ლივერპული | 25 | 10 | 5 | 10 | 33:31 | 35 |
| 8.ბოლტონი | 26 | 8 | 9 | 9 | 36:37 | 33 |
| 9.სტოკი | 25 | 10 | 3 | 12 | 31:32 | 33 |
| 10.ნიუკასლი | 25 | 8 | 7 | 10 | 40:38 | 31 |
| 11.ბლექბერნი | 26 | 9 | 4 | 13 | 34:42 | 31 |
| 12.ფულემი | 26 | 6 | 12 | 8 | 28:28 | 30 |
| 13.ევერტონი | 26 | 6 | 12 | 7 | 33:34 | 30 |
| 14.ას. ვილა | 26 | 7 | 8 | 11 | 30:45 | 29 |
| 15.ბლექპული | 25 | 8 | 4 | 13 | 38:49 | 28 |
| 16.უიგანი | 25 | 5 | 11 | 9 | 26:41 | 26 |
| 17.ვესტ ბრომ. | 25 | 7 | 5 | 13 | 31:48 | 26 |
| 18.ბირმინგემი | 23 | 4 | 12 | 7 | 23:33 | 24 |
| 19.ვესტ ჰემი | 25 | 5 | 9 | 11 | 27:44 | 24 |
| 20.ვულვზი | 25 | 7 | 3 | 15 | 26:43 | 24 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

| | |
|---|---|
| ბარნლი-ნორვიჩი | 2:1 |
| იფსვიჩი-შეფილდი | 3:0 |
| კრ.პალასი-მიდლსბრო | 1:0 |
| ლესტერი-ბარნსლი | 4:1 |
| ლიდსი-ქოვენთრი | 1:0 |
| მილუოლი-დონკასტერი | 1:0 |
| ნოტინგემი-უოტფორდი | 1:0 |
| პორთსმუთი-დერბი | 1:1 |
| პრესტონი-ბრისტოლი | 0:4 |
| სკანთორპი-ჰალი | 1:5 |

### იტალია. სერია ა

| | |
|---|---|
| უდინეზე-სამპდორია | 2:0 |
| კალიარი-იუვენტუსი | 1:3 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 23 | 14 | 6 | 3 | 39:18 | 48 |
| 2.ნაპოლი | 23 | 13 | 4 | 6 | 36:22 | 43 |
| 3.ინტერი | 22 | 12 | 5 | 5 | 39:24 | 41 |
| 4.ლაციო | 23 | 12 | 5 | 6 | 29:21 | 41 |
| 5.უდინეზე | 24 | 12 | 4 | 8 | 39:30 | 40 |
| 6.რომა | 22 | 11 | 6 | 5 | 32:25 | 39 |
| 7.იუვენტუსი | 24 | 10 | 8 | 6 | 40:30 | 38 |
| 8.პალერმო | 23 | 12 | 4 | 7 | 38:29 | 37 |
| 9.კალიარი | 24 | 9 | 5 | 10 | 28:26 | 32 |
| 10.კიევო | 23 | 7 | 9 | 7 | 25:22 | 30 |
| 11.ფიორენტინა | 22 | 7 | 7 | 8 | 22:23 | 28 |
| 12.სამპდორია | 24 | 6 | 9 | 8 | 20:25 | 27 |
| 13.ჯენოა | 22 | 7 | 6 | 9 | 18:21 | 27 |
| 14.ბოლონია | 22 | 7 | 8 | 7 | 24:30 | 26 |
| 15.პარმა | 23 | 6 | 7 | 10 | 22:29 | 25 |
| 16.ლეჩე | 23 | 6 | 6 | 11 | 22:39 | 24 |
| 17.კატანია | 23 | 5 | 8 | 10 | 19:30 | 23 |
| 18.ჩეზენა | 23 | 5 | 6 | 12 | 17:29 | 21 |
| 19.ბრეშა | 23 | 5 | 4 | 14 | 18:31 | 19 |
| 20.ბარი | 23 | 3 | 5 | 15 | 14:37 | 14 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

### იტალია. სერია ბ

| | |
|---|---|
| ასკოლი-პიაჩენცა | 3:1 |
| ატალანტა-პესკარა | 1:0 |
| ვარეზე-ალბინოლეფე | 3:0 |
| გროსეტო-ნოვარა | 0:1 |
| პორტუგრუარო-ფროსინონე | 0:1 |
| ტორინო-სასუოლო | 1:2 |
| ტრიესტინა-ემპოლი | 1:2 |
| ჩიტადელა-სიენა | 0:0 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

| | |
|---|---|
| ალმერია-ესპანიოლი | 3:2 |
| ბილბაო-ხიხონი | 3:0 |
| ოსასუნა-მალიორკა | 1:1 |
| სარაგოსა-რასინგი | 1:1 |
| ხეტაფე-დეპორტივო | 4:1 |
| ვილიარეალი-ლევანტე | 0:1 |
| ბარსელონა-ატლეტიკო | 3:0 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 21 | 19 | 1 | 1 | 66-11 | 58 |
| 2.რეალი | 20 | 15 | 3 | 2 | 44-16 | 48 |
| 3.ვილიარ. | 21 | 14 | 3 | 4 | 39-18 | 45 |
| 4.ვალენსია | 20 | 11 | 5 | 4 | 33-24 | 38 |
| 5.ბილბაო | 21 | 12 | 1 | 8 | 36-30 | 37 |
| 6.ესპანიოლი | 21 | 11 | 1 | 9 | 26-30 | 34 |
| 7.ატლეტიკო | 21 | 9 | 3 | 9 | 30-24 | 30 |
| 8.ხეტაფე | 21 | 9 | 2 | 10 | 34-35 | 29 |
| 9.სოსიედ. | 20 | 9 | 1 | 10 | 30-30 | 28 |
| 10.სევილია | 20 | 8 | 3 | 9 | 30-33 | 27 |
| 11.მალიორკა | 21 | 8 | 4 | 9 | 20-29 | 25 |
| 12.სარაგოსა | 21 | 5 | 8 | 8 | 21-30 | 23 |
| 13.დეპორტ. | 21 | 5 | 7 | 9 | 19-30 | 22 |
| 14.ოსასუნა | 21 | 5 | 6 | 10 | 21-29 | 21 |
| 15.ხიხონი | 21 | 5 | 6 | 10 | 20-29 | 21 |
| 16.ლევანტე | 21 | 6 | 3 | 12 | 23-33 | 21 |
| 17.რასინგი | 21 | 5 | 6 | 10 | 16-30 | 21 |
| 18.ერკულესი | 20 | 5 | 4 | 11 | 18-33 | 19 |
| 19.ალმერია | 21 | 4 | 8 | 9 | 22-34 | 20 |
| 20.მალაგა | 20 | 5 | 1 | 14 | 27-46 | 16 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

| | |
|---|---|
| ვალიადოლიდი-გრანდა | 2:3 |
| ალბასეტე-ვილიარეალი ბ | 0:2 |
| ხირონა-ტარაგონა | 2:1 |
| ლას პალმასი-უესკა | 1:1 |
| რაიო-კორდობა | 4:2 |
| სალამანკა-ტენერიფე | 1:2 |
| ელჩე-კარტახენა | 1:2 |

### გერმანია. 1 ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1:0 |
| კიოლნი-ბაიერნი | 3:2 |
| მაინცი-ვერდერი | 1:1 |
| ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 1:0 |
| ჰოფენჰაიმი-კაიზერი | 3:2 |
| გლადბახი-შტუტგარტი | 2:3 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 21 | 16 | 3 | 2 | 46:12 | 51 |
| 2.ლევერკუზ. | 21 | 11 | 6 | 4 | 41:30 | 39 |
| 3.მაინცი | 21 | 12 | 1 | 8 | 32:22 | 37 |
| 4.ჰანოვერი | 21 | 12 | 1 | 8 | 29:30 | 37 |
| 5.ბაიერნი | 21 | 10 | 6 | 5 | 42:26 | 36 |
| 6.ფრაიბურგი | 20 | 10 | 3 | 7 | 29:28 | 33 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 21 | 8 | 8 | 5 | 39:28 | 32 |
| 8.ჰამბურგი | 20 | 9 | 3 | 8 | 29:30 | 30 |
| 9.ნიურნბერ. | 21 | 8 | 5 | 8 | 26:30 | 29 |
| 10.შალკე | 21 | 7 | 5 | 9 | 26:26 | 26 |
| 11.აინტრახტი | 20 | 8 | 2 | 10 | 24:26 | 26 |
| 12.ვოლფსბ. | 21 | 5 | 8 | 8 | 26:30 | 23 |
| 13.ვერდერი | 21 | 6 | 5 | 10 | 27:43 | 23 |
| 14.კაიზერი | 21 | 6 | 4 | 11 | 31:37 | 22 |
| 15.ზ.პაული | 20 | 6 | 4 | 10 | 23:34 | 22 |
| 16.კიოლნი | 21 | 6 | 4 | 11 | 25:39 | 22 |
| 17.შტუტგარტი | 21 | 5 | 4 | 12 | 37:39 | 19 |
| 18.გლადბახი | 21 | 4 | 4 | 13 | 31:53 | 16 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| ჰერტა-უნიონი | 1:2 |
| პადერბორნი-კარლსრუე | 3:0 |

### საფრანგეთი. 1 ლიგა

| | |
|---|---|
| ბრესტი-ნანსი | 2:1 |
| კანი-ლორიენი | 0:2 |
| ლანსი-ვალანსიენი | 1:1 |
| მარსელი-არლე | 1:0 |
| მონპელიე-სენტ ეტიენი | 1:2 |
| ნიცა-სოშო | 1:0 |
| რენი-პსჟ | 1:0 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 21 | 11 | 8 | 2 | 39-21 | 41 |
| 2.პსჟ | 22 | 10 | 7 | 5 | 34-24 | 37 |
| 3.ლიონი | 21 | 9 | 7 | 5 | 30-23 | 34 |
| 4.რენი | 22 | 10 | 7 | 5 | 24-17 | 37 |
| 5.მარსელი | 22 | 9 | 9 | 4 | 30-18 | 36 |
| 6.მონპელიე | 22 | 9 | 6 | 7 | 20-23 | 33 |
| 7.სტ.ეტიენი | 22 | 9 | 8 | 5 | 31-24 | 35 |
| 8.ბორდო | 21 | 7 | 9 | 5 | 27-23 | 30 |

# მეორე წრის ლოგიკური დასაწყისი

### ენერჯი ინვესტი — ქუთაისი 57:70
**(§:21; 8:1§; 22:15; 18:1§**

**ენერჯი:** აბაიშვილი (12), მებურიშვილი, ხმელიძე (13), გუგავა, ლამუ (16); გ. ბერუაშვილი, ზედელაშვილი (9), თვარაძე (3), არაბული (3), ობგაიძე (1).

**ქუთაისი:** კვიმსაძე (15), ცეკვავა (14), დიდია (7), კოლუაშვილი (16), ბოლქვაძე (7); ბაბუნაშვილი (2), ტუკვაძე (4), ლომინაშვილი (2), კუჭავა (3).

35-დღიანი შესვენების შემდეგ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი განახლდა. შედარებით დაძაბული რუსთავში გამართული მატჩი გამოვიდა, სადაც „ენერჯი-ინვესტი" „ქუთაისს" მასპინძლობდა. შეხვედრა სტუმართა დიდი უპირატესობით კი დაიწყო, მაგრამ რუსთაველების მონდომების ხარჯზე ბოლო წუთებზე ორთაბრძოლა დაიძაბა. უნდა ითქვას, რომ პირველი წრის ამ გუნდების შეხვედრა ქუთაისში „ენერჯიმ" მოიგო, მაგრამ პირველი წრის დასრულების შემდეგ საქართველოს ჩემპიონი წამყვანმა კალათბურთელებმა დატოვეს. რუსთაველებს ჯოლივეტ ტუჯანი, ბექა წივწივაძე, აკაკი დვალიშვილი, დუდა სანაძე, გიორგი ცეკვავა გამოაკლდნენ. ეს უკანასკნელი სწორედ „ქუთაისში" გადავიდა და თავის ყოფილ გუნდს 14 ქულაც ჩაუგდო.

გამომდინარე იქიდან, რომ რუსთაველებს მთავარი ბირთვი გამოაკლდათ, ამ შეხვედრის ფავორიტად „ქუთაისი" ითვლებოდა. სტუმრებმაც მძლავრად დაიწყეს და უკვე პირველი მეოთხედის შემდეგ 14 ქულით იგებდნენ. იმერული გუნდის წევრები უფრო იოლად პოულობდნენ მეტოქის კალათის გასაღებს და საიმედო ლიდერობაც დაიბევეს. პირველ ტაიმში ქუთაისელთა უპირატესობამ 22 ქულას მიაღწია, მესამე მეოთხედის დასაწყისში კი სტუმრები უკვე 47:24-ს იგებდნენ. თითქოს ყველაფერიც გარკვეული იყო, თუმცა, რუსთაველებმა სისწრაფესა და სიზუსტეს მოუმატეს. მასპინძლელთა ჩამორჩენამ შემცირება იწყო, რაც კამერუნელი ლეგიონერის, სამუელ ლამუსა და რუსთაველთა უკანახაზელების, ქაქუცა აბაიშვილის, ლუკა ხმელიძის და სხვათა დამსახურება იყო. მასპინძლებს გამოადგათ 17 წლის ბექა ზედელაშვილი, რომელიც 18-წლამდელთა გუნდიდან დაიმატეს.

თამაშის დასრულებამდე 3 წუთით ადრე ქუთაისელთა ლიდერობიდან 6 ქულაღა დარჩა (63:57) და მათ მცირედიც უნდოდათ, რომ ჩამორჩენა სრულიად გაებათილებინათ, მაგრამ... შეხვედრის დასრულებამდე წუთ-ნახევრით ადრე ცეკვავამ თავის ყოფილ გუნდს სამქულიანი ჩაუგდო, ქუთაისელთა უპირატესობა 9 ქულამდე გაიზარდა და ყველაფერიც აქ გაირკვა.

გამარჯვებულთაგან ორმაგი დუბლით ბუბა კვიმსაძე და ბიქტორ კოლუაშვილი გამოირჩნენ, პირველმა 15 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა, ხოლო კოლუაშვილმა 16 ქულას 11 მოხსნაც მიაყოლა.

### ბათუმი — დინამო 104:70
**(25:1§, 24:1§, 31:17, 24:17**

**ბათუმი:** მიქელაძე (8), რამიშვილი (12), სანაძე (28), კეშელავა (21), ყველაშვილი (12); ნინუა (4), სიხარულიძე (40, ჩხატარაშვილი (9), ჩხაიძე, ელიაშვილი (6).

**დინამო:** პატარაია (5), ივანეიშვილი (11), გულდედავა (7), ჩაველაშვილი (19), ალხანაიძე (18); თვაური (6), შალიკიანი (2), ირაკლი ცაგარეიშვილი (2)

ბათუმში გამართული მატჩი მასპინძლებმა 34 ქულით მოიგეს. მიხეილ კობეშავიძის გაწვრთნილმა ზღვისპირელებმა ბათუმში 8 მოთამაშით ჩასულ დინამოელებს შანსი არ დაუტოვეს. აჭარული გუნდის ახალგაზრდა ახალწვეულმა დუდა სანაძემ 28 ქულით ბომბარდირობა ითავა, გამოცდილმა ლაშა კეშელავამ კი ტრადიციულად მძლავრად ითამაშა და ორმაგი დუბლი გაიფორმა — 21 ქულა, 11 მოხსნა.

### თსუ — სტუ 93:86
**(18:17, 24:15, 24:26, 26:2§**

**თსუ:** ჩიტაშვილი (13), გაფრინდაშვილი (8), მ.ბერიშვილი (26), კორკოტაძე (9), მათიაშვილი (24), ხიზანიშვილი (3), ლონდარიძე, ზ.დეკანოიძე (1), ზ.მაისურაძე (9).

**სტუ:** ჩიკვილაძე (34), ვ.ბერუაშვილი (20), გასიტაშვილი, ჯანგველაძე, კობიძე (4), ჭოხონელიძე (2), ლომოური, მაჩალაძე (3), თევზაძე (4), ლაშქარაძე, ი.ძიძიგური (9), ახალკაცი (10)

სტუდენტური დერბი სახელმწიფო და ტექნიკურ უნივერსიტეტებს შორის საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ფავორიტად თსუ მიიჩნეოდა, მაგრამ სტუ-ს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შეხვედრამ ბოლომდე შეინარჩუნა ინტერესი.

თამაშის დასრულებამდე 2 წუთით ადრე ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა (81:84), რაც მატჩის უკიდურესად დაძაბვის მიზეზი გახდა. ტექნიკოსები მეტოქეს მაშინაც კი არ შეეპუვნენ, როცა მესამე მეოთხედში ანგარიშში სხვაობამ 14 ქულას მიაღწია.

თსუ-ს რამდენიმე ტრავმირებული კალათბურთელი აკლდა და ამიტომაც იყო, რომ ნუგზარ ჭეიშვილის გუნდს უჭირდა სტუ-ელთა პერიოდულად აფეთქების შეჩერება და ამიტომაც იყო, რომ ტექნიკოსები 10-12-ქულიან ჩამორჩენას ძალიან სწრაფად აბათილებდნენ. შემდეგ თსუ-ს ისევ უხდებოდა მოპოვებული ლიდერობის განმტკიცება.

საბოლოოდ, ყველაფერი თსუ-ს სასარგებლოდ დასრულდა. ბოლო წუთებზე მიხეილ ბერიშვილმა საჭირო სამქულიანები მიითვალა, მთელი მატჩის განმავლობაში მებრძოლმა რიჩარდ მათიაშვილმა გადამწყვეტ მომენტშიც იყოჩაღა და თსუ-მ დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა.

სუპერლიგის ბომბარდირმა სტუელმა ბექა ჩიკვილაძემ კვლავ გამოავლინა მექულეობის ალღო. მან 34 ქულა მიითვალა, რასაც ვასილ ბერუაშვილმა 20 მიმატა, თუმცა, ამით მათმა გუნდმა მაინც ვერ იხეირა.

### შსს — თსსუ 74:54
**(24:15, 14:13, 18:29, 1§:6**

**შსს:** წივწივაძე (9), კოტონი (14), ლაფანაშვილი (5), დ.ბარბაქაძე (15), ტუჯანი (9), ნიკოლაძე (11), მარკოიშვილი, შერმადინი, ტომარაძე (11).

**თსსუ:** როჯერსი, გულისაბედაშვილი (2), თენიეშვილი (7), ჭოჭუა (11), ნინიაშვილი (16), ი.ლეჟავა, ბექაური, კეიდია, როდუმტა, დვალიშვილი (18)



მე-12 ტურის ცენტრალურ მატჩად მონათლული დაპირისპირება არათანაბარი გამოვიდა. დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა ძალოვნებმა 20 ქულის სხვაობით დაამარცხეს მედიკოსები და ცხრილში პოზიციები გაიმყარეს.

მატჩი ერთხელ, მეორე მეოთხედის დასაწყისში დაიძაბა, როცა სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდი 1 ქულით მიუახლოვდა შსს-ს. ისე კი უსტიაშვილის გაწვრთნილი გუნდი სულ წინ იყო, ხან მცირედით, ხანაც მისი უპირატესობა 10-15 ქულას სცდებოდა. საბოლოოდ კი 74:54 იმარჯვა.

აღსანიშნავია, რომ ეს გუნდები ბოლო 17 დღეში მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს. ჯერ მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალზე, შემდეგ თასის გათამაშებაზე, შაბათს კი სუპერლიგის მორიგ ტურში. სამივე მატჩი დავით უსტიაშვილის გუნდის სასარგებლოდ დასრულდა. თანაც ისე, რომ თამაშის სცენარი თითქმის ერთნაირი იყო. შსს დამაჯერებლად ლიდერობდა, თსსუ კი ცდილობდა ანგარიშის შემცირებას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

მედიკოსთა ამერიკელი გამთამაშებელი ჯეფრი როჯერსი მეორე მეოთხედში დაშავდა და მოედანზე აღარ დაბრუნებულა. მან მხოლოდ 11 წუთს ითამაშა და მოედანი უქულოდ დატოვა. დაშავდა შსს-ს ამერიკელიც — ტროი კოტონი, მაგრამ მას ბოლო მეოთხედში მოუწია მოედნიდან გასვლა, თანაც, შსს გაცილებით გუნდურად თამაშობდა და ხუთეულის წევრის მოსაკლისება გუნდს არც დასტყობია. სანამ მოედნიდან იძულებით გავიდოდა, კოტონმა 14 ქულის მოგროვება მოასწრო, შსს-ელთა ბომბარდირი კი 15 ქულით დავით ბარბაქაძე გახდა.

ბარბაქაძე იყო ამ მატჩში ერთადერთი მოთამაშე, რომელმაც ორმაგი დუბლის მოგროვება შესძლო. მან 15 ქულას 10 მოხსნაც მოაყოლა.

მედიკოსთაგან 18 ქულითა და 9 მოხსნით აკაკი დვალიშვილი გამოირჩა, ხოლო თორნიკე ნინიაშვილმა 16 ქულას მოუყარა თავი.

### სსაუ — სოხუმი 64:84
**(13:18; 29:29; 13:21; 17:24**

**სსაუ:** არწივიძე (4), ტეტელაშვილი (2), გემაზაშვილი (2), ხანიაშვილი (19), მუმლაძე (8), ბააკაშვილი (3), ნანიტაშვილი, ჩაჩანიძე (18), ჯავახიშვილი (8).

**სოხუმი:** ფარლალავა (17), ჰარისი (20), კვეტენაძე, ანთაძე (2), რ.დამუსი (21), შანიძე (14), სორდია (4), კანკია, კ.დამუსი (6)

მთავარი მწვრთნელის გარეშე მოთამაშე სოხუმელებმა მეტოქე 20 ქულით დაამარცხეს. „სოხუმის" მომავალმა მწვრთნელმა აინარს ბაგატსკისმა მატჩს ტრიბუნიდან ადევნა თვალი.

სოხუმელებს ნომინალურ მწვრთნელად ქაჯაია ჰყავდათ. მათი აქამდელი მთავარი მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია კი ტრიბუნაზე, აინარს ბაგატსკისთან ერთად იჯდა, რომელიც მომავალი გუნდის მატჩს ზვერავდა და გარკვეულ ჩანიშვნებსაც აკეთებდა. თავად თამაში ნაკლებად საინტერესო გამოვიდა. სოხუმელები მუდმივად ინარჩუნებდნენ მცირე უპირატესობას, თუმც ბოლო მეოთხედში მოუმატეს და საბოლოოდ 20 ქულით იმარჯვეს. გამარჯვებულთაგან ამერიკელი ლეგიონერები გამოირჩნენ: რიჩარდ დამუსმა 21 ქულა და 13 მოხსნა მიითვალა, ხოლო იუჯინ ჰარისმა 20 ქულას 7 პასიც მოაყოლა. 7 პასი და 17 ქულა მოაგროვა სოხუმელთა კიდევ ერთმა ლიდერმა ლაშა ფარლალავამ. ძირითადად ამ სამეულის დამსახურებაა, რომ „სოხუმმა" ეს შეხვედრა მოიგო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 10 | 9 | 1 | 916:712 | 19 |
| 2.შსს | 11 | 8 | 3 | 975:829 | 19 |
| 3.ქუთაისი | 11 | 8 | 3 | 925:803 | 19 |
| 4.თსუ | 11 | 8 | 3 | 970:892 | 19 |
| 5.სოხუმი | 11 | 7 | 4 | 889:854 | 18 |
| 6.ენერჯი | 11 | 7 | 4 | 805:775 | 18 |
| 7.ბათუმი | 11 | 4 | 7 | 864:903 | 15 |
| 8.თსსუ | 11 | 3 | 8 | 795:833 | 14 |
| 9.სტუ | 11 | 3 | 8 | 914:980 | 14 |
| 10.სსაუ | 11 | 2 | 9 | 757:927 | 13 |
| 11.დინამო | 11 | 1 | 10 | 747:1049 | 12 |

## შედეგები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 9.ტულუზა | 21 | 9 | 3 | 9 | 23-22 | 30 |
| 10.სოშო | 22 | 8 | 4 | 10 | 35-27 | 28 |
| 11.ბრესტი | 22 | 8 | 7 | 7 | 23-21 | 31 |
| 12.ლორიენი | 22 | 9 | 4 | 9 | 26-27 | 31 |
| 13.ვალანს. | 22 | 6 | 8 | 8 | 25-25 | 26 |
| 14.ნანსი | 22 | 7 | 4 | 10 | 23-34 | 25 |
| 15.ოსერი | 21 | 4 | 12 | 5 | 26-25 | 24 |
| 16.კანი | 22 | 6 | 6 | 10 | 22-31 | 24 |
| 17.ნიცა | 22 | 6 | 8 | 8 | 15-22 | 26 |
| 18.ლანსი | 22 | 5 | 8 | 9 | 24-39 | 23 |
| 19.მონაკო | 21 | 3 | 12 | 6 | 20-21 | 21 |
| 20.არლე | 22 | 1 | 5 | 16 | 11-43 | 8 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ანჟე-კლერმონი ........ 1:0
აიაჩო-ტრუა ........ 3:0
ბულონი-სედანი ........ 1:0
ვანი-მეცი ........ 1:2
გრენობლი-ნიმი ........ 1:0
დიჟონი-ისტრი ........ 1:0
ნანტი-ლავალი ........ 1:1
რეიმსი-ლე ავრი ........ 2:1
შატორუ-ლე მანი ........ 1:2

**ჰოლანდია. ეჩედივიზიონი**

ჰერენვენი-ნაიმეგენი ........ 0:0
პსვ-დენ ჰააგი ........ 0:1
ექსელსიორი-ალკმაარი ........ 2:1
ვენლო-ბრედა ........ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 22 | 14 | 5 | 3 | 58:21 | 47 |
| 2.ტვენტე | 21 | 14 | 4 | 3 | 44:23 | 46 |
| 3.აიაქსი | 21 | 12 | 5 | 4 | 42:20 | 41 |
| 4.გრონინგენი | 21 | 12 | 4 | 5 | 42:27 | 40 |
| 5.ალკმაარი | 22 | 10 | 7 | 5 | 34:23 | 37 |
| 6.როდა | 21 | 9 | 8 | 4 | 37:29 | 35 |
| 7.დენ ჰააგი | 22 | 11 | 5 | 6 | 40:32 | 38 |
| 8.უტრეხტი | 21 | 10 | 3 | 8 | 35:27 | 33 |
| 9.ჰერენვენი | 22 | 8 | 7 | 7 | 42:33 | 31 |
| 10.ბრედა | 22 | 9 | 4 | 9 | 31:36 | 30 |
| 11.ნაიმეგენი | 22 | 6 | 9 | 7 | 36:38 | 27 |
| 12.გრააფსხაპი | 21 | 6 | 7 | 8 | 22:37 | 25 |
| 13.ერაკლესი | 21 | 5 | 6 | 10 | 31:40 | 21 |
| 14.ვიტესი | 21 | 5 | 6 | 10 | 26:36 | 21 |
| 15.ფეინოორ. | 21 | 5 | 5 | 11 | 24:38 | 20 |
| 16.ექსელსი. | 22 | 5 | 4 | 13 | 25:45 | 19 |
| 17.ვენლო | 22 | 4 | 1 | 17 | 22:51 | 13 |
| 18.ტილბურგი | 21 | 1 | 4 | 16 | 18:53 | 7 |

*ბრედას დაკლებული აქვს 1 ქულა*

**პორტუგალია. ა ლიგა**

მარიტიმუ-ბრაგა ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 18 | 16 | 2 | 0 | 43:7 | 50 |
| 2.ბენფიკა | 17 | 13 | 0 | 4 | 35:16 | 39 |
| 3.სპორტინგი | 18 | 9 | 5 | 4 | 30:20 | 32 |
| 4.გიმარაეში | 17 | 8 | 4 | 5 | 24:21 | 28 |
| 5.ლეირია | 17 | 7 | 4 | 6 | 17:21 | 25 |
| 6.ნაციონალი | 18 | 7 | 4 | 7 | 17:22 | 25 |
| 7.ბრაგა | 18 | 8 | 3 | 7 | 33:24 | 27 |
| 8.ბეირა მარი | 17 | 5 | 8 | 4 | 20:19 | 23 |
| 9.მარიტიმუ | 18 | 4 | 7 | 7 | 19:21 | 19 |
| 10.ოლჰანენსე | 17 | 5 | 7 | 5 | 14:15 | 22 |
| 11.ფერეირა | 17 | 4 | 8 | 5 | 16:21 | 20 |
| 12.აკადემიკა | 17 | 5 | 4 | 8 | 21:28 | 19 |
| 13.სეტუბალი | 17 | 4 | 5 | 8 | 15:25 | 17 |
| 14.რიუ ავე | 17 | 3 | 5 | 9 | 17:24 | 14 |
| 15.პორტიმონ. | 17 | 2 | 4 | 11 | 17:33 | 10 |
| 16.ნავალი | 18 | 2 | 4 | 12 | 14:35 | 10 |

**შოტლანდია. თასი**

ჰამილტონი-დანდი ........ 1:3
ტისლი-ბრიქსინი ........ 0:2
ინვერნესი-მორტონი ........ 5:1
სტრანნარი-მოზერველი ........ 0:2
ეირი-სტ.მირენი ........ 1:2

**ბელგია. პრიმიერლიგა**

ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი ........ 2:0
ვესტერლო-კორტრაიკი ........ 2:1
სერკლი-მეხელენი ........ 0:1
შარლერუა-ვარეგემი ........ 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბელინცონა-იანგ ბოიზი ........ 1:5
ციურიხი-ლუცერნი ........ 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-ლარისა ........ 1:1
პანსერაიკოსი-ირაკლისი ........ 1:2
აეკი-არისი ........ 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-ისტამბული ........ 1:3
ბეშიქთაში-ქარაბუქი ........ 1:1
ქაისერი-ანკარაგიუჯიუ ........ 2:1
მანისა-ფენერბახჩე ........ 1:3

**ფინეთი. თასი**

ჰონკა-ჰაკა ........ 4:2
ოულუ-ჯჯკ ........ 1:1
იარო-ვაასა ........ 2:2

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ვაშინგტონი-ატლანტა ........ 92:99
*ზაზა ფაჩულია: 7 ქულა, 5 მოხსნა*
შარლოტი-დალასი ........ 92:101
კლივლენდი-პორტლენდი ........ 105:111
ნიუ ორლეანი-ლეიკერსი ........ 95:101
მილუოკი-დეტროიტი ........ 78:89
მინესოტა-დენვერი ........ 100:113
ჰიუსტონი-მემფისი ........ 95:93(ოტ)
იუტა-ოკლაჰომა ........ 105:121
გოლდენ სტეიტი-ჩიკაგო ........ 101:90

### რაგბი

**ექვსი ერის თასი**

იტალია-ირლანდია ........ 11:13
საფრანგეთი-შოტლანდია ........ 34:21

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

აილენდერსი-ოტავა ........ 5:3
ბუფალო-ტორონტო ........ 6:2
კაროლინა-ატლანტა ........ 4:3(ოტ)
კოლამბუსი-ედმონტონი ........ 4:3
ფილადელფია-დალასი ........ 3:1
ნეშვილი-დეტროიტი ........ 3:0
ფინიქსი-მინესოტა ........ 1:0
კალგარი-ლოს ანჯელესი ........ 3:3(0:1ბ)

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## TV პროგრამა
**ოთხშაბათი 7 თებერვალი**

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "უჩინარი კვალი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** აუდიტორია **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.30** მხ. ფილმი **"როლერბოლი"** (12) **02.10** მოამბე **02.30** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** მხ. ფილმი **"გაათავისუფლე ვილი"** **11.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"დაუვიწყარი მოგზაურობა"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"განგსტერი ნომერი ერთი"** (18)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** **10.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"ჰანიბალი"** **15.30** "გუნცაძეები" **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"სად არის ელისა"** **22.00** კონცერტი **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** მხ. ფილმი **"ბორნის იდენტიფიკაცია"** (18) (მ. დეიმონი) **03.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "სქელი ძაღლი მენდოზა" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.40** პულსი **15.20** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები"** **13.00** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **00.00** მხ. ფილმი **"მისტერ და მისის სმიტები"** (12) (ბ. პიტი) (სუბტ.) **02.20** მხ. ფილმი **"პელიკანების საქმე"** (12) (ჯ. რობერტსი) (სუბტ.) **04.35** მხ. ფილმი **"უცხოები"** (18) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"სინდისის საკითხი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50** ქართ. ფ. **"ბაში აჩუკი"** **14.50** ფერისცვალება **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ამანდა ო"** **19.30** სერ. **"ძმები კარამაზოვები"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფ. **"ქალაქი ანარა"** **13.30** კონცერტი **15.05** სპექტაკლი **"ასერგასის დღე"** **16.50** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.05** მთავარსარდალი — დავით აღმაშენებელი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** 1-ლი ნ. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძველი აფიშა **22.25** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** სალამოს ლოცვა **23.15** გაბრიელ ეპისკოპოსი **23.30** "ქორონიკონს ქრისტეს აქეთ" მე-3ს. **00.30** სუფთა დაფა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 7 თებერვალს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,8033 | ევრო —2,495 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,9259 | რუსული რუბლი — 0,0612 |

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 8-8, ღამით — -3-9

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19-12, ღამით — 9-4

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — -2-6, ღამით — -17 -2

**ამინდის პროგნოზი 7 თებერვლისთვის**






## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს“ ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს“ შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.

## ვინ არის ყველაზე სასურველი ქალი?



მამაკაცთა ინტერნეტ პორტალმა „ესქმენ დოთ ქომ-მა“ საიტის სტუმრების კენჭისყრის შედეგების მიხედვით 2011 წლის მსოფლიოს ყველაზე სასურველი ქალების რეიტინგი შეადგინა. ინტერნეტ გამოკითხვაში 5 მილიონამდე მამაკაცმა მიიღო მონაწილეობა, რომლებმაც 99 ქალი — მსახიობი, მოდელი, მომღერალი, დაასახელეს.

მეათე ადგილზე კანადელი ჯესიკა პარე გავიდა. მეცხრეზეა ამერიკელი მსახიობი ჯესიკა ენ ჰეთეუეი, მერვეზე ბრიტანელი — მომღერალი ქეთი პერი. რეჟისორ ვუდი ალენის ფავორიტი მსახიობი სკარლეტ იოჰანსონი მეშვიდე ადგილზეა. მეექვზე ადგილი ტელეწამყვანმა და მომღერალმა შერილ კროუმ დაიკავა.

მეხუთე ადგილზე ავსტრალიელი ფოტომოდელი ირანდა კერი გავიდა, მეოთხეზე — ამერიკელი სუპერმოდელი სელიტა იბენქსი. კოლუმბიელი მსახიობი სოფია ვერგარა მესამეა, მილა კუნისი — მეორე, ხოლო პირველი ადგილი ამერიკელმა მსახიობმა ბლეიქ ლაივლიმ დაიკავა.

99 ლამაზ და სასურველ ქალს შორის წარსულში მოხდენილ და სასურველ ქალბატონებად მიჩნეული არაერთი მსახიობი, მომღერალი და მოდელიც მოხვდა. ასე მაგალითად, ამერიკელი მსახიობი კამერონ დიასი 50-ეა, მისი ბრიტანელი კოლეგა კირა ნაითლი — 54-ე, ბრაზილიელი სუპერმოდელი ჟიზელ ბუნდხენი 34-ეა, რიანა 41-ე ადგილზე გავიდა, მსახიობი ევა მენდესი — 24-ე, მისი კოლეგა ზოი სალდანა — 28-ე, ახალგაზრდა ბრიტანელი მსახიობი ემი უოტსონი 190-ე ადგილზე გავიდა, მისი ამერიკელი კოლეგა ჯესიკა ალბა მე-13-ზე. მომავალი დედა ნატალი პორტმანი მე-11 ადგილზეა, მრავალშვილიანი დედა ანჯელინა ჯოული კი 67-ეა. დიდი ბრიტანეთის ტახტის რიგით მესამე მემკვიდრის, პრინცე უილიამის საცოლე ქეით მილდტონი 99 ყველაზე სასურველ ქალს სორის 61-ე ადგილზე გავიდა. 99-ე საპატიო ადგილზე ამერიკელი მსახიობი მინკა კელი აღმოჩნდა, 2010 წლის მის აშშ-მა, რიმა ფაკიჰმა 86-ე, ხოლო მსახიობ ჯორჯ კლუნის მეგობარმა ქალმა, იტალიელმა მოდელმა ელიზაბეტ კანალისმა 74-ე ადგილი დაიკავა.

გ.თ.

## დღეს საქართველოს მეტოქეებს ბურდარიასი დაადგენს

**როგორც მოგეხსენებათ, თბილისში გაიმართება 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი. ტურნირის დაწყებამდე ორთვე-ნახევრით ადრე, რაგბის საერთაშორისო საბჭოს ტურნირების მენეჯერი, ფილიპ ბურდარიასი, საქართველოს ესტუმრება და ჩემპიონატის გარიგსა და მსაჯთა ვინაობას დაასახელებს.**



ბურდარიასის პრესკონფერენცია ორშაბათს, 7 თებერვალს, 12:00 საათზე, სასტუმრო „რედისონში“ გაიმართება. ჟურნალისტების შეკითხვებს ბურდარიასის გარდა, რაგბის საერთაშორისო საბჭოს კომუნიკაციების სპეციალისტი, ელისონ ჰიუზი უპასუხებს.20 წლამდელთა მსოფლიო თასი რაგბის საერთაშორისო საბჭოს პირველი ტურნირია, რომელსაც საქართველო უმასპინძლებს. მატჩები თბილისის „შევარდენისა“ და „ავჭალის“ სტადიონებზე გაიმართება.

მსოფლიოს თასის გათამაშება 24 მაისს დაიწყება და კვირას, 5 ივნისს დასრულდება ფინალური რაუნდითა და გამარჯვებულთა დაჯილდოებით. თასის მფლობელი რაგბის საერთაშორისო საბჭოს ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს მიიღებს, რომელიც 2012 წელს, იტალიაში ჩატარდება.

მ.ჟ.

## ყველამ გაითვალისწინეთ! ასტროპროგნოზი 7 თებერვლისთვის

წარმატებული დღეა

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კირჩხიბი** — წარმატებული დღეა. **ლომი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **მორიელი** — არ გადაიღალოთ, მხოლოდ მთავარი საქმე აკეთეთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. კრებაზე დამსწრეთა აუცილებელი რაოდენობა დადგენილების მისაღებად; 3. თეთრი მაუდის მოკლე მუნდირი; 8. პატარა მოთხრობა; 10. ვასილ ... (მწერალი); 11. მდინარის თევზი; 12. რისამე ელფერი; 14. კრივში დროის მონაკვეთი; 15. უპირატესი მნიშვნელობა; 16. შავბუმბულიანი მოზრდილი ფრინველი; 19. შემოღობილი ადგილი თივისთვის, ჩალისთვის; 20. სავანის ტიპი მდინარე ორინოკოს ვაკეზე; 21. რისამე ზღვრული ნორმა.

**შვეულად:** 1. დავის მოყვარული; 2. აზერბაიჯანის ფული; 3. ნივთიერება, რომელიც არ კრისტალდება; 4. სადღესასწაულო ნამცხვარი; 5. საახალწლო ნუგბარი; 6. ლუწის საპირისპირო; 7. შუამავალი; 9. რძის ნაწარმი; 13. კარ-მიდამო ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 17. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში; 18. მიწის ფართობის საზომი ერთეული.

*შეადგინა ოლივარ კოხიძ*




## ნინო ანანიაშვილი ტალინში მიდის

ეკა ირემაშვილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასმა „თბილისი არტ ჰოლში“ ორდღიანი გალა-კონცერტები გამართა, სადაც შედგა პრემიერა სპექტაკლისა „მანიერიზმის მშვენიერებანი“. ქორეოგრაფია ალექსეი რატმანსკის ეკუთვნის, მუსიკა— რიჰარდ შტრაუსს, მხატვარი კი მიხეილ მახარაძეა. „მანიერიზმის მშვენიერებანი“ „თბილისი არტ ჰოლში“ ალექსეი ფადეეჩევის ქორეოგრაფიით იქნა წარმოდგენილი.



იმის მიუხედავად, რომ ამ ბალეტს გარკვეული სიუჟეტი არა აქვს, მას აბსტრაქტულს ვერ ვუწოდებთ. როგორც ბალანჩინი ამბობდა, ბალეტი საერთოდ არ შეიძლება იყოს აბსტრაქტული, რადგან მას არა აბსტრაქტული ფიგურები, არამედ მამაკაცი და ქალი ასრულებენ. ბალეტში სულ 16 ნომერია — 4 სოლო, 6 დუეტი, 4 ტრიო და 2 კვარტეტი, რითაც იწყება და მთავრდება მოქმედება. ოთხი შემსრულებელი — დასაწყისში ფაქტიურად მანეკენები — თანდათან მოქმედი გმირები ხდებიან, სპექტაკლის ბოლოს კი მაყურებელსა და ერთმანეთს საკუთარ ხასიათს აცნობენ. სახალისოსა და გრაციოზულის, სუფთა ცეკვისა და მარტივი ჟესტიკულაციის თანხვედრაა ის მომენტები, რომელიც ბალეტის შემქმნელებს აინტერესებდათ „მანიერიზმის მშვენიერებანზე“ მუშაობისას. რაც შეეხება სახელწოდებას, აქ არ იგულისხმება მაინცდამაინც XVI საუკუნის შუა და ბოლო წლების იტალია, სადაც ვითარდებოდა მანიერიზმის კულტურა. დამდგმელისა და შემსრულებლების ყურადღება მანიერიზმის ისეთმა აქცენტებმა

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ადვილად ღიზიანდებით? ტესტი



**ტესტის შეკითხვებს უნდა გასცეთ პასუხები. დიახ (1 , არა (9 , ხანდახან (9.5 .**

1. ვღიზიანდები, როდესაც ტელეფონზე ვრეკავ, ნომერი კი სულ დაკავებულია.
2. ვბრაზდები, როდესაც მანქანის მართვის დროს ვიღაც სულ რაღაცას მირჩევს.
3. მაღიზიანებს, როდესაც ვამჩნევ, რომ თვალს მადევნებენ.
4. ვღიზიანდები, როდესაც ფიქრს მაწყვეტინებენ.
5. ვღიზიანდები, როდესაც ვინმეს ვესაუბრები, მესამე კი საუბარში ერევა.
6. ვღიზიანდები, როდესაც ვინმეს ხელს ვართმევ და საპასუხო ხელის მოჭერას ვერ ვგრძნობ.
7. ცუდად ვხდები, როდესაც ერთმანეთთან შეუსაბამო ფერების კომბინაციას ვხედავ.
8. მაღიზიანებს იმ ადამიანთან საუბარი, ვინც ყველაფერი ჩემზე უკეთ იცის.

**პასუხები**

**6-8 ქულა:** მცირე უსიამოვნებები თქვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. შესაძლოა იმიტომ, რომ ცდილობთ ბოლომდე გააკონტროლოთ სიტუაცია და არ შეგიძლიათ შეურიგდეთ იმას, რომ რაღაც ისე არ მიდის, როგორც დაგეგმეთ.

**3-5 ქულა:** წვრილმანები ხშირად გაღიზიანებთ, მაგრამ არც ისე, რომ სიცოცხლე აღარ გიხაროდეთ, იქნებ სჯობდეს ნაკლებად დაფიქსირდეთ ამ წვრილმანებზე, რათა უფრო მნიშვნელოვანი დეტალები არ გამოგრჩეთ.

**0-2 ქულა:** უსიამოვნო წვრილმანი შეიძლება დიდი უსიამოვნების სიმპტომად იქცეს. თუ ახერხებთ ვერ შეამჩნიოთ ბუზი, მაგრამ ამჩნევთ ბანანის ქერქს ფეხქვეშ, ყურადღებას ოპტიმალურად ანაწილებთ.

გ.თ.

## იუმორი



— აიპოდის წყალობით მივხვდი, რომ ყოველთვის ჭუჭყიანი ხელები და ყურები მაქვს...

* * *

ცოლი ქმარს:

— ორი ახალი ამბავი მაქვს, კარგი და ცუდი.

— აბა, გისმენ.

— გეყრები.

— ცუდი?

* * *

ქალი აფთიაქში მივიდა და კალიუმის ციანიდი ითხოვა.

— ძალიან ძლიერი საწამლავია. არ შემიძლია, რომ მოგცეთ. რაში გჭირდებათ?

— ქმარს უნდა მივცე.

— ეს ხომ დანაშაულია! მოკვდება.

ქალმა ჩანთიდან ფოტოსურათი ამოიღო, აფთიაქარმა დახედა. ფოტოზე ქალის ქმარი აფთიაქარის ცოლთან ერთად არის გადაღებული.

— რეცეპტი თუ გქონდათ, თავიდანვე რატომ არ მითხარით!

* * *

— ინტელიგენტი არის ადამიანი, რომელიც ბევრს ფიქრობს იმაზე, რაც მას საერთოდ არ ეხება...

* * *

ქმარი მივლინებიდან დაბრუნდა.

ცოლი: — აბა, რას იტყვი?

ქმარი: — ძვირფასო, შენზე უკეთესი ამქვეყნად არავინაა.

ცოლი: — მარტო შენ არ ფიქრობ ასე.

გ.თ.